



# არტურ რემბო

მხილველის პოეზია

## ARTHUR RIMBAUD

Poésie du Voyant

გვჯერა, რომ მთარგმნელების გამომცემლობის არსებობა ხელს შეუწყობს შრომის დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებას ქვეყანაში, რომელიც ასიოდე წლის წინ ერთ-ერთი პირველი ამკვიდრებდა ამ ღირებულებებს. გვჯერა, რომ თავისუფალ შრომას და შემოქმედებას მოაქვს ღირსეული ცხოვრება და ხარისხი. ჩვენთან საავტორო უფლება საკუთარ ნამუშევარზე მთარგმნელს ეკუთვნის.

© თარგმანი 2017 ირაკლი ყოლბაია

ყდის დიზაინი: თომა გლურჯიძე

ტექნიკური უზრუნველყოფა: გვანცა მახათაძე

keti@translatorshouse.ge

ISBN 978-9941-775-9

ანტონ ჩემბო

# მხიჯვადის პოეზია

თარგმნა ირაკლი ყოლბაიამ

მთარგმნელების გამომცემლობა  
TRANSLATORS' PUBLISHING  
თბილისი, 2018

მთარგმნელი მადლობას უხდის გაგა ლომიძეს, რომელიც „გამონათებანი“-ს ადრეული, შავი ვარიანტიდან ლამის უკანასკნელ, დასრულებულ ვერსიამდე, მისი თანამგზავრი იყო და მისი წვლილი წიგნის ახლანდელი ფორმის განუყოფელი ნაწილია.

რომ არაფერი ვთქვათ უამრავ სხვა თანამგზავრსა და დამხმარეზე, მადლობა, აგრეთვე, ლუიზ ვარეზს და ენიდ სტარკის, რემბოს მკითხველების მფარველ ანგელოზებს.

## არტურ რემბო და პირველქმნილი ხილვა

რა კავშირია – თუკი არსებობს, საერთოდ, ასეთი – პირველყოფილ ხელოვანსა და თანამედროვე ვიზიონერ პოეტს შორის? მეჩვენება, რომ ამოცანა, რომელსაც თითოეული მათგანი უყენებს საკუთარ თავს, იდენტურია (და რა მტკივნეულია მაშინ ოცდაათამდე ასწლეული და ცივილიზაციის ნიაღვარი, გამოკიდული ამ ორს შორის), მაგრამ ჯერ ვთქვათ ის, რაც აშკარაა: მათ შორის განსხვავება: პირველყოფილი პოეტი შამანია, თავისი საზოგადოების ღერძი, მკურნალი, ის, ვისაც ევალება, გაუძღვეს თავის ხალხს, ჰარმონიულად წარმართოს მათი ცხოვრება<sup>1</sup>, ხოლო თანამედროვე პოეტი, რომელიც საკუთარ თავს აქცევს ხილვების ჭურჭლად, გარიყული და ეულია საზოგადოებაში, რომელშიც დაიბადა, – ის უარყოფს, გმობს საზოგადოებას და საზოგადოება უარყოფს და გმობს მას; პოეტი ოცნებობს იმ დაკარგულ, თავდა-

---

<sup>1</sup> შეგვიძლია ვიოცნებოთ სამყაროზე, სადაც პლატონს ექნებოდა წვდომა აფრიკელების, ინდიელების, ავსტრალიელი აბორიგენების პირველყოფილ და არქაულ წყაროებზე და მაშინ მას აღარ დასჭირდებოდა ხელოვნების მტკივნეული, უხეში და მეტად მოსაწყენი ვივისექცია *სახელმწიფოში*, ეცოდინებოდა მაშინ ხელოვნება, რომელიც არის არა მიბაძვის მიბაძვა, არამედ თვითონ იდეა [ხილვა]; ეცოდინებოდა, რომ არსებობდნენ და იარსებებდნენ კიდევ დიდხანს „სახელმწიფოები“, რომელთათვისაც ხელმისაწვდომი იყო პირველქმნილი სამყარო, ბუნება, ხილვა და რომლებსაც უძღვებოდა არა „ფილოსოფოსი“, არამედ ხელოვანი, პოეტი, შამანი – მაგრამ *ბევრი რამ ხდება ზეცად და ქვეყნად, ფილოსოფოსთ სიზმრად რომ არც მოლანდებიათ.*

პირველ სამყაროზე, სადაც ადამიანი უშუალო, პირდაპირ კავშირში იყო ბუნების ძალებთან, სადაც ის არსებობდა მასთან ერთად და არა მის წინააღმდეგ – გავიხსენოთ აქ უოლტ უიტმენის, ამ მხრივ სანიმუშო პოეტის მოწოდებითი შეძახილი: „მე ფეხს ვუბამ ჩემს ხილვას!“ ესაა ყველა ვიზიონერის ზეამოცანა; და რას ნიშნავს მაინც ეს? იქცეს ცხოვრება და ხელოვნება ერთიანად, ნაიშალოს ზღვარი ამ ორს შორის.

ალეხანდრა პისარნიკი, ერთ-ერთი უდიდესი რადიკალური ხილვის პოეტთაგან, ბრწყინვალედ გვიხსნის:

ჰოლდერლინის მტკიცება, რომ „პოეზია საშიში თამაშია“, რამდენიმე ცნობილ მსხვერპლშენიშვებაში ჰპოვებს ექვივალენტს, ესენია: ბოდლერის ტანჯვა, ნერვალის თვითმკვლელობა, რემბოს ნაადრევი დადუმება, ლოტრე-ამონის იღუმალი და ეფემერული ყოფნა, არტოს ცხოვრება და შემოქმედება...

ეს პოეტები, და კიდევ რამდენიმე სხვა, იმით არიან დაკავშირებული, რომ გააქარწყლეს – ანდა სცადეს გაქარწყლებინათ, – მანძილი, რომლითაც საზოგადოება აშორებს ხელოვნებას და ცხოვრებას.

მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს მსგავსი სურვილი, რას ესწრაფვის ასეთი პოეტი? პირველქმნილ ხილვას, გამოვთქვამ ვარაუდს. და რა არის პირველქმნილი ხილვა?

ჩვენთვის ცნობილია, რომ ამერიკელ ინდიელებს, სულ მცირე, ორი სამყაროს არსებობის სწამდათ: ორი სამყარო, რომელიც თანაარსებობს ამ სამყაროში; თუკი ერთი მათგანი ჩვეულებრივი, ყოველდღიური სამყაროა, რომელშიც მუდმივად ვიმყოფებით, მეორე არის რადიკალური მდგომარეობა და მას ინდიელები *ველურ სამყაროს*

(ინგლისურად: **wilderness**) ეძახდნენ. ველურ სამყაროში მყოფი უბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას, სცდება თავის ადამიანურ საზღვრებს, სირთულის გარეშე გადის მრავალ სახელცვლილებას, ესაუბრება ცხოველებს, უსმენს ყვავილებს, უშუალოდ შეიგრძნობს ბუნების ძალებსა და ენერგიებს, ღმერთებს, აჩრდილებს, სულებს; და ადამიანი, რომელსაც შეუძლია და ეკისრება ამ გზის გაკვალვა, არის შამანი. და რა არის ამაში განსაკუთრებული? მინიერ მდგომარეობას აგრეთვე რადიკალურად სცილდება უამრავი ადამიანი, რომელიც გონების შემცველ სუბსტანციებს მოიხმარს, რასაც, სხვათა შორის, მოიხმარდნენ შამანებიც<sup>2</sup>. ჰო, მაგრამ შამანის მიზანია განსხვავებული, მისი რწმენა და მისი შინაგანი ძალები. საქმე ისაა, რომ იმავე ინდიელების რწმენით, ამ განსხვავებას, მანძილს „ყოველდღიურ“ და „ველურ“ სამყაროებს შორის ყოველთვის არ უარსებია, – სამყარო უნინ იყო ერთიანი, მთლიანი; ხლეჩა მოხდა მხოლოდ მას მერე, რაც ევროპელებმა დაიპყრეს ეს მიწები, წაართვეს ამ ხალხს თავისუფლება, სულაც, თავისი სამყარო; ამის შემდეგ გადაიხვეწა პირველქმნილი ხილვა ფარულ ტერიტორიებში, ადამიანის არაცნობიერის უღრმეს კუნჭულებში; ამის მერე მიატოვეს ღმერთებმა და სულებმა დღის სინათლე, შეწყვიტეს ბუნებამ, ყვავილებმა, მცენარეებმა და ცხოველებმა ადამიანთან ურთიერთობა. შეიქმნა ხილვების (თუ იდეების) სამყაროს ასლი. ამიტომ დაეკისრა შამანს, დაუკავშირდეს დაკარგულ, ველურ სამყაროს, თავისი ხილვით აღადგინოს უნინდელი ერთიანობა.

<sup>2</sup> და საგულისხმოა, აქ, ამ კონტექსტში, ალბათ ისიც, რომ ზოგიერთის თქმით, შამანებად ხშირად საზოგადოების „უჩვეულო“ წევრებს ირჩევდნენ: ხშირად ეპილეპტიკებს, ან იმათ, ვისაც დღეს შიზოფრენიკებს ან სულიერად აშლილებს ეძახიან ხოლმე.

იგივე ზრახვა ამოძრავებს თანამედროვე ვიზიონერ პოეტს. მაგრამ თუკი გვაქვს უამრავი ცნობა შამანების სასწაულებრივ ქმედებათა შესახებ, მათი მაგია, ხორც-შესხმული, ყველასთვის ხილული, პოეტი, არსობრივად მარტოსული და თავისი საზოგადოებისგან გარიყული, გარდაუვალი მარცხისთვისაა განწირული, – *მსხვერპლშენირვა*, ამბობს ალექსანდრა პისარნიკი და ასახელებს ასეთი სწრაფვის, ასეთი მსხვერპლშენირვის, ასეთი მარცხის რამდენიმე მაგალითს. თუმცა მეჩვენება, რომ ბოდლერის შემოქმედება მხოლოდ პირობითად შეიძლება მოხდეს ამ კატეგორიაში; ნერვალთან მხოლოდ *ორელია* შეიძლება ჩავთვალოთ ამ ტრაგიკული ტრანექტორიის ბრწყინვალე ჩანაწერად; საერთოდ, არცერთ ევროპელ პოეტს, მე-19 საუკუნის ჩათვლით, არ ჰქონია პირვანდელი ხილვის წვდომა, არც წვდომის სურვილი. უიტმენი – შესაძლოა, თანამედროვე ვიზიონერულ ტრადიციაში პირველი – არაა ევროპელი, თუმცა ერთ-ერთ მთავარ დასავლურ ენაზე წერს. აშკარა და უნიკალური გამონაკლისია უილიამ ბლეიკი, მისი გვიანდელი, წინასწარმეტყველური ნიგნები, მაგრამ ბლეიკსაც კი, მიუხედავად მისი გენიისა და მისი ხილვის სიმძაფრისა, დროდადრო ქრისტიანული შეზღუდვები უკეტავდნენ გზას პირვანდელი ხილვისკენ<sup>3</sup>.

ამ გზაზე რემბო არის არა მხოლოდ სამაგალითო, არამედ, სავარაუდოდ, პირველი პოეტი (ყოველ შემთხვევაში, იმათგან, ვისი სახელიც დღემდე ცნობილია ჩვენთვის). რემბოსია ეს ლტოლვა, ეს მსხვერპლშენირვა და ეს გარ-

---

<sup>3</sup> მაგრამ „რომ განწმენდილიყვნენ აღქმის კარიბჭეები, ყველაფერი წარმოუდგებოდა კაცს ისეთად, როგორც არის – უსასრულო. რადგან კაცმა გამოკეტა თავისი თავი, სანამ ხედავს ყოველივეს თავისი მღვიმის ვინრო ნაპრალიდან.“ (ბლეიკი, *სამოთხისა და ჯოჯოხეთის ქორწინება*).



დაუვალი მარცხი. რემბო ილტვის, ხილვის გზით ნაშალოს ზღვარი ცხოვრებასა და შემოქმედებას შორის, მაგრამ მარცხდება. შეგვეძლო გვენატრა, წარმოგვედგინა რემბოს აფრიკული წლები ამ შეუძლებელ გაერთიანებად, ველურისა და ყოველდღიურის შეუღლებად, მაგრამ თუ ამ პერიოდის მიმონერით ვიმსჯელებთ, რემბომ ვერ იპოვა აფრიკაში (ცხოვრებაში) ის, რასაც „გამონათებანი“ (შემოქმედება) გვპირდებოდა. მაგრამ ეს დაპირება, ნამიერი ხილვა, უკვე ერთგვარი გამარჯვებაა და მნიშვნელოვანია გავიგოთ მისი ბუნება.

რაც ყველაზე მეტად აღმაფრთოვანებს რემბოსთან, არის არა იმდენად ის, რომ, 16-დან 20 წლამდე, დაახლოებით ხუთ წელიწადში, მან შექმნა პოეზია, რომელიც ყველა ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურათაგან ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავია, არამედ ის, რომ ეს ასე მცირე დროში, ასეთ ადრეულ ასაკში შექმნილი შემოქმედება შეიძლება დაიყოს ორ ისე აშკარად გამიჯნულ ნაწილად, ორ პერიოდად, როგორების გასავლელად და შესაქმნელად ნებისმიერ სხვა პოეტს სულ მცირე რამდენიმე ათწლეული დასჭირდებოდა. ამ ორ პერიოდს შეიძლება ეწოდოს *ადრეული* და *გვიანდელი* (პირობითად და ცოტაოდენი ირონიით), *თეთრი* და *შავი*, *დახურული* და *ღია*, – სულერთია; მთავარია, რომ პირველი ამათგანი – ლექსები, შექმნილი 16-17 წლის ასაკში (1970-71 წლებში) უნიკალური და ვირტუოზულია, ალექსანდრიული სალექსო ფორმის შედევრები, რომლებიც საკმარისი იქნებოდა, პოეტისთვის საპატიო ადგილი გამოეყო XIX საუკუნის ფრანგული პოეზიის კანონში; მაგრამ მხოლოდ მეორე პერიოდი, რომლითაც რემბო რამდენიმე სინათლის წელიწადით მოსწყდა ყველაფერს, რასაც კი მისი დროის

დასავლური ლიტერატურა წარმოადგენს, და გაიჭრა იმ ღია სივრცეში, სადაც ევროპული ესთეტიკური იერარქია სრულიადაა მორღვეული, სადაც კლასიკური ბუმბულის წრიპინი აღარ ისმის აფრიკული დოლის ხმაურში.

მაგრამ რა არის ამ ცაში აჭრის საფასური? *ჟამი ჯოჯოხეთში*, მისით რემბო უერთდება სხვა პოეტებს, რომლებიც მანამდე დაეშვნენ ჯოჯოხეთში (ორფეოსი; დანტე).

თავის ამოცანას რემბო პირველად „მხილველურ წერილებში“ 17 წლის ასაკში აცხადებს; გზის გაკვალვას იწყებს *მთვრალი ნავით* და *ხმოვნებით* (რომლებიც ერთგვარ *ars poetica*-დ გამოდგებიან ამ „გვიანდელი“ პერიოდისთვის), განაგრძობს *ახალი ლექსებით*, უხილავ სიღრმეებს აღწევს *ჟამი ჯოჯოხეთში*-ს გზით; ნიაღვლა შეუძლებელში გვირგვინდება *გამონათებანი*-თ.

## ჟამი ჯოჯოხეთში და სიტყვის ალქიმია

ჟამი ჯოჯოხეთში, მისი ნამდვილი ბუნება და საბოლოო სახე, როგორც ჩანს, წინასწარ რემბოსთვისაც ისეთივე იდემალებას წარმოადგენდა, როგორსაც, შეიძლება, მკითხველისთვის წარმოადგენდეს. თავის ჩანაფიქრს ის უწოდებს „პატარა პროზაულ ისტორიებს“, „წარმართულ წიგნს“, „ზანგურ წიგნს“ (თუ, სულაც, *ზანგ წიგნს?* – *livre nègre*). მაგრამ ამათგან არცერთი არ მიუთითებს არც ავტობიოგრაფიულ, არც აღმსარებლურ თხზულებაზე. შეხედულება, რომ *ჟამი ჯოჯოხეთში* აღმსარებლური ლიტერატურის ნიმუშია, ჩემი ღრმა რწმენით, ყველა დიდი გაუგებრობაა, რაც კი ბოლო საუკუნის მანძილზე დაატყდათ თავს რემბოს და მის შემოქმედებას; გაუგებრობა განსაკუთრებით სამწუხარო იმის გამო, რომ ის მეტისმეტად ართულებს ნაწარმოების სერიოზულ, ღრმა და შთამაგონებელ წაკითხვას. ავტობიოგრაფიული? მხოლოდ იმდენად, რამდენადაც უიტმენის *ჩემი თავის სიმღერა*-ს შეიძლება, ეწოდოს ავტობიოგრაფიული; – და რატომაც არა, თუ მსგავსი ჟანრი პოეტის ყველაზე ვრცელ *თვითგამოხატვას* გულისხმობს, გამოხატვას, რომელშიც ვინც, ინტიმური *თვით* სრულებით კარგავს აზრს და გზას უთმობს ყველაფერს, რაც პოეტმა იცის და არ იცის *მე*-სა და სამყაროს შესახებ. ავტობიოგრაფიული მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შემდგომ ანტონენ არტოს და ანრი მიშოს პოეზია იქნება ავტობიოგრაფიული. და *ჟამი ჯოჯოხეთში*, მისი სიტყვის ალქიმია, იმდენადვეა პასუხისმგებელი თანამედროვე პოეზიის შექმნაზე, რამდენადაც უიტმენის ხსენებული შედეგრი.

არაფერია არც ამ თხზულებაში, არც მისი შექმნის ისტორიაში, არც მის ავტორში, სულ მცირე, ორაზროვნე-

ბით რომ არ იყოს დალდასმული, და რემბოს გენია სწორედ ისაა, რომ ამ დალის გადმოსაცემად, მის მოსახელთებლად და შესაბყრობად, ახალ ენას იგონებს, ახლებურ პროზას, ახალ პოეზიას, რომელიც, კლასიკური გაგებით, აღარცერთი ამათგანი არაა, და რომელსაც არ ეშინია საკუთარი ორაზროვნების. *ჟამი ჯოჯობეთში* („რამდენიმე საძაგელი გვერდი წყეულის რვეულიდან“ – როგორც მას თავად რემბო უწოდებს) დაწყევილი და გარიყული, დაბნეული და დამაბნეველი ნაწარმოებია, ზუსტად იმდენად, რამდენადაც სჭირდება: ხშირად ყოველი მომდევნო სიტყვა მასში ეწინააღმდეგება წინას, ან თავისავე თავს, უარჰყოფს, აბათილებს; არაა აქ არცერთი ფრაზა, წინადადება, რომ არ იკრუნჩხებოდეს, მათი ჯოჯობეთის ცეცხლში გახვეული მთქმელის მსგავსად. მე არ ვფიქრობ, რომ მსგავსი ენის შექმნას რემბოსგან აღსარების თქმის სურვილი ან სინანული იწვევენ, არამედ აუცილებლობა, დაიჭიროს ფიქრი გაქრობის მომენტში, შეიპყროს აზრი, ამბობებული აზრის წინააღმდეგ, მოიხელთოს, და გამოხატოს, თუ გნებავთ, „მე“, რომელიც სადაცაა გაქრება; არაცნობიერი, რომელმაც ცნობიერში გაჭრა თხრილი, მოითხოვს იმ ენას, რომელიც რემბომ შექმნა თავისი სიტყვის აღქმით.

და თუ მაინცდამაინც გვსურს, შევუნარჩუნოთ ამ „ჯოჯობეთს“ შექმნილი აღმსარებლურობა, უნდა ვიკითხოთ: ვის აღსარებას ვისმენთ? ვინ იწინიებს, ან რას? ცხრამეტი წლის ბიჭი, რომელმაც მთელი ძალისხმევა თავისი წარმოშობის, თავისი „შვიდი წლის პოეტი“ მეს განდევნას მიუძღვნა, რათა ექცია თავი მხილველ პოეტად, წყეულად, მდაბალი მოდგმის წარმომადგენლად, წარმართად, ზანგად? უდავოდ მძიმე ცოდვაა: გენიალური ბიჭი, დატანჯული თავისი შეზღუდული და უაზრო ბავშვობით,

მძვინვარედ ეძლევა ცელქობას, ცეკვას, ლხინს. მეექვსეება, ეს შთამბეჭქდავი ან შემზარავი მიღწევა იყოს. სინამდვილეში, მეჩვენება, საქმე ისაა, რომ თუკი საერთოდ რამე აღსარებას ვისმენთ ამ ჯოჯოხეთურ გვერდებზე, ალბათ მთელი კულტურის, მთელი დასავლური ცივილიზაციის, მთელი მოდგმის აღსარებაა, მისი სინანული – აღსარება და სინანული, რომელიც ერთმა პოეტმა შეიგრძნო და გამოხატა მთელი კულტურის ნაცვლად, იმის გამო, რაზეც პასუხისმგებელია ეს ცივილიზაცია წარსულსა და მომავალში; *ჟამი ჯოჯოხეთში* გმობს თეთრ რასას არა მხოლოდ განვლილი ასწლეულების, არამედ (განსაკუთრებით) მომავალი საუკუნის გამო. მეოცე საუკუნე დასრულდა, და *ჟამი ჯოჯოხეთში* ჯერაც რემბოს მხილველური გენიის მონმედ დგას. და ჩვენც ჯერაც „ჩვენი დასავლეთისანი“ ვართ, დანაშაულებრივად, შეუქცევადად. ჯერაც ვერცერთმა ჩვენგანმა წაიკითხა ეს „რამდენიმე გვერდი“ (ერთადერთი, სხვათაშორის, რაც რემბომ თავად გამოსცა); შესაბამისად, ჯერაც ვერცერთი ჩვენგანი გაჰყვა პოეტს აბისინიაში, იმ გონების აფრიკაში, სადაც ჩვენს ყველაზე ღრმა სურვილს მიყვავართ და სადაც ჩვენი ყველაზე ღრმა ხილვა, ღრმა ცოდნა იმალება.

მითოლოგიაში, რომელიც რემბოს იდუმალი ცხოვრებისა და შემოქმედების გარშემო ფორმირდა, ცენტრალური ადგილი „სპირიტუალურ ნადირობას“ უჭირავს – ესაა პოემა, რომელიც – გვაუნყებს ვერლენი – რემბოს შედეგური იყო, და რომელიც სინამდვილეში არ არსებობს. მაგრამ სრული სიმართლე ისაა, რომ ეს პოემა არსებობს და ის წინამდებარე წიგნის გულში იმალება. მკითხველზეა, დაეუფლოს სიტყვის ალქიმიას და *ჟამი ჯოჯოხეთში* სპირიტუალურ ნადირობად აქციოს.

## გამონათებანი

გამონათებანი და ლოტრეამონის მალდორორის სიმ-  
ღერები იმ ორ წიგნად მესახება, რომლებიც კარს ჭრიან  
ცივილიზებული ევროპიდან პირველყოფილ მდგომარე-  
ობაში. დასავლურ კულტურას მანამდე არ მოეპოვება  
მსგავსი მწერლობა, წარმოქმნილი უკიდურესი ცნობი-  
ერებიდან, იმ უფსკრულიდან, სადაც ეს უკანასკნელი  
გზას უთმობს არაცნობიერს და სადაც ლიტერატურა  
ექვემდებარება პირვანდელ, ირაციონალურ, გონისმილ-  
მიერ ხილვას, რათა, ბოლოს და ბოლოს, აღდგეს პოეზია  
(მაგია) სიცოცხლეში და სიცოცხლე პოეზიაში. ეს ორი  
ტექსტი, რომელთა შექმნასაც სულ რაღაც 2-3 წელი აშო-  
რებს ერთმანეთისგან – თითქოს მცველად, დარაჯად უდ-  
გას იმ მისტერიების კარს, საიდანაც წარმოიშობა შემდ-  
გომ ვიზიონერული პოეზიის ტრადიცია მე-20 საუკუნის  
ლიტერატურაში. თუმცა არ ვამტიკცებ, რომ პოეტები,  
რომლებიც ამ ტრადიციას ეკუთვნიან, ცნობიერად აგრ-  
ძელებდნენ რემბოს და ლოტრეამონის ხაზს (პირიქით,  
ეს პოეტები არ აგრძელებდნენ არავითარ ხაზს, გარდა  
პირვანდელი და საკუთარი ხილვისა და ისიც, არა აუცი-  
ლებლად ცნობიერად); მჯერა, რომ აქ იწყება პოეზია,  
რომელიც გრძელდება, და ვრცელდება აპოლინერის, ან-  
ტონენ არტოს, ემე სეზერის, ანრი მიშოს, სეზარ ვაიეხოს,  
ვისენტე ჰუიდობროს, ველიმირ ხლებნიკოვის და სხვა  
უკიდურესი ხილვისა და ცნობიერების პოეტების შემოქ-  
მედებაში – პოეტები, რომელთათვისაც პოეზია, როგორც  
პირველქმნილი ხილვის იარაღი, მოცემულობაა<sup>4</sup>.

<sup>4</sup> ამათგან არტომ ყველაზე მეტი გვერდი დაუთმო ამ პოეზიის  
„თეორიულ“ გააზრებას. მაგ.: „მე ვადაწამაულებ ამ დროის ადა-

თუკი თავის ბრწყინვალე ნარკვევში, რომელიც წინ უძღვის ლოტრეამონის სრული შემოქმედების კრებულს<sup>5</sup>, ლეკლეზიომ გვაჩვენა მჭიდრო კავშირი *მალდორორის სიმღერებსა* და პრიმიტიულ აფრიკულ სიტყვიერებას (და, შესაბამისად, კავშირის არარსებობა *მალდორორის სიმღერებსა* და დანარჩენ ევროპულ ლიტერატურას) შორის, მსგავსი კვლევა *გამონათებანი*-ს შესახებ არ მომეპოვება; ხოლო ეს კვლევა საჭირო და მნიშვნელოვანია, თუკი გვსურს, გავიგოთ მისი პოეტური (და არა ისტორიული) კონტექსტი და შედეგად, ვისწავლოთ ამ პოეზიის კითხვა; შემძლია, მხოლოდ მოსაზრება გამოვთქვა, რა მიმართულებით უნდა ეძებოს მსურველმა – და ეს მიმართულება უამრავთაგან მხოლოდ ერთი შესაძლოა. მაგალითად, დავაყენოთ გვერდიგვერდ *გამონათებების* გამხსნელი წინადადება,

როგორც კი წარღვნის იდეა დაცხრა,

ბოცვერი შეჩერდა სამყურებსა და მოქანავე მაჩიტებში და ლოცვით მიმართა ცისარტყელას ობობის ქსელის გადაღმა. (*წარღვნის შემდეგ*)

და ნაწყვეტი ვინებაგოს ტომის ინდიელების რიტუალური თქმულებიდან

---

მიანებს იმის გამო, რომ მაგიური ხრიკებით შემოშალეს ხელი, გამეხვრიტა ეს სამყარო, რათა დამეტოვებინა ის. პოეზია მჭირდება იმისთვის, რომ ვიცხოვრო და მიინდა, მას ჩემს გარშემო ვხედავდე. და უარს ვამბობ, მივიღო ფაქტი, რომ მე, პოეტი, საგიჟეთში გამომამწყვდიეს იმისთვის, რომ პოეზიის ბუნებრივ მდგომარეობაში განხორციელება მსურდა“ (*წერილები როდუზის საგიჟეთიდან*) და მრავალი სხვა.

<sup>5</sup> Comte de Lautréamont, *Œuvres complètes*, Editions Gallimard, 1973.

როდესაც ბოცვერმა სიკვდილის შესახებ გაიგო, გაქანა თავისი ვიგვამისკენ და მიაღწია იქ წივილ-კივილით, ჩემი ბიძები და ჩემი დეიდები არ უნდა მოკვდნენ! და მერე ფიქრმა შემოუტია: ყველაფერთან მოვა სიკვდილი! თავისი ფიქრები მან უფსკრულებს შეაყარა და მათ ნგრევა და დანამცეცება იწყეს.

ამ შემთხვევაში საგულისხმო არის არა მხოლოდ ის, რომ მე-19 საუკუნის ფრანგი პოეტი ისეთივე სახეებსა და „ტექნიკებს“ იყენებს, როგორებსაც „პრიმიტიული“ ინდიელი პოეტი, რომლის არსებობა და შემოქმედებაც უცნობია პირველისთვის, არამედ ისიც, თუ რა შეიძლება ამ მსგავსებამ გვასწავლოს რემბოს პოეზიის შესახებ. ინდიელებისთვის მსგავსი თხზულებები არ იყო ლიტერატურის ნიმუშები, რომელშიც გამოხატვის ფორმების სიმდიდრითა და მთქმელის წარმოსახვით უნდა დატკბე, არამედ საკრალური, რიტუალური ტექსტები იყო, რომლებიც სამყაროს უღრმეს იდუმალებებს (ამ შემთხვევაში, სიკვდილის რაობას) ამხელდნენ. ისინი „სერიოზულად აღიქვამდნენ“ თავიანთ პოეტს; მჯერა, რომ ასევე უნდა ვიქცეოდეთ ჩვენც. ამ უკიდურესი სერიოზულობის, ამ თავდადების გარეშე, შეუძლებელია დავაკმაყოფილოთ ის მოთხოვნები, რომლებსაც ვიზიონერი პოეტი უყენებს, უპირველესად, საკუთარ თავს და შემდეგ მკითხველს. ამ პროზაული ლექსებიდან მრავალია ისეთი, რომელთა სრული (ან, ყოველ შემთხვევაში, რაციონალური) გაგებაც შეუძლებელია, მაგრამ ვცდილობ დავამტკიცო, რომ სათანადო მიდგომით, შესაძლებელია მათი სრული განცდა; არაა საკმარისი მათი ნაკითხვა, – *გამონათებანი*, უბრალო პოეტურ კრებულზე მეტად, არის სივრცე, რომელშიც ხუთივე გრძნობით



უნდა ჩავერთოთ, თუ გვურს, ამ გრძნობებმა გზა მისცენ ხილვას.

და ეს ყველაფერი, ისევე როგორც პოეტის მცდელობა, – წაშალოს ზღვარი ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის – განწირულია მარცხისთვის, რადგან პოეტი არ აპირებს გაგვიმხილოს ის, „რაც თვითონ იცის და რაც უცნობია ჩვენთვის.“ (ნარდენის შემდეგ). „მე ერთადერთს მაქვს ამ ველური მსვლელობის გასაღები.“ (პარადი).

ნაცნობია ამ სიტყვების ტონი: ასე მიმართავს მხილველი უმეცარს:

*დიდი ხნის წინ დედამისს  
უნდა ემღერა ეს სიმღერა  
ხორბლის ხალხსაც აქვს თავისი სიმღერა  
ძალიან კარგი სიმღერაა  
შენ არ გეტყვი<sup>6</sup>*

---

<sup>6</sup> – უთხრა აკომას ტომის ინდიელმა ფრანც ბოასს, 1920 წელს.

## მხილველის წერილები

რემბო ჟორჟ იზამბარს:

ძვირფასო ბატონო!

აი, კვლავ მასწავლებელი ბრძანდებით. ჩვენ მოვალეობა გვაქვს საზოგადოების წინაშე, მითხარით თქვენ; თქვენ აღმზრდელით საქმეს ეკუთვნით: ზნეობრივ გზას ადგახართ. – მეც მაქვს ჩემი პრინციპი: მე ცინიკურად ვანახინებ ჩემს თავს; ძველ იმბეცილებს ვთხრი სკოლიდან: ყველაფრით, რაც კი ყველაზე სულელური, ბინძური, ცუდი საქმესა და სიტყვაში შემიძლია მოვიფიქრო, მე მათ ვუმასპინძლდები: ისინი კათხებითა და სირჩებით მიხდიან. *Stat mater dolorosa, dum pendet filius*<sup>1</sup>, – ვალდებული ვარ საზოგადოების წინაშე, ჭეშმარიტად; – და მე მართალი ვარ. – და თქვენ, თქვენც მართალი ხართ, ამჟამად. სინამდვილეში თქვენ ვერაფერს ხედავთ თქვენს პრინციპში, სუბიექტური პოეზიის გარდა: თქვენი დაჟინება, დაუბრუნდეთ საუნივერსიტეტო ბაგას – მომიტევეთ! – ამტკიცებს ამას. მაგრამ, საბოლოო ჯამში, თქვენ ყოველთვის იქნებით ერთი კმაყოფილი კაცი, რომელსაც არაფერი გაუკეთებია, რადგან არ ისურვა რამის გაკეთება. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ თქვენი სუბიექტური პოეზია მუდამ საშინლად უმარილო იქნება. ერთ დღესაც, ვიმედოვნებ, – და ბევრი სხვაც იმედოვნებს იმავეს, – მე შევიცნობ თქვენს პრინციპში ობიექტურ პოეზიას, დავინახავ მას მეტი გულწრფელობით, ვიდრე თქვენ! – ბეჯითი ვიქნები, ვიმუშავებ: ესაა იდეა, რომელიც მაკავებს, როდესაც შეშლილი რისხვები პარიზის ბრძოლისკენ მექაჩებიან, – სადაც ამდენი მომუშავე კვდება, სანამ მე

თქვენ გნერთ! ვიმუშავო ახლა, არასდროს, არასდროს; მე გაფიცული ვარ.

ამჟამად, რამდენადაც შემიძლია, იმდენად ვრყვნი ჩემს თავს. რატომ? მინდა, პოეტი ვიყო და იმაზე ვმუშაობ, რომ *მხილველად* ვიქცე: თქვენ ამას საერთოდ ვერ გაიგებთ და მე თითქმის ვერ შევძლებ, აგიხსნათ. ამოცანა ისაა, რომ შეუცნობლამდე მივალნიო, ყველა გრძნობათა დარღვევის გზით. ტანჯვები უსაზღვროა, მაგრამ ძლიერი უნდა იყო, პოეტად დაბადებული და მე შევიცანი ჩემში პოეტი. ეს ოდნავაც არაა ჩემი ბრალი. არასწორი ნათქვამია: მე ვფიქრობ: უნდა ვთქვათ მე მფიქრობენ. – მომიტევეთ სიტყვების თამაში.

მე არის სხვა. მერე რა, თუ ხე აღმოაჩენს, რომ ვიოლინოა; და ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ უმეცრებს, რომლებიც უკირკიტებენ იმას, რისაც არაფერი გაეგებათ.

[...]

*რემბო პოლ დემენის:*

გადავწყვიტე, გაჩუქოთ ახალი პოეზიის ერთი საათი;

[...]

– ინებეთ პროზა პოეზიის მომავლის შესახებ –  
მთელი ანტიკური პოეზია დაგვირგვინდა ბერძნული პოეზიით, – ჰარმონიული ცხოვრება. – საბერძნეთიდან რომანტიკულ მოძრაობამდე, – შუა საუკუნეები, – გვხვდებიან ნერა-კითხვის მცოდნეები, მელექსეები. ენიუსიდან თეროლდუსამდე, თეროლდუსიდან კაზიმირ დელავინიმდე, ყველაფერი გართმული პროზაა, თამაში, უთვალავი შტერი თაობის მოდონდლოება და განდიდება: რასინი თვით სისპეტაკეა, სიმძლავრე, სილიადე – საკმა-

რისი იყო, სული შეგვებერა მისი რითმებისთვის, აგვერ-  
დაგვერია მისი ჰემისტიქები, რათა ზეციური ყეყეჩი დღეს  
ისევე დავინყებული ყოფილიყო, როგორც *წარმოშობათა*  
რომელიმე პირველყოფილი ავტორი. – რასინის მერე თა-  
მაში ობს იკრავს, ეს თამაში, რომელმაც ორი ათას წელი-  
წადს გასტანა!

არც მასხარაობა, არც პარადოქსი. გონება იმდენად  
აღმავსებს რწმენით ამ საკითხთან დაკავშირებით, რამ-  
დენადაც ნორჩი-საფრანგეთი<sup>2</sup> კი სიძულვილით არ აღე-  
სილა არასდროს. სხვამხრივ, დაე *ახლებმა!* დაგმონ წინაპ-  
რები: შინ ვართ და დროც თავზე საყრელია.

რომანტიზმი სათანადოდ არასდროს განსჯილა. ვის  
უნდა განესაჯა ის? კრიტიკოსებს!! რომანტიკოსები,  
რომლებიც ასე მშვენივრად ასაბუთებენ, რომ სიმღერა  
ძლიერ იშვიათადაა ნამუშევარი, ესე იგი აზრი ნამღერი  
და *გაგებული* მომღერლის მიერ?

რადგან მე არის სხვა. რა საყვირის ბრალია, თუკი იღ-  
ვიძებს და ბუკია. ეს ცხადზე ცხადია ჩემთვის: მე ჩემი  
აზროვნების გამოჩეკვის მომსწრე ვარ: მე მას ვუყურებ,  
ვუსმენ: მშვილდ-ისარს ვტყორცნი: სიმფონია მოძრაობას  
ინყებს, სიღრმეებში, ანდა მთელი ძალით ამოხეთქავს  
სცენაზე.

ბებერ ჩერჩეტებს საკუთარი მესთვის მხოლოდ არას-  
ნორი მნიშვნელობა რომ არ გამოენახათ, აღარც ჩვენ  
მოგვინევდა ახლა, მოგვეხვეტა ეს მილიონობით ჩონჩხი,  
რომლებიც უხსოვარი დროიდან მოყოლებული, აგროვებ-  
დნენ თავიანთი დაბრეცილი ტვინების ნაყოფს, თან მწერ-  
ლობას იჩემებდნენ!

საბერძნეთში, როგორც ვთქვი, ლექსები და ლირები  
*რითმავენ ქმედებას*. შემდგომ, მუსიკა და რითმები თა-  
მაშია, განტვირთვა. ამ წარსულის კვლევა ნუსხავს ცნო-

ბისმოყვარეებს: ბევრს აბედნიერებს ამ ანტიკურობათა განახლება: – ნება მათია. უნივერსალური ჭკუა-გონება, ცხადია, ყოველთვის აფრქვევდა თავის იდეებს; ადამიანები მოკრეფდნენ ხოლმე ტვინის ამ ნაყოფის გარკვეულ ნაწილს: მათზე მოქმედებდნენ, წიგნებს წერდნენ მათზე: ჰოდა, საქმეც ასე მიდიოდა, ადამიანი არ მუშაობდა თავის თავზე, არ იყო ჯერ გამოლვიძებული, ანდა ჯერ არ ჩაეყვინთა დიდი სიზმრის სისავსეში. მწერლები საჯარო მოხელეები იყვნენ: მწერალს, შემოქმედს, პოეტს, ამ კაცს არასდროს უარსებია!

სულ პირველი კვლევა კაცისა, რომელსაც პოეტობა სურს, სრული თვითშემეცნებაა; ის თავის სულს ეძებს, მასში იჩხრიკება, ცდის მას, სწავლობს. შეიცნობს თუ არა, უნდა შეუდგეს მის აყვავებას; ერთი შეხედვით მარტივი ჩანს: ყველა ტვინში მიმდინარეობს ბუნებრივი განვითარდება; რამდენი *ეგოისტია*, თავს რომ ავტორად აცხადებს; არიან კიდევ ისეთებიც, საკუთარ თავს რომ მიაწერენ თავიანთ ინტელექტუალურ წინსვლას! – მაგრამ საჭიროა სულის გაურჩხულება: კომპრაჩიკოების<sup>3</sup> მსგავსად, თუ გნებავთ! წარმოიდგინეთ კაცი, რომელიც სახეზე მეჭეჭებს ირგავს და მათ უვლის.

მე ვამბობ, რომ უნდა იყო *მხილველი*, უნდა აქციო თავი *მხილველად*.

პოეტი *მხილველი ყველა გრძნობის* ხანგრძლივი, კოლოსალური, გონივრული *აღრვეის* შედეგად ხდება. სიყვარულის, ტანჯვის, სიგიჟის ყველა სახეობა; ის იქექება საკუთარ თავში, ამოწურავს იქ ყოველგვარ საწამლავს, რათა დატოვოს მხოლოდ უმთავრესი. აღუწერელი ტანჯვა, რომელიც მისგან უსაზღვრო რწმენას, უსაზღვრო ზეადამიანურ ძალებს მოითხოვს, რაც მას აქცევს უდიდესად დიდ ავადმყოფთა, დიდ დამნაშავეთა, დიდ წყევლთა შორის,

– და უზენაეს სწავლულად! – რადგან მან ჩააღწია *შეუცნობლამდე!* რადგან მან ააყვავა თავისი ისედაც მდიდარი სული მეტად, ვიდრე ვინმე სხვამ! ის მისწვდა შეუცნობელს და როდესაც ჭკუიდან შეშლილი, ბოლოსდაბოლოს დაკარგავს თავისივე ხილვების ცოდნას, მას ისინი ნანახი ექნება! დაე ის მოკვდეს ამ გაუგონარ და აღუწერელ რამეებში გაღალღობისას: მოვლენ სხვა სამინელი მონაფეები; ისინი დაინყებენ იმ ჰორიზონტებიდან, სადაც წინა დაილუპა!  
[...]

განვაგრძობ:

ანუ პოეტი მართლაც ცეცხლის ქურდია.

ის პასუხს აგებს კაცობრიობაზე, *ცხოველებზეც* კი; ის ვალდებულია განაცდევინოს, შეახოს, შეასმინოს თავისი გამოგონებები; თუკი იმას, რაც *მიღმიდან* მოაქვს, სხეული გააჩნია, მაშინ ის განასხეულებს; თუ უფორმოა, უფორმობას ანიჭებს. საჭიროა ენის პოვნა;

– საერთოდ, რამდენადაც ყველანაირი მეტყველება იდეაა, დადგება უნივერსალური ენის დრო! აკადემიკოსი უნდა იყო, – ნამარხზე მეტად მკვდარი, – რათა ნებისმიერი ენის სიტყვის კონა სრულჰყო. სუსტებს ანბანის პირველივე ასო *საგონებელში* ჩააგდებთ, რაც მალევე სიგიჟეში ამოაყოფინებთ თავს! –

ეს იქნება ენა სულისა სულისთვის, ყოველივეს შემაჯამებელი, სურნელების, ხმების, ფერების, აზრისა, რომელიც იკრავს აზრს და გასტყორცნის მას. პოეტი დაადგენს შეუცნობლის რაოდენობას, რომელიც თავის დროზე იღვიძებს უნივერსალურ სულში: ის გასცემს მეტს, ვიდრე თავისი აზრის ფორმულას, ვიდრე საკუთარი *პროგრესისკენ სვლის* აღნიშვნას! უზომობა იქცევა საზომად, ყველას მიერ შთანთქმული, პოეტი იქნება, ჭემმარიტად, *პროგრესის გამამრავლებელი!*

ეს მომავალი, როგორც ხედავთ, მატერიალისტურია. – მუდამ სავსე რიცხითა და ჰარმონიით, ეს ლექსები შეიქმნებიან იმისთვის, რომ დიდხანს დარჩნენ. – სინამდვილეში, ეს ჯერ კიდევ ცოტა არ იყოს ბერძნული პოეზიაა.

მარადიულ ხელოვნებას თავისი დანიშნულებები ექნება, რამდენადაც პოეტები მოქალაქეები არიან. პოეზია მეტად აღარ გართმავს ქმედებას; ის მას წარუძღვება.

ეს პოეტები იარსებებენ! როდესაც დაიმსხვრევა ქალის დაუსრულებელი მსახურება, როდესაც ის იცხოვრებს თავისთვის და თავისით, მიანიჭებს რა კაცი, – ამ დრომდე საძაგელი, – მას თავისუფლებას, ისიც პოეტი იქნება! ქალი მიაგნებს შეუცნობელს! განსხვავდებიან მისი იდეების სამყაროები ჩვენებისგან? – ის მიაგნებს უცნაურ, მიუწვდომელ, შემადრწუნებელ, მადისაღმძვრელ რამეებს; ჩვენ მათ მივიღებთ, ჩვენ მათ გავიგებთ.

## მთვრალი ნავი

რომ ვეშვებოდი მე გულცივი მდინარეებით,  
ველარ ვიგრძენი წინამძღოლად ჩემი მზიდები:  
მყვირალა წითელკანებს რომ აელოთ სამიზნედ  
ჰყავდათ რა ფერთა ძელებზე შიშვლად მილურსმნულები.

არ მადარდებდნენ არანაირი ეკიპაჟები,  
არც ფლანდრიული ხორბალი არც ინგლისური ბამბა.  
აურზაურით რომ მოათავეს ჩემი მზიდები  
მდინარეებმა მაშინ გამიშვეს სადაც მინდოდა.

მიმოქცევათა გამძვინვარებულ დგაფადგუფს, ხმაურს,  
მე, გასულ ზამთარს, ბავშვის ძილზე უფრო მეტად ყრუ,  
შევეფარე! არცერთ გატყორცნილ ნახევარკუნძულს  
არ განუცდია ამაზე დიდი აყალმაყალი.

ქარიშხალმა დალოცა ზღვად ჩემი გამოღვიძება,  
საცობზე მსუბუქი, ვცეკვაავდი ტალღებზე, რომლებზეც  
ამბობენ მსხვერპლთა მარადიულ ბორბლებს, ათი ღამე,  
არ მინანია ერთხელაც კი შტერთა ფუყე მზერა!

მეტად ტკბილმა ვიდრე ბავშვებისთვის ვაშლის მჭლე ხორცი,  
მწვანე წყალმა გამომიჭყიპა ფიჭვის ნაჭუჭი,  
და ღვინის ლურჯი ლაქებისა და ნარწყევისგან  
მე გამწმინდა, თან დამიმსხვრია საჭეც და ლუზაც.

და მას მერე განვიბანე ზღვის პოემაში,  
ვარსკვლავებთან ნაზიარები და რძისმაგვარი,  
ამწვანებულ ზეცას ვსანსვლავდი; სადაც, ღონემიხდილ  
ნაყარნუყარში, ხანდახან ეშვება დამხრჩვალ კაცი;



სადაც, აფერადებენ წამიერად სილურჯეებს,  
დღის ოქროელვარების ქვეშ ჩუმი ბოდვა, მუსიკა,  
ალკოჰოლზე მეტად ძლიერი, ჩვენ ლირებზე ვრცელი,  
სიყვარულის მენამულ სიმწარეებს ადულებენ!

მე ვიცი ზეცა გაპობილი ელვარებით, ვიცი  
უკუნაკადი, დინება, ჭავლი: ვიცი სალამო,  
განთიადი, დიდებული, როგორც მტრედების ჯარი,  
და ერთიორჯერ ვიხილე კიდევ რაც ადამიანს მოლანდებია!

ვნახე მზე დაბლა, დალაქული იდუმალი შიშით,  
რომ ასხივებდა იასამნისფრად შედედებული  
უძველეს წარმოდგენათა მსახიობების მსგავსად  
ჩანდა შორით დინებათა დარაბების ურჟოლა!

დამესიზმრა მწვანე ღამე დაბრმავებულ თოვლში,  
კოცნა ნელ-ნელა აღმართული ზღვის თვალეზამდე,  
შემზარავი წვენი აქეთ-იქით დენა უწყვეტი,  
და მომღერალი ფოსფორების ლურჯყვითელი გამოღვიძება.

შლეგი ღორობის მსგავსი თვეების მანძილზე ვსდიე  
რიფების მოდგაფუნე ზღვის ლელვას, ვერც წარმოვიდგენდი  
რომ ღვთისმშობელთა მანათობელი ფეხისწვერები  
საცხვირეებად მოერგებოდნენ მქშენ ოკეანეს.

მე თავს დავესხი, იცით, დაუჯერებელ ფლორიდებს,  
ყვავილებს ვურევდი კაცისტყავიან ავაზის  
თვალებს, ცისარტყელები ლაგამივით ამოსდებოდნენ  
ზღვას ჰორიზონტქვეშ, მონაცრისმწვანო ცხვრების ფარაში!

მე ვიხილე უზარმაზარ ჭაობთა დუღილი,  
დამბები სადაც ლერწმებში გაიხრწნა ლევიათანი!  
წყალთა ჩამოქცევა დროებითი მიძინების ჟამს,  
და სიშორეთა უფსკრულებში ჩანჩქერად ვარდნა!

მყინვარები, ვერცხლის მზეები, მგზებარე ზეცა!  
გამორიყვა საზარელი ზღვის ყავისფერი ყურის შლამში,  
სადაც კედლის ტილებისგან შეჭმული ვეება გველები  
ცვივა, დაგრეხილი ხეებიდან, ბნელსურნელებით!

მე მინდოდა ბავშვებისთვის მეჩვენებინა ეს ლურჯი  
ტალღის დორადები, ეს ოქროს მომღერალი თევზები.  
– ყვავილების ქაფმა დამირწია ნელი დინება  
და უთქმელმა ქარებმა წამიერად შემსხეს ფრთები.

ხანდახან, მონამე დაქანცული პოლუსებისა და  
ზონებისაგან, ზღვა, რომლის კენესა კანკალს მიტკობდა,  
მანვდიდა თავის ყვითელშემწოვიან ყვავილარდილებს  
და მე ვრჩებოდი, ასე, მუხლმოყრილი დედაკაცივით...

თითქმის კუნძული, მოისროდა ჩემ ნაპირებზე ქიშკს  
და ქერათვალემა ჭორიკანა ჩიტების სკლინტებს.  
მე ვქროდი, სანამ ჩემი გაცვეთილი გემთსართავებით  
დამხრჩვალეები ეშვებოდნენ დასაძინებლად.

ხოლო მე, ნავი დაკარგული ზღვის უბეთა თმებში,  
გრიგალის მიერ მომწყვდეული უჩიტო ეთერში,  
მე, რომლის წყლისგანდამთვრალ კარკასს ვერც მონიტორები,  
ვერც ჰანზოს გემები მეტად ველარ გამოთევზავდნენ;

ლალი, მბოლავი, წარმოქმნილი იისფერი ბურუსებისგან,  
მე, ვინც ვხვრეტდი ანითლებულ ცას როგორც კედელს,  
რომ ატარებს, ნატიფ ხილფაფად კარგი პოეტებისთვის,  
მზიურ ლიქენსა და ლაჟვარდოვან ცინგლებს;

ელექტრული ნახევარმთვარეებით დანინკლული,  
შლეგი ფიცარი, შავი ცხენთევზებით გარშემორტმული,  
მივრბოდი ოდეს ივლისები კეტისცემით ამტვრევდნენ  
ცას, რომელსაც ცეცხლის მილები ცისფრად აკაშკაშებდნენ.

მე, რომელიც ვკრთოდი, ორმოც ლიეში როცა ვგრძნობდი  
ბეჭემოთების აღზნებას და დასიებულ მორევებს,  
ლურჯ უმოძრაობათა მარადიულ ციბრუტს, მე  
მენატრება ევროპა წარსული პარაპეტებით!

მე ვიხილე ვარსკვლავურ კუნძულთა ჯგუფები! და კუნძულები  
რომელთა მბოლავი ცეპი იალქნოსნებს კარად ეღებთან:  
– ნუთუ ეს უძირო ღამეებია, რომლებშიც გძინავს და იხიზნები,  
ო ათასობით ოქროს ფრინველო, ო მომავალო ძალმოსილება! –

ჰო, მართალია, მეტისმეტად ბევრი ვიტირე! განთიადი  
მტანჯავს.

ყველა მზე ულმობელია, ყველა მთვარე არის მწარე:  
ცხარე სიყვარულმა მათრობელა უმოძრაობით გამბერა.  
ო, დაე კიფო გამისკდეს! ო, დაე მივცე თავი ზღვას!

მე თუ ევროპის რომელიმე წყალი მწადია,  
შავი, ცივი გუბურაა, სადაც სურნელოვან მწუხრში  
ბავშვი ჩახრილი, მარტოსული და სევდით სავსე,  
ხელს უშვებს მყიფე ნავს როგორც პეპელას მაისში.

მეტად ვერ შევძლებ, თქვენი სისუსტით განბანილი, ტალღებო,  
ნავუშალო ბამბის მზიდავებს თავიანთი ქავლი,  
ვერც – გადავკვეთო დროშათა ამპარტავნების ალი,  
ვერც – მცურავ საპყრობილეთა შემზარავი მზერის ქვეშ  
ვიცურო.

## ხმოვნები

ა შავი, ე თეთრი, ი ნითელი, მწვანე უ, ლურჯი  
ო: ხმოვნებო, მოვყვები ერთ დღეს თქვენს ფარულ შობას:  
ა, შავი კორსეტი, მანათობელ ბუზებით ნაქარგი,  
სასტიკ სიმყრალეებს, ლანდთა ყურეებს მარადის გარს

რომ დაჰბუზიან; ე, სიფაქიზე ნისლთა და კარავთა სინორჩე,  
მყინვარების შუბტყორცნილი სიამაყე, თეთრ მეფეებად  
თრთოლა

ქოლგა-ყვავილეების; ი, მენამულის სისხლად ამოხველება,  
ლამაზ ბაგეთა სიცილი რისხვის ან მონანიე სიმთვრალეთაგან;

უ, ციკლები, ვირიდულ ზღვათა ღელვა ღვთაებრივი,  
ცხოველფენილ საძოვართა მდუმარე სიმშვიდე და  
სიმშვიდე, ალქიმით დაღარული სწავლულ შუბლზე;

ო, საყვირი უზენაესი, უცხო მჭეხარების  
ბუდე, სამყაროებსა და ანგელოზებზე მდუმარებად  
გადახიდული: – ო ომეგა, მის თვალთა იად ნათება.

## ჟამი ჯოჯოხეთში

უნინ, თუ სწორად მახსოვს, ჩემი ცხოვრება იყო ლხინი, სადაც იღებოდა ყველა გული, სადაც ყოველი ღვინო დიოდა.

ერთ საღამოს, კალთაში ჩავისვი სილამაზე. – და მე ის მემწარა. – და მე ის შევაჩვენე.

მე ავმხედრდი სამართლიანობის წინააღმდეგ.

მე გავიქეცი. ო გრძნეულებო, ო მწუხარებავ, ო სიძულვილო, თქვენ მოგანდეთ ჩემი საგანძური!

მე მოვახერხე, გამექრო ჩემს სულში ყველა ადამიანური იმედი. ყოველგვარ სიამეს, რათა დამეხრჩო, თავს დავესხი მძვინვარე მხეცის ფარული ნახტომით.

მე მოვუხმე ჯალათებს, რათა, სიკვდილის წამს, მეკბინა მათი თოფების კონდახზე. მე მოვუხმე ჟამიანობებს, რომ გავეგუდე ქვიშით, სისხლით. უბედურება იყო ჩემი ღვთაება. ლაფში გავწექი. დანაშაულის ჰაერზე გავშრი. და სიგიჟემდე ვიმასხარავე.

და გაზაფხულმა მომიტანა იდიოტის შემზარავი სიცილი.

ხოლო, სულ ახლახან, მზად ჩემი უკანასკნელი *ჩხავილისთვის*, განვიზრახე ძველი დღესასწაულის გასაღების მოძებნა, სადაც, იქნებ, მოვიკრებდი კვლავ ჩემს მადას.

მონყალეებაა ეს გასაღები. – ეს შთაგონება ამტკიცებს, რომ ყოველივე სიზმარი იყო!

„შენ მარად მაგ აფთრად დარჩები...“ და ა.შ., გაჰყვირის დემონი, რომელმაც დამაგვირგვინა ასეთი მიმზიდველი ყაყაჩოებით. „მოიპოვე სიკვდილი მთელი შენი მადებით, და შენი ეგოიზმით და ყველა შენი მომაკვდინებელი ცოდვით.“

აჰ! მეტისმეტი მომივიდა: – მაგრამ, ძვირფასო სატანა, გევედრებით, მარგუნეთ ნაკლებ მრისხანე მზერა! და ორიოდე მცირე სიმხდალის მოლოდინში, თქვენ, ასე რომ გიყვართ მწერალში აღწერილი და აღმზრდელობითი უნარების არქონა, გიხვეთ ამ რამდენიმე საძაგელ გვერდს ამ ჩემი წყეულის რვეულიდან.

## ცუდი სისხლი

ჩემ გალ წინაპართაგან მე მხვდა თვალი ლურჯთეთრი, ვინრო თავის ქალა, და მოუქნელობა ბრძოლაში. ოღონდ მე თმებს არ ვიზელ კარაქით.

გალები იყნენ თავისი დროის ყველაზე უნიათო მხეცთა გამტყავებლები, ბალახის მწველები.

მათგან მაქვს: კერპთაყვანისმცემლობა და გრძნეულებათა სიყვარული; – ო! ყველა მანკიერება, რისხვა, ფუფუნება, გულისთქმა, – დიდებულთა, გულისთქმა; – უპირველეს ყოვლისა, სიცრუე და სიზარმაცე.

მძაგს ყველა ხელობა. ოსტატები და მუშები, ყველა გლეხთა, სულმდაბალი. კალმისტრიანი ხელი სახნისიანი ხელის ფასია. – ნამდვილი ხელების საუკუნე! – მე არასდროს მექნება ჩემი ხელი. მერე, მეოჯახეობას მეტისმეტად შორს მივყავართ. მათხოვართა პატიოსნება მტანჯავს. დამნაშავეები ისევე მძაგებენ, როგორც საჭურისები: რაც მე შემეხება, ხელუხლებელი ვარ, და ჩემთვის სულერთია.

მაგრამ! ვინ ქმნა ჩემი ენა იმდენად ვერაგი, რომ აქამდე გაუძღვა და დაიცვა ჩემი სიზარმაცე? ისე, რომ ჩემი სხეულიც კი არასდროს მომიხმარია ფულის საშოვნელად, და, გომბეშოზე მეტად უქნარამ, მე ყველგან ვიცხოვრე. ერთი ოჯახიც არაა ევროპაში, რომ არ ვიცნობდე. – ვგულისხმობ ისეთ ოჯახებს, როგორიც ჩემი იყო, ყველაფერს რომ კაცის უფლებათა დეკლარაციას უმადლიან. – არ ყოფილა არცერთი ოჯახის შვილი, რომ არ გამეცნო!



რომ მყოლოდა წინაპრები საფრანგეთის ისტორიის რომელიმე წერტილში!

მაგრამ არა, არაფერი.

სრულებით ცხადია ჩემთვის, რომ ყოველთვის მდაბალი მოდემისა ვიყავი. ამბოხი გაუგებარია ჩემთვის. ჩემი მოდგმა ფეხზე არასდროს წამომდგარა, გარდა ძარცვისათვის: როგორც მგლები ესხმიან მხეცს, რომელიც არ მოუკლავთ.

მე მახსოვს საფრანგეთის, ეკლესიის პირმშო ქალწულის ისტორია. მე, ვითარცა ყმა, მოვივლიდი წმინდა მიწებს; თავი მაქვს სავსე შვაბური ტრამალების გზებით, ბიზანტიის ხედვებით, სოლიმას ქვის გალავნებით: ღვთისმშობლის კულტი, თანაგრძნობა ჯვარცმული ქრისტესთვის იღვიძებენ ჩემში ათას მკრეხელურ ზმანებას შორის. — მე, კეთროვანი, ჩამოვმჯდარვარ თიხის ქოთნების ნამტვრევებსა და ჭინჭრებში, მზისგან ამოხრული კედლის ძირას. — მოგვიანებით, ამჯერად დაქირავებული ჯარისკაცი, ბანაკს დავცემდი გერმანიის ღამეების ქვეშ.

ჰო! კიდევ: ნითელ ტიტვლობზე, ტყეში, ალქაჯურ შაბაშს ვცეკვავ მოხუც ქალებთან და ბავშვებთან ერთად.

ჩემი მეხსიერება არ სწვდება, წარსულში, ამ მიწასა და ქრისტიანობაზე შორს. ჩემს თავს მე ყოველთვის ამ წარსულში დავინახავ. მაგრამ მუდამ ეულს; ოჯახის გარეშე; და, სულაც, რა ენაზე ვლაპარაკობდი? ჩემს თავს ვერასდროს ვხედავ ქრისტეს საბჭოებში; ვერც დიდგვაროვანთა — ქრისტეს წარმომადგენელთა — საბჭოებში.

რა ვიყავი გასულ საუკუნეში: მხოლოდ აწმყოში ვახერხებ ჩემი თავის ამოცნობას. აღარცერთი მანანწალა, აღარავითარი გაურკვეველი ომები. მდაბალმა რასამ ყველა-

ფერი მოიცვა – ხალხი, როგორც ამბობენ, გონება, ერი, მეცნიერება.

ო! მეცნიერება! ყველაფერს მოევლო. სხეულისა და სულისთვის, – ვიატიკუმი, – გვაქვს მედიცინა და ფილოსოფია, – ბებიაქალების ნამლები და გადაწყობილი სახალხო სიმღერები. და თავშესაქცევი უფლისწულთათვის, და თამაშები, რომლებსაც ისინი კრძალავდნენ! გეოგრაფია, კოსმოგრაფია, მექანიკა, ქიმია!...

მეცნიერება, ახალი დიდგვაროვნება! პროგრესი. სამყარო წინ მიდის. ვითომ რატომ არ უნდა იტრიალოს?

ეს რიცხვების ხილვაა. ჩვენ *სულისაკენ* მივემართებით. ეჭვგარეშეა, წინასწარმეტყველება, რასაც ვამბობ. მე მესმის, და, რადგან არ ძალმიძს აზრის გამოთქმა წარმართული სიტყვების გარეშე, კრინტს აღარ დავძრავ.

–

წარმართული სისხლი ბრუნდება! სული ახლოა; რად არ მეხმარება ქრისტე ჩემი სულისთვის კეთილშობილებისა და დიდსულოვნების მინიჭებით? აფსუს, სახარებამ ჩაიარა! სახარება! სახარება.

ღმერთს მოველი მადააღძრული. მე მდაბალი მოდგმისა ვარ აწ და მარადის.

ესეც მე არმორიკულ სანაპიროზე. დაე ქალაქები განათდნენ საღამოჟამს. ჩემი დღე დასრულებულია; ვტოვებ ევროპას. ზღვის ჰაერი დამწვავს ფილტვებს; უცხო ჰავაში გავირუჯები. ვიცურო, ბალახი ვთელო, ვინადირო, რაც მთავარია, პაპიროსი ვაბოლო; ვსვა სასმელი, მძიმე, როგორც მდულარე ლითონი, – როგორც სჩვეოდათ ჩემს ძვირფას წინაპრებს, კოცონის გარშემო.

მე დავბრუნდები, რკინის კიდურებით, მუქი კანით, მრისხანე თვალით; ჩემი ნილაბი ხალხს აფიქრებინებს, რომ ძლიერთა მოდგმას ვეკუთვნი. ოქრო მექნება: ვიქნები უდარდელი და უღმობელი. ქალები უვლიან ამ ცხელი ქვეყნებიდან დაბრუნებულ ხეიბრებს. პოლიტიკაში გავერევი. ხსნილი.

ახლა დაწყველილი ვარ, მძაგს სამშობლო. ყველაფერს სანაპიროზე გამოტყვრომა და ძილი სჯობს.

—

არსად მივდივართ. — აქედან განვავრძოთ ბილიკები, მოკირწყლული ჩემი მანკიერებით, მანკიერებით, რომელმაც ტანჯვის ფესვები გაიდგა ჩემს გვერდში, მას მერე რაც გონიერების ასაკი დაიწყო, — რომელიც ცაში იჭრება, მცემს, მაყირავებს, დამათრევს.

უკანასკნელი უმანკოება და უკანასკნელი სიმორცხვე. თქმულია. არაა საჭირო, სამყაროს დასანახად გამოვფინო ჩემი მრავალი ზიზლი და ღალატი.

აბა, ნავედით! მარში, ტვირთი, უდაბნო, მონყენილობა და რისხვა.

ვის მივეთხოვო? რომელ მხეცს ვეთაყვანო? რომელ წმინდა ხატს ვესხმით თავს? რომელი გულები დავეკოდო? რომელ სიცრუეს დავუჭირო მხარი? რომელ სისხლში გავტოპო?

ავლობებს, მართლმსაჯულებისგან შორს მეჭიროს თავი. — მძიმე ცხოვრება, მარტივი დამტერება, — ავხადო, გამომშრალი მუშტით, თავი კუბოს, ჩამოვჯდე, გავიგუდო. ამრიგად, აღარავითარი სიბერე, არც საფრთხე: შიში ფრანგული სიტყვა არაა.

– აჰ! ისე სრულებით ვარ მიტოვებული, რომ ნებისმიერ ღვთიურ ხატს ვთავაზობ ზიგს სრულყოფისაკენ.

ო, ჩემი თვითაღკვეთა, ო, ჩემი გასაოცარი მოწყალეობა! და მაინც: აქ, დაბლა!

*De profundis, Domine*, რა შტერი ვარ!

–

სულ პატარაობიდან აღმაფრთოვანებდა ის ურჩი ტუსალი, მუდამ ცხვირწინ რომ ეხურება საპყრობილის კარი; მოვივლიდი ხოლმე სასტუმროებსა და ბინებს, მას რომ შეეძლო, ეკურთხებინა იქ გაჩერებით; მე *მისი წარმოდგენით* ვხედავდი ლურჯ ცასა და სოფლის აყვავებულ შრომას; ქალაქებში მის განწირულობას განვიცდიდი. ძალით ის წმინდანს აღემატებოდა, სალი აზრით – მოგზაურს, – და თავად, მხოლოდ თავად! თავისი დიდებისა და სიმართლის მონმედ.

გზებზე, ზამთრის ღამეობით, უსახლკაროდ, უტანსაცმლოდ, ულუკმაპუროდ, ეული ხმა იპყრობდა ჩემს გაყინულ გულს: „სისუსტე თუ ძალა: ეგეც შენი ძალა. შენ არ უწყი არც საით მიდიხარ, არც რისთვის მიდიხარ; ყველგან შეაბიჯე, ყველას გაეცი პასუხი. იმაზე მეტად ვერ მოგკლავენ, ვიდრე გვამი რომ ყოფილიყავი.“ დილაობით ისეთი გზააბნეული გამოხედვა მქონდა, ისეთი უსიცოცხლო გამომეტყველება, რომ იმათ, ვინც გზად შემომხვდა, *შეიძლება ვერ დამინახეს*.

ქალაქებში, უეცრად, გუბურა მეცხადებოდა წითლად და შავად, როგორც სარკე, როდესაც ნათურა ქანაობს გვერდით ოთახში, როგორც საგანძური ტყეში! წარმატებები, დავიყვირებდი, და ცაში დავინახავდი ზღვას, ააღე-

ბულს და მხრჩოლავს; და, ხელმარცხნივ, ხელმარჯვნივ, სამყაროს ყველა სიმდიდრეს, ათასობით ჭქეა-ქუხილად მოგიზგიზეს.

მაგრამ ორგია და ქალთა ამხანაგობა აკრძალული მქონდა. ერთი თანამგზავრიც კი არ მყოლია. ჩემს თავს ვხედავდი გაცოფებული ბრბოს წინაშე, სადამსჯელო რაზმის სამიზნედ, იმ უბედურების დამტირებელი, მათ რომ ვერ გაიგეს, და მიმტევებელი! – როგორც ჟანა დ'არკი! – „მღვდლებო, მასწავლებლებო, ოსტატებო, შეცდომას უშვებთ, მე რომ მართლმსაჯულებას გადამცემთ. მე არასდროს ამ ხალხს არ ვეკუთვნოდი; მე არასდროს ქრისტიანი არ ვყოფილვარ; მე იმ მოდგმისა ვარ, წამები-სას რომ მღეროდა; ჩემთვის გაუგებარია კანონები; მე არ მაქვს ზნეობის აღქმა, მე პირუტყვი ვარ: თქვენ ცდებით.“

ჰო, ჩემი თვალები იხუჭება თქვენ სინათლეზე. მე მხეცი ვარ, ზანგი. მაგრამ ჩემი ხსნა კიდევ შეიძლება. თქვენ ცრუ ზანგები ხართ, თქვენ, მანიაკებო, შლეგებო, ძუნწებო. ვაჭარო, შენ ზანგი ხარ; მოსამართლე, ზანგი ხარ; გენერალო, ზანგი ხარ; იმპერატორო, ძველო ქავილო, ზანგი ხარ: შენ სვი დაუბეგრავი სასმელი, გამოხდილი სატანის მიერ. – ციებ-ცხელება და კიბო შთააგონებს ამ ხალხს. ხეიბრები და ბებრები ისეთ პატივში არიან, რომ ითხოვენ, ვინმემ მოხარშოს. – ყველაზე ჭკვიანური ის იქნება, მივატოვო ეს კონტინენტი, სადაც სიგიჟე დაძრწის, რათა მძევლებით მოამარაგოს ეს საბრალონი. მე ვაბიჯებ ქამის შვილთა ჭეშმარიტ სამეფოში.

ჯერაც ვიცნობ ბუნებას? ჩემს თავს ვიცნობ? – *მეყო სიტყვები*. მე მკვდრებს ვმარხავ ჩემს მუცელში. იყვირე, დოლო, იცეკვე, იცეკვე, იცეკვე, იცეკვე! ვერც კი ვხედავ იმ დროს, როდესაც, მოადგებიან რა ნაპირს თეთრკანიანები, არარაობაში ჩავეშვები.

შიმშილო, წყურვილო, იყვირეთ, იცეკვეთ, იცეკვეთ,  
იცეკვეთ, იცეკვეთ!

—

თეთრკანიანები ნაპირს მოადგნენ. ზარბაზანი! ნათ-  
ლობას უნდა დავმორჩილდეთ, შევიმოსოთ, ვიშრომოთ.

გულში წყალობის გასროლა მივიღე. ო! მე მას არ მო-  
ველოდი!

ბოროტება არასოდეს ჩამიდენია. დღენი შემიმსუ-  
ბუქდება, მონანიების ნება მომეცემა. ჩემთვის უცნობი  
იქნება თითქმის სათნოდ მკვდარი სულის ტანჯვები, სა-  
იდანაც აღიმართება სამგლოვიარო სანთლების მსგავსი  
მკაცრი სინათლე. ოჯახის ვაჟთა ხვედრი, სუფთა ცრემ-  
ლებით დაცვარული ნაადრევი კუბო. აღვირახსნილობა  
უდავოდ სისულელეა, სისულელეა მანკიერება; გადასაყ-  
რელია ყველაფერი რაც კი გაიხრწნა. მაგრამ საათი ვერ  
შეძლებს, აღარაფერი დარეკოს, გარდა სუფთა ტკივილის  
ჟამისა! ნუთუ ბავშვივით წამათრევენ, რათა სამოთხეში  
ვითამაშო, დავინყებას მივცე ყველა უბედურება?

დროზე! არის სხვა ცხოვრებაც? — ძილი სიმდიდრეში  
შეუძლებელია. სიმდიდრე მუდამ საჯარო ქონება იყო.  
მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულია ცოდნის გასაღებთა  
მომნიჭებელი. ვხედავ, რომ ბუნება სიკეთის გამოფენაა  
მხოლოდ. მშვიდობით ქიმერებო, იდეალებო, შეცდომებო!

ანგელოზების გონიერი სიმღერა გაისმა მხსნელი ხო-  
მალდიდან: ღვთაებრივი სიყვარულია ეს გალობა. — ორი  
სიყვარული! ორი სიყვარული! შემიძლია, მიწიერი სიყვა-  
რულისგან მოვკვდე, ანდა ღვთისმოსაობისგან. მე მივა-  
ტოვე სულები, რომელთა ტკივილიც გაძლიერდება ჩემი

წასვლით! თქვენ მე მირჩევთ ზღვით გარიყულთა შორის;  
ისინი, ვინც დარჩნენ, განა ჩემი მეგობრები არ არიან?

იხსენით ისინი!

გონიერებამ გაიღვიძა ჩემში. სამყარო კარგია. მე სი-  
ცოცხლეს დავლოცავ. შევიყვარებ ჩემს ძმებს. ეს ბავშვო-  
ბის დაფიცებები აღარაა. და არც იმედი, გავექცე სიბერეს  
და სიკვდილს. ღმერთი მაძლევს ძალას და მე ღმერთს ვა-  
დიდებ.

—

უხალისობა აღარაა ჩემი სიყვარული. მრისხანება, აღ-  
ვირახსნილობა, სიგიჟე, — რომელთა ყველა სწრაფვაც და  
უბედურებაც ნაცნობია ჩემთვის, — ყოველგვარი ტვირთი  
მომეხსნა. დინჯად შევაფასოთ ჩემი უმანკოების საზღვ-  
რები.

მეტად ველარ შევძლებდი, ნუგეშისცემად ბასტონადა  
მეთხოვა. ჩემი თავი საქორწინოდ არ მესახება, არც იესო  
ქრისტე — სიმამრად.

მე არ ვარ ჩემი გონების ტყვე. მე ვთქვი: ღმერთი. თა-  
ვისუფლება მსურს ხსნაში: როგორ ვენიო მას? ქარაფშუ-  
ტა სწრაფვებმა მიმატოვეს. აღარ ვსაჭიროებ არც ღვთის-  
მოსაობას, არც ღვთიურ სიყვარულს. არ მენატრება  
მგრძნობიარე გულთა ხანა. ორივეს აქვს თავისი მიზეზი,  
ზიზღსაც და მოწყალებასაც: მე ვიკავებ ჩემ ადგილს ამ  
სალი აზრის ანგელოზური კიბის კენწეროში.

რაც დადგენილ ბედნიერებას შეეხება, ოჯახურს თუ  
სხვაგვარს... არა, არ შემიძლია. მეტისმეტად გაფანტული  
ვარ, მეტისმეტად სუსტი. სიცოცხლე შრომაში ყვავის,  
ძველისძველი სიბრძნე: რაც მე შემეხება, ჩემი ცხოვრება

საკმარისად მყარი არაა, ის ფრთას შლის და ლივლივებს მალა, შორს ქმედების, სამყაროს ამ ძვირფასი ღერძისგან.

რა შინაბერა ვხდები ნელ-ნელა, ველარ ვბედავ, სიკვდილი მიყვარდეს!

ნეტა ღმერთს მოეცა ჩემთვის ზეციური, ჰაეროვანი სიმშვიდე, ლოცვა – როგორც ძველი წმინდანებისთვის. – წმინდანები, ძლიერნი! ანაქორეტები, ხელოვანები, რომელთა მსგავსნიც აღარავის სჭირდება!

გაუთავებელი ფარსი? ცრემლებს მგვრის ჩემივე უმანკობა. ცხოვრება ყველას საზიდი ფარსია.

–

კმარა, აი სასჯელიც. – *გასწი!*

ო! ფილტვები მეწვის, საფეთქლები გრუხუნებენ! ღამე დაგორავს ჩემს თვალებში, ამ მზის გამო! გული... ხელები...

საით მივდივართ? ბრძოლაში? სუსტად ვარ! სხვები განაგრძობენ. ხელსაწყობი, იარაღები... დრო!...

ცეცხლი! დამიშინეთ! აგერ ვარ! თუ არადა ვნებდები. – მხდალებო! – თავს ვიკლავ! ფეხქვეშ ჩავევარდები ცხენებს!

აჰ!...

– მივეჩვევი.

ეს იქნება ნამდვილი ფრანგული ცხოვრება, ღირსების ბილიკი!



## ჯოჯოხეთის ღამე

მე გადავსანსლე სანამლავის ჩინებული ყლუპი. – სამგზის კურთხეულ იყოს რჩევა, რომელიც მომეცა! – შიგნეულობა მენვის. შხამის სიძლიერე კიდურებს მიგრებს, მამახინჯებს, პირქვე მამხობს. წყურვილისგან ვკვდები, ვიგუდები, ვერ ვყვირი. ეს ჯოჯოხეთია, მარადიული ტანჯვა! ნახეთ, ცეცხლი როგორ ჩაღდება! რა კობტად ვინვი. მიდი, დემონო!

მე თვალი მოვკარი სიკეთესა და ბედნიერებაზე მოქცევას, ხსნას. შემიძლია, ხილვა აღვწერო? ჯოჯოხეთის ჰაერი ჰიმნებს ვერ იტანს! მილიონობით საოცარი არსება ვიხილე, საამური სპირიტუალური კონცერტი, ძალა და მშვიდობა, კეთილშობილი მისწრაფებები, რა აღარ?

კეთისშობილი მისწრაფებები!

და ეს ჯერ კიდევ სიცოცხლეა! – იქნებ ნაწყმედა მარადიულია? კაცი, რომელსაც საკუთარი თავის დასახიჩრება სურს, სრულებით ნაწყმედილია, არა? ჯოჯოხეთში მგონია თავი, მაშასადამე იქ ვარ. ეს კატეხიზმოს აღსრულებაა. ჩემივე ნათლობის მონა ვარ. მშობლებო, თქვენ ჰქმენით ჩემი უბედურება და თქვენვე ჰქმენით თქვენივე. საბრალო უმანკო! – წარმართებს ჯოჯოხეთი თავს ვერ ესხმის.

– ეს სიცოცხლეა ჯერაც! მოგვიანებით, ნაწყმედის სიამენი გაღრმავდებიან. დანაშაული, დროზე, რომ ჩავეშვა არარაში, ადამიანური კანონის გზით.

გაჩუმდი, ხმა ჩაიკმიდე!... ეს სირცხვილია, სირცხვილი და ქენჯნა: სატანა, რომელიც ამბობს, რომ ცეცხლი უღირსია, რომ ჩემი რისხვა საძაგლად სულელურია. – კმარა!... შეცდომანი, რომლებსაც ჩამჩურჩულებენ, გრძნე-

ულებანი, ცრუსურნელებანი, უმნიფარი ჰანგები. – და გაფიქრებაც კი, რომ სიმართლე ჩემია, რომ სამართალს ვხედავ: სალი და მყარია ჩემი განსჯის უნარი, მზად ვარ სრულყოფილებისთვის... ამპარტავნება. – თავზე კანი მიშრება. მონყალება! უფალო, მეშინია. მწყურია, მწყურია! ო! ბავშვობა, ბალახი, ნვიმა, ტბა ქვიან ფერდობზე, მთვარის შუქი როდესაც ზარი თორმეტს ჩამოკრავდა... ეშმაკია სამრეკლოში, ამ დროისთვის. მარია! ღვთისმშობელო!... – მძაგს ჩემი სიშტერე.

იქ, დაბლა, განა ეს სათნო სულები არაა, რომლებსაც ჩემთვის სიკეთე უნდათ?... მოდით... ბალიში მაქვს პირზე აკრული, არ ესმით ჩემი, ლანდები არიან. ისედაც, არავინ არასდროს სხვაზე არ ფიქრობს. არავინ მომიახლოვდეს. დამწვრის სუნი მიდის, უდავოდ.

ურიცხვი ჰალუცინაციები. ჩემთვის მუდამ ასე იყო: ისტორიის მეტად აღარ მწამს, პრინციპებს ვივინყებ. კრინტს არ დავძრავ ამის შესახებ: პოეტები და ვიზიონერები იეჭვიანებენ. ათასგზის ყველაზე მდიდარი ვარ, ჰოდა ვიქნები ზღვასავით ხარბი.

აჰა! ცხოვრების საათი გაჩერდა ამწამს. ამქვეყნად აღარ ვარ. – თეოლოგია არ ხუმრობს, ჯოჯოხეთი ნამდვილად დაბლაა, – და სამოთხე მაღლა. – ექსტაზი, კომმარი, ძილი ალების ბუდეში.

გამჭრიახობითაა სავსე სოფლის დაკვირვებები... სატანა, ფერდინანი<sup>4</sup>, დარბის ველური ფესვით... იესო იასამნისფერ ასკილებში დააბიჯებს, ისე რომ მათ არ თელავს... იესო ამღვრეულ წყლებზე დადიოდა. ფარანმა დაგვანახა ის, ფეხზე მდგარი, თეთრი, ნაბლისფერკულულება, ზურმუხტის ტალღის კალთაზე...

ყველა მისტერიას ავხდის ფარდას: რელიგიურ თუ ბუნებრივ მისტერიებს, სიკვდილს, დაბადებას, მომავალს,

წარსულს, კოსმოგონიას, არარსებობას. ოსტატი ვარ ფანტასმაგორიებში.

მისმინეთ!...

მე ყველა ნიჭს ვფლობ! – აქ არავინაა და არის ვილაც: არ ვისურვებდი ჩემი საგანძურის გაფანტვას. – გსურთ ზანგების სიმღერები, ჰურიების ცეკვები? გსურთ, რომ გავექრე, ჩავყვინთო ბეჭდის საძიებლად? ეგ გინდათ? ოქროს, წამლებს დავამზადებ.

მომანდეთ, მაშ, თავები, რწმენა ანუგეშებს, წარუძღვება, კურნავს. ყველა მოვიდეს – პატარა ბავშვებიც კი, – რათა განუგეშოთ, რათა ჩემი გული თქვენთვის გადმოიღვაროს, – საოცარი გული! – საბრალო კაცნო, მშრომელეზო! ლოცვებს არ ვითხოვ; მხოლოდ თქვენი ნდობაც მეყოფა ბედნიერებისთვის.

– და ჩემზეც ვიფიქროთ. ეს ყველაფერი ჩემში დიდად არ აღძრავს სამყაროსადმი სინანულს. გამიმართლა, რომ მეტად აღარ დავიტანჯები. ჩემი ცხოვრება არაფერი იყო, საამური სიგიჟის გარდა, ეს დასანანია.

აბა! დავიმანჭოთ როგორც კი ძალგვიძს.

უდავოა, სამყაროს გარეთ ვარ. მეტად აღარცერთი ხმა. შეხების აღქმა გამიქრა. აჰ! ჩემი კოშკი, ჩემი საქსონია, ჩემი ტირიფების ტყე. საღამოები, დილები, ღამეები, დღეები... როგორ დავიქანცე!

წესით, ვიმსახურებ ჩემს ჯოჯოხეთს რისხვისათვის, ჩემს ჯოჯოხეთს ამპარტავენებისთვის, – და ჯოჯოხეთს სავსეს ალერსით; ჯოჯოხეთების მთელი გუნდი.

დაქანცულობისგან ვკვდები. ესაა კუბო, მატლებთან მივიღივარ, საშინელებათა საშინელება! სატანა, შე მასხარა, გსურს, რომ გამაღხო, შენი მომხიბვლელით. მე მოვითხოვ. დაჟინებით მოვითხოვ! სამკაპის ერთი ჩხვლეტა, ცეცხლის ერთი წვეთი.

აჰ! კვლავ ცოცხლად რომ წამოვიმართოთ! მზერა ვეს-  
როლოთ ჩვენს სიმახინჯეს. და ეს საწამლავი, ეს ამბორი  
ათასგზის წყეული! ჩემი სისუსტე, სამყაროს სისასტიკე!  
ღმერთო ჩემო, მოიღე წყალობა, დამმაღე, მეტისმეტად  
ცუდად ვიქცევი! – ვარ და არც ვარ დამალული.

ეს ცეცხლია, რომელიც ჩაღდება თავის წაწყმედილ-  
თან ერთად.

## ბოდვები

I

### სულელი ქალწული

-

#### ჯოჯოხეთური მეუღლე

მოვისმინოთ ჯოჯოხეთის თანამგზავრის აღსარება:

„ო, ღვთაებრივო მეუღლე, უფალო ჩემო, არ უკუაგდოთ თქვენი ყველაზე სევდიანი მსახურის აღსარება. დავიღუპე. მთვრალი ვარ. ბინძური ვარ. ეს თუ ცხოვრებაა!

მომიტევით, ზეციურო უფალო, მომიტევით! ო! შემინდე! ცრემლები მხოლოდ! და ისევ ცრემლები მხოლოდ, მოგვიანებით, ვიმედოვნებ!

მოგვიანებით, მე შევიცნობ ღვთაებრივ მეუღლეს! მე მის მსახურად ვიშვი! – ამჟამად, მეორე ახერხებს ჩემს დამარცხებას!

ამჟამად, სამყაროს ფსკერზე ვარ! ო მეგობრებო!... არა, არ არიან ჩემი მეგობრები... არასდროს განმიცდია მსგავსი ბოდვები, არც ტანჯვები... რა შტერობაა!

ო! ვიტანჯები, ვყვირი. მართლა ვიტანჯები. და მაინც, ყველაფრის ნება მაქვს დართული, ყველაზე საძულველ გულთა სიძულვილით ვარ დამძიმებული.

მოკლედ, ვთქვათ ეს აღსარება, სულაც კიდევ ოცჯერ დამჭირდეს მისი გამეორება, – ამ უსიხარულობის, ამ უმნიშვნელობის!

მე ჯოჯოხეთური მეუღლის მონა ვარ, იმის, რომელმაც დაღუპა სულელი ქალწულები. ჰო, სწორედ ეგ დემონია. ის არაა არც აჩრდილი, არც მოჩვენება. მაგრამ მე, რომელმაც დაკვარგე სიბრძნე, წყეული ვარ და მკვდარი სამყაროსთვის, – მე არ მომკლავენ! როგორ აღვინეროთ!

ლაპარაკიც კი აღარ ძალმიძს. მგლოვიარე ვარ, ვტირი, მეშინია. ცოტაოდენი გრილი ნიავი, უფალო, თუ ნება თქვენია, თუ ასეთია თქვენი ნება!

მე ქვრივი ვარ... – ქვრივი ვიყავი... – ო, დიახ, უნინ ძალიან დინჯი ქალი ვიყავი, და იმისთვის არ დაებადებულვარ, რომ ჩონჩხად ვიქცე!... – ის თითქმის სულმთლად ბავშვი იყო...მისმა იდუმალმა სინაზემ და სინატიფემ მაცდუნეს. მე დავივინყე მთელი ჩემი ადამიანური მოვალეობა, რათა მას გავყოლოდი. ესეც თუ ცხოვრებაა! ნამდვილი ცხოვრება აქ არაა. ჩვენ სამყაროში არ ვიმყოფებით. მეც იქ მივდივარ, სადაც ის, ასეა საჭირო. და ხშირად წამოენთება და მრისხავს, *მე, საბრალო სულს*. დემონი! – ის დემონია, ხომ იცით, *არაა ადამიანი*.

ის ამბობს: „მე ქალები არ მიყვარს: სიყვარული გარდასაქმნელია, ეს აშკარაა. ქალებს მეტად აღარაფრის სურვილი ძალუძთ, გარდა უზრუნველი მდგომარეობისა. მოიპოვებენ რა მდგომარეობას, გულს და სილამაზეს გვერდზე გადადებენ: აღარაფერი დარჩა, დღეს, ცივი უგულვებლყოფის გარდა, რომელიც ქორწინების საკვებია. ან კიდევ ვხედავ ქალებს, ბედნიერების ნიშნით დალდასმულებს, რომლებიც შემეძლო, მექცია ჩემს კარგ ამხანაგებად, და რომლებსაც პირველ რიგში სანსლავენ შეშასავით მგრძნობიარე პირუტყვები...“

მე მას ვუსმენდი, გატეხილი სახელი სადიდებლად რომ გამოჰყავდა, სისასტიკეს მომხიბვლელ ელფერს რომ სძენდა. „მე შორეული მოდგმისა ვარ: ჩემი წინაპრები სკანდინავიელები იყვნენ; გვერდებს იხვრეტდნენ, საკუთარ სისხლს სვამდნენ. – მე ჭრილობებით და ტატუებით მოვიხატავ მთელ სხეულს, მინდა მონღოლივით მახინჯი გავხდე: ნახავ, ღრიალით ვივლი ქუჩებში. მინდა სრულებით შევიშალო რისხვისგან. სამკაულებს ნურასდროს და-

მანახებ, იატაკზე გავერთხმები და კრუნჩხვებს მივეცემი. ჩემი სიმდიდრე ყველგან სისხლით დალაქული მსურს. არასოდეს მე არ ვიმუშავებ...“ მრავალი ღამის განმავლობაში მიპყრობდა მისი დემონი, ძირს გავგორდებოდი, მე მას ვებრძოდი! – ღამღამობით, ხშირად, მთვრალი, მისაფრდება ქუჩებსა თუ სახლებში, რათა სასიკვდილოდ დამაფრთხოს. – „ბოლოს მართლა ყელს გამომჭრიან; რა საძაგლობა იქნება.“ ო! ეს დღეები, როდესაც დამნაშავის იერით სურს სეირნობა!

დროდადრო ის საუბრობს, ერთგვარი დარბილებული კილოთი, სიკვდილზე, რომელსაც მონანიება მოაქვს; ბედკრულებზე, რომლებიც უდავოდ არსებობენ; მტანჯველ სამუშაოებზე; განშორებებზე, გულებს რომ გლექვენ. იმ ჩაშვებულ ადგილებში, სადაც ვთვრებოდი ხოლმე, მას ტირილს ჰგვრიდა იმ სიდუხჭირეთა ნახირზე ფიქრი, რომელიც გარს გვერტყა. ბნელ ქუჩებში ფეხზე აყენებდა ხოლმე ლოთებს. პატარა ბავშვებისადმი ის განიცდიდა ცუდი დედის სიბრალულს. – მერე წავიდოდა, სათნოდ, როგორც პატარა გოგონა კატეხიზმოზე. – ის იჩემებდა განათლებას ყველა სფეროში: ვაჭრობა, ხელოვნება, მედიცინა. – მე კუდში ვსდევდი, ასეა საჭირო!

მე ვხედავდი ყოველგვარ მორთულობას, რომლითაც კი გონებრივად იყო გარემოცული: ტანსაცმელები, ქსოვილები, ავეჯი; მე მას ვაწვდიდი იარაღებს, სხვა სახეს. ყველაფერს, რაც მას ეხებოდა, ვხედავდი ისე, როგორც ისურვებდა, შეექმნა თავისთვის. როდესაც გონებით უსიცოცხლო მეჩვენებოდა, მე მას მიყვებოდი, მე, უცნაურ და რთულ, შორეულ, ავ თუ კარგ ქმედებებში: დარწმუნებული, რომ ვერასდროს შევალწევდი მის სამყაროში. მისი ძვირფასი, მიძინებული სხეულის გვერდით, რამდენი ღამის საათი ვიფხიზლე, თავი ვიმტვრიე, ასე ძლიერ რატომ

სურდა რეალობისგან გაქცევა. არასდროს კაცს მსგავსი ნატვრა არ ჰქონია. ვაცნობიერებდი, – ისე, რომ მასზე არ ვდარდობდი, – რომ ნამდვილ საფრთხეს წარმოადგენდა საზოგადოებაში. – იქნებ საიდუმლოებას ფლობს, იცის, როგორ გარდაქმნას ცხოვრება? არა, ის მხოლოდ ეძებს მათ, ვუმეორებდი ჩემს თავს. მოკლედ, მისი მოწყალეობა მოჯადოებულია, და მე მის ტყვეობაში ვარ. არცერთ სხვა სულს არ ექნებოდა საკმარისი ძალა, – სასონარკვეთილების ძალა! – რომ ის აეტანა, რომ ყოფილიყო მის მიერ დაცული და ნაყვარები. ისედაც, არც შემძლო მისი წარმოდგენა სხვა სულთან ერთად: ყველანი ჩვენს ანგელოზს ვხედავთ, არასდროს სხვის ანგელოზს, – ასე მგონია. მე ვიმყოფებოდი მის სულში, როგორც სასახლეში, რომელიც დააცარიელეს, რათა ვერ იხილონ თქვენსავით სულმდაბალი პიროვნება: სულ ესაა. ვაი, რომ ძლიერ ვიყავი მასზე დამოკიდებული. მაგრამ მას რა საქმე ჰქონდა ჩემს მქრქალ, სულმოკლე არსებობასთან? უკეთესს არ მხდოდა, თუ სიკვდილისკენ არ მიმართევდა! სევდით დამწუხრებული, ხანდახან ვეტყვოდი ხოლმე: „მესმის შენი.“ ის მხრებს იჩეჩდა.

ამრიგად ახლდებოდა განუწყვეტლივ ჩემი ნაღველი, და ვხედავდი რა ჩემს თავს უფრო და უფრო გარიყულს, – ისევე, როგორც დამინახავდა ყველა, მარადის ყველასგან დავიწყება რომ არ მქონოდა მოსჯილი! – სულ უფრო და უფრო მწყუროდა მისი სიკეთე. მისი კოცნები, მისი მეგობრული ალერსი ცის კარი იყო ჩემთვის, ბნელი ზეცისა, სადაც ვაბიჯებდი, და სადაც დარჩენას ვნატრობდი, ღარიბი, ყრუ, მუნჯი, ბრმა. ეს უკვე ჩვევად მქცეოდა. ჩვენს თავებს ისე ვხედავდი, როგორც ორ სათნო ბავშვს, თავიანთ ნებაზე რომ შეუძლიათ სევდის სამოთხეში ბოდიალი. კარგად ვერგებოდით ერთმანეთს. ძლიერ აღელ-



ვებულები, ერთად ვმუშაობდით. მაგრამ, სულში ჩამწვდომი მოფერების შემდეგ, იტყოდა ხოლმე: „რა უცნაურად მოგეჩვენება, მას მერე, რაც მე აღარ ვიქნები, ის, რაც გამოიარე. რომ აღარ გექნება ჩემი მკლავები კისრის გარშემო, ჩემი გული, რომ ზედ მოისვენო, არც ეს ტუჩები შენს თვალებზე. რადგან, ერთ დღეს, წასვლა მომიწევს, ძალიან შორს. თან სხვებსაც უნდა დავეხმარო: ესაა ჩემი მოვალეობა. თუნდაც ეს ნაკლებ მადისაღმძვრელი იყოს... ძვირფასო სულო...“ იმწამსვე წარმოვიდგენდი თავს მისი წასვლის შემდეგ, თავბრუსხვევით გონწართმეულს, ჩავარდნილს ყველაზე შემზარავ წყვილადში: სიკვდილში. ვაფიცებდი, რომ არ მიმატოვებდა. მან ის ოცჯერ მაინც დადო, ეს სატრფოს ფიცი. ეს სიტყვები, ისევე ფუჭი, როგორც როცა მე ვეუბნებოდი: „მესმის შენი.“

აჰ! მასზე არასდროს მიეჭვიანია. ის არ მიმატოვებს, ასე მგონია. სხვა რა გზა აქვს? ცოდნა არ გააჩნია; არასდროს იმუშავებს. უნდა, მთვარეულად იცხოვროს. ცარიელი სიკეთე და გულისხმიერება მისცემენ ცხოვრების უფლებას ნამდვილ სამყაროში? დროდადრო მავიწყდება ის საცოდაობა, რომელშიც ჩავვარდი: ის მომცემს ძალას, ვიმოგზაურებთ, უდაბნოებში ვინადირებთ, უცნობი ქალაქების ქვაფენილებზე დავიძინებთ, მოუვლელები და უდარდელები. ან გავიღვიძებ, და კანონები და ზნეობა გარდაქმნილნი დამხვდებიან, – მისი მაგიური ძალის წყალობით; ან იქნებ სამყარომ, უცვლელმა, დამანებოს ჩემი სურვილები, სიამეები, უდარდელობა. ო! თავგადასავლების ცხოვრებას, საბავშვო წიგნებში რომ არსებობს, საზღაურად, იმდენი ვიტანჯე, არ მომცემ? არ შეუძლია. მისი იდეალი უცნობია ჩემთვის. მითხრა, რომ განიცდის სინანულს, იმედებს: ეს ყოველივე ალბათ მე არ მეხება. ღმერთს ხომ არ ელაპარაკება? იქნებ მე უნდა მივმართო

ღმერთს. მე უფსკრულის უღრმეს წყვლიადში ვარ, და აღარ ვიცი როგორ ვილოცო.

თავის სევდებს რომ მიმხელდეს, მათ უკეთ გავიგებდი, ვიდრე მის დაცინვებს? ის მიტევს, მთელ საათებს უთმობს, რომ შემარცხვინოს ყველაფრის გამო, რაც კი ამქვეყნად შემხებია, და აღაშფოთებს, თუკი ავტირდები.

– „ხედავ ამ დახვეწილ ახალგაზრდა კაცს, ლამაზ და მშვიდ სახლში რომ შედის: დუვალია გვარად, ან დუფური, არმანი, მორისი, მე რა ვიცი? ერთმა ქალმა მიუძღვნა თავი ამ მავნე იდიოტის სიყვარულს: ახლა ის მკვდარია, ამჟამად უდავოდ წმინდანი სამოთხეში. შენც ისე მომკლავ, როგორც მან მოკლა ის ქალი. ესაა ჩვენი ხვედრი, ჩვენია ეს დიდსულოვანი გულები...“ ვაი, რომ იყო დღეები, როდესაც ყველა საქმიანი კაცი გროტესკულ ბოძვათა თოჯინად ესახებოდა; საძაგლად და ხანგრძლივად იცინოდა. – შემდეგ კვლავ თავის ახალგაზრდა დედის, უფროსი დის მანერებს უბრუნდებოდა. ასეთი აღვირახსნილი რომ არ იყოს, ჩვენი ხსნა შესაძლებელი იქნებოდა! მაგრამ მისი სიტკბობაც მომაკვდინებელია. მე მას ვემსახურები. – აჰ! შეშლილი ვარ!

შესაძლოა, ერთ დღეს სასწაულებრივად გაქრეს; მაგრამ უნდა ვიცოდე, თუ ზეცაში აპირებს ასვლას, რომ შევძლო, თვალი მოვკრა ჩემი პატარა მეგობრის ამაღლებას!“

უჩვეულო წყვილია!

## ბოდვები

### II

#### სიტყვის აღქმია

ჩემი ჯერია. ჩემ სიგიჟეთაგან ერთ-ერთის ამბავი.

დიდი ხნის განმავლობაში ვიკვებხნიდი ყველა შესაძლო პეიზაჟის ფლობას, და აბუჩად ვიგდებდი მხატვრობისა და თანამედროვე პოეზიის გამოჩენილ ფიგურებს.

ვეტროფოდი სულელურ ნახატებს, მოხატულ ლირსებს კარების თავზე, სასცენო გაფორმებებს, უკანა დეკორაციებს ცირკში, გზისპირა ნიშნებს, იაფფასიან გრაფიურებს; დრომოჭმულ ლიტერატურას, საეკლესიო ლათინურს, მართლწერისგან დაცლილ ეროტიკულ წიგნებს, ჩვენი ბებიების რომანებს, ზღაპრებს, ბავშვობის ციციქნა წიგნაკებს, ძველ ოპერებს, უაზრო რეფერენებს, გულუბრყვილო რითმებს.

ვნატრობდი ჯვაროსნულ ლაშქრობებს, აღმოჩენათა მოგზაურობებს, რომელთა შესახებაც ცნობები არ გვაქვს, რესპუბლიკებს წარსულის გარეშე, ჩახშობილ რელიგიურ ომებს, ზნეობრივ რევოლუციებს, რასათა და კონტინენტთა გადაადგილებებს; ყოველგვარი გრძნეულების მწამდა.

ხმოვნებს ფერებს ვუგონებდი! – ა შავი, ე თეთრი, ი წითელი, ო ლურჯი, უ მწვანე. – ვაკანონებდი თითოეული თანხმოვნის ფორმასა და მოძრაობას, და, ინსტინქტური რითმებით, თავს ვარწმუნებდი, რომ მივაგენი პოეტურ სიტყვას, რომელსაც, ერთ დღესაც, ყველა გრძნობაზე ექნებოდა წვდომა. თარგმანს ჩემთვის ვინახავდი.

თავდაპირველად ეს იყო კვლევა. ვწერდი მდუმარებებს, ლამეებს, გამოუთქმელს ვინიშნავდი. თავბრუსხვევებს ვაშეშებდი.

—

შორს ჩიტების, ჯოგების, სოფლის გოგონებისგან,  
რას ვსვამდი, მუხლმოყრილი მანანებს შორის,  
ნაზი თხილნარით გარშემორტყმული  
და გახვეული შუადღის გრილ-მწვანე ნისლში?

რა უნდა მესვა მე ამ ნორჩ უაზში,  
— უხმო თელები, უყვავილო კორდები, ცა მოქუფრული! —  
მესვა ამ ყვითელ აყიროებთან, ასე შორს ჩემი ძვირფასი  
ქოხიდან? რამე სასმელი, ოქროსფერი და ოფლისმდენი.

თვით მე წარმოვადგენდი სასტუმროს საეჭვო აბრას.  
— მოვარდნილმა გრიგალმა ცა გადარეკა. სალამოს  
ტყის წყალი ქალწულ ქვიშაზე გაუჩინარდა,  
და ღმერთის ქარმა ლოლუები ტბორებში ჩაყარა;

ატირებული, ვხედავდი ოქროს — და ვერრა დავლიე. —

—

დილის ოთხ საათზე, ზაფხული,  
ტრფობის თვლემა გრძელდება ჯერაც.  
ხეებქვეშ ორთქლდება ნაქეიფარი  
სალამოს სურნელი.

დაბლა, თავიანთ უზარმაზარ სანყობში,  
ჰესპერიდების თაკარა მზის ქვეშ,  
უკვე ფუსფუსებენ — პერანგის ამარა —  
დურგლები.

თავიანთ ხავსის უდაბნოში, სიღინჯით  
სავსენი, ამზადებენ ძვირფას ლირსებს,  
რომლებზეც ქალაქი  
დახატავს ცრუ ზეცას.

ო, ამ მომხიბვლელ მუშებისთვის,  
ბაბილონის მეფის ქვეშევრდომთათვის,  
ვენერა! მიატოვე წამით საყვარლები  
რომელთაც სული დაუგვირგვინე.

ო, მწყემსთა დედოფალო,  
ნაულე მშრომელთ ცოტა არაყი,  
რათა ძალები დაიცხრონ  
განსაბანელად შუადღის ზღვაში.

—

პოეტურ ძველმოდურობას დიდი ადგილი ეჭირა ჩემს  
სიტყვის ალქიმიისაში.

უბრალო ჰალუცინაციის მცოდნე ვიყავი: სრულებით  
ნათლად ვხედავდი მეჩეთს ქარხნის ადგილას, ანგელო-  
ზებისგან შემდგარ მედოლეთა გუნდს, ურმებს ზეცის  
გზატკეცილებზე, სასტუმრო ოთახს ტბის ფსკერზე; ურჩ-  
ხულებს, მისტერიებს; ვოდევილის სახელწოდება საშინე-  
ლებებს აღმიძრავდა თვალწინ.

შემდეგ ჩემს მაგიურ სოფიზიმებს სიტყვათა ჰალუცი-  
ნაციით ვხსნიდი!

ბოლოს დავიჯერე ჩემი აღრეული გონების სინმინ-  
დე. უქნარა ვიყავი, მძიმე ციებცხელებათა მსხვერპლი:  
მშურდა მხეცთა სილალის, — მუხლუხოები, ლიმბოს უმან-

კოებას რომ წარმოადგენენ, თხუნელები, ქალწულების  
თვლელმა!

ხასიათი მიფუჭდებოდა. სამყაროს ერთგვარი რომან-  
სებით ვემშვიდობებოდი:

### **უმაღლესი კოშკის სიმღერა**

დაე მოვიდეს, დაე მოვიდეს,  
ჟამი, ერთმანეთს რომ შეგვაყვარებს.

იმდენხანს ვითმინე,  
ალარაფერი მახსოვს.  
შიშმა და სიმძიმემ  
ზეცას მიაშურეს.  
და სნეული წყურვილი  
მიშავებს ვენებს.

დაე მოვიდეს, დაე მოვიდეს,  
ჟამი, ერთმანეთს რომ შეგვაყვარებს.

დავიწყებას მიცემული  
ტრამალის მსგავსებად,  
საკმეველით და სარეველით  
ნაზარდ-ნაყვავილების,  
მძვინვარედ ზუზუნებენ  
იქ ბინძური ბუზები.

დაე მოვიდეს, დაე მოვიდეს,  
ჟამი, ერთმანეთს რომ შეგვაყვარებს.

უდაბნო მიყვარდა, გადამწვარი ბალნარები, გაცვეთილი ფარდულები, ნელთბილი სასმელები. აყროლებულ შუკებში დავეთრეოდი, და, თვალდახუჭული, მზეს ვეძლოდი, ცეცხლის ღვთაებას.

„გენერალო, თუ ერთი ძველი ზარბაზანი შემორჩა შენს ნანგრევებად ქცეულ მიწაყრილებში, დაგვბომბე გამომშრალი ტალახის გუნდებით. ესროლე ყველაზე ბრწყინვალე მალაზიების მინებს! სალონებს! აჭამე ქალაქს თავისი მტვერი. დაჟანგე გარგულიები. აღავსე ბუდუარები ლალების მწველი ფხვნილით...“

ო! სასტუმროს პისუარში დამთვრალი ქინქლა, კიტრი-სუნაზე შეყვარებული, და რომელსაც მზის სხივი ადნობს!

## შიმშილი

თუ რამის მადა მაქვს, მიწა  
და ქვები როდია მხოლოდ.  
ვიკვებები მუდამ ჰაერით,  
კლდეებით, ნახშირით და რკინით.

დატრიალდით, შიმშილებო, იბალახეთ  
ქატოს ყანაში.  
მოაგროვეთ ხვართლას შხამი  
ხალისიანი.

შეექეცით დამსხვრეულ კენჭებს,  
და ძველი საყდრების ლოდებს;  
უხსოვარ წარღვნათა ქვიშებს  
და ნაცრის ველებზე დათესილ კვერებს.

მგელი ყმუოდა ფოთოლნარში  
თან აფურთხებდა ლამაზ ბუმბულებს  
რომ დაუტოვა ფრინველთა ჭამამ:  
მასსავით მეც ჩემსავე თავს ვჭამ.

სალათის ფურცლები და ხილი  
დაკრეფასლა ელოდებიან;  
მაგრამ ტევრის ობობა  
იების გარდა არაფერს შეჭამს.

დაე მეძინოს! დაე ვიდულო  
სოლომონის საკურთხევლებთან.  
ხორცის ნახარში იღვრება ჟანგზე  
და ცედრონს ერევა.

როგორც იქნა, ო ბედნიერება, ო გონება, ციდან  
ვფხერკდი სილურჯეს, რომელიც სიბნელეა, და ვიცხოვ-  
რე, მე, *სუფთა* სინათლის ოქროს ნაპერწკალმა. სიხარუ-  
ლისგან, რაც შეიძლება ჯამბაზურ და წყალწაღებულ გა-  
მომეტყველებას ვიღებდი:

ნაპონია! რა?  
მარადისობა.  
სადაც მზე  
შეერწყმის ზღვას.

სულო ჩემო, მარადიულო,  
აღასრულე შენი ფიცი,



თუმცა ღამე ეულია,  
და ალში გახვეული დღეები ვიცი.

დაეხსენ მაშინ  
ადამიანთა ქებას,  
საზოგადო სწრაფვებს!  
ფრთა მიეცი ნებას...

გვეყო იმედოვნება,  
აღარც *orientur*,  
ცოდნა და მოთმინება  
მოდის სასჯელითურთ.

ხვალე აღარ იქნება,  
აბრეშუმის ლაღარო,  
თქვენი მხურვალეაა  
თქვენივე დავალება.

ნაპოვნია! რა?  
მარადისობა.  
სადაც მზე  
შეერწყმის ზღვას.

—

ზღაპრულ ოპერად გადავიქეცი: ვიხილე, რომ ყოველი ქმედება ბედნიერებისთვისაა განწირული: ქმედება არის არა ცხოვრება, არამედ ერთ-ერთი საშუალება, გარკვეული ძალა გაფლანგო, ერთგვარი აღელვება. მორალი ტვინის სისუსტეა.

ყოველ არსებას, მეჩვენებოდა, მრავალი სხვა ცხოვრება ერგება. ამ ბატონმა არ იცის რას იქმს: ის ანგელოზია. ეს ოჯახი ლეკვების ბუდეა. მრავალთა წინაშე, მთელ ხმაზე ვესაუბრე ერთ წამს მათი ერთ-ერთი სხვა ცხოვრებიდან. – ამგვარად შევიყვარე ღორი.

სიგიჟის – დასაბმელი სიგიჟის, – არცერთი სოფიზმი არ დამვიწყნია: ხელად ჩამოვთვლიდი ყველა მათგანს, სისტემა მაქვს შემუშავებული.

ჩემს ჯანმრთელობას დაემუქრა საფრთხე. შიშმა დაისადგურა. რამდენიმე დღიან ძილს ვეძლეოდი, და, წამომდგარი, განვაგრძობდი უსევდიანესი სიზმრების ხილვას. სასიკვდილოდ მოვმნიფებულებიყავი და, დაღუპვის გზაზე, ჩემს სისუსტეს მივყავდი სამყაროსა და კიმერიის, ლანდებისა და ქარიშხლების მხარის საზღვრებთან.

მომინია, მემოგზაურა, მიმომეფანტა ჩემს ტვინში დაგროვილი გრძნეულებები. ზღვაზე, რომელიც მიყვარდა ისე, თითქოს სიბილწისგან უნდა განვენმინდე, ჩემს წინაშე აღიმართა ნუგეშისმცემელი ჯვარი. ცისარტყელის მიერ ვიყავი წაწყმედილი. ბედნიერება იყო ჩემი ბედისწერა, ჩემი სინანული, ჩემი მატლი: ჩემი სიცოცხლე ყოველთვის მეტისმეტად უზარმაზარი იქნება იმისთვის, რომ ძალას და მშვენიერებას მიეძღვნას.

ბედნიერება! მისი კბილი, სასიკვდილოდ ტკბილი, მაფრთხილებდა მამლის ყივილის ჟამს, – *ad matutinum*, როდესაც *Christus venit*, – ყველაზე ბნელ ქალაქებში:

O saisons, ô châteaux !

რომელი სულია უნაკლო?

ჩავატარე მაგიური კვლევა

სიხარულის, რომლისაც მსხვერპლია ყველა.

ვთქვით ყოველ ჯერზე მისი დიდება  
მამლის ყივილით დღე რომ გათენდება.

მეტად სურვილი აღარ მექნება,  
რაც მან დაიპყრო ჩემი ცხოვრება.

გრძნეულ მოიცვა სხეული, სული  
ძალიხმევისგან განძარცვული.

O saisons, ô châteaux !

ვაი, რომ დაღწევა თავის  
არის სიკვდილის წამი.

O saisons, ô châteaux !

—

ეს ყველაფერი წარსულია. ახლა ვიცი, როგორ ვადიდო  
მშვენებებს.

## შეუძლებელი

აჰ! ეს ცხოვრება ჩემი ბავშვობისა, ფართო შარავზა ყველა ამინდში, ზებუნებრივად ფხიზელი, უფრო მეტად უგულისყურო, ვიდრე მათხოვართა შორის საუკეთესო, ამაყი იმით, რომ არც სამშობლო აქვს, არც მეგობრები, რა სისულელე იყო ეს ყველაფერი. – და ამას მხოლოდ ახლა ვამჩნევ!

– მართალი ვიყავი, რომ მიძულდნენ ეს ბატონები, ხელიდან რომ არ უშვებდნენ ალერსის შესაძლებლობას, ჩვენი ქალების სისუფთავისა და ჯანმრთელობის პარაზიტები, იმავე ქალების, ახლა რომ ასე იშვიათად გვეთანხმებიან.

მართალი ვიყავი ყველა ჩემს ზიზღში: იმიტომ რომ გავრბივარ!

გავრბივარ?

განვმარტავ.

სულ რაღაც გუშინ, ჯერ კიდევ მოვთქვამდი: „ზეცაო! განა საკმარისად წყეულნი არ ვართ, აქ, დაბლა! მე თვითონ რამდენი ხანი დავყავი მათ დასში! ყველა მათგანს ვიცნობ. ერთმანეთს ყოველთვის ვცნობთ; გულს ვურევთ ერთმანეთს. მოწყალება უცხოა ჩვენთვის. მაგრამ თავაზიანები ვართ; სამყაროსთან ჩვენი კავშირი სრულებით რიგიანია.“ განა ეს საკვირველია? სამყარო! ვაჭრები, გულუბრყვილონი! – ჩვენ პატივაყრილები არ ვართ! – მაგრამ რჩეულნი, ისინი როგორ მიგვიღებდნენ? მაგრამ არის აგრეთვე უკმეხი და მხიარული ხალხიც, ცრუ რჩეულები, რადგან ჩვენ გამბედაობა და თავმდაბლობა გვჭირდება მათთან მისასვლელად. მხოლოდ ისინი არიან რჩეულები. კურთხევას არ გასცემენ!

მივაგენი რა ჩემში ორ გროშ საღ აზრს, – მალე გაივლის! – ვხედავ, ჩემი წუხილის წყარო ისაა, თავის დროზე რომ ვერ მივხვდი, რომ დასავლეთში ვიმყოფებით. დასავლური ქაობები! არც ის მგონია, რომ სინათლე გაუფერულდა, ფორმა ამოიწურა, მოძრაობას გზა აებნა... კეთილი! ესეც ჩემი გონი, რომელსაც სურს, აუცილებლად თავის თავზე აიღოს ყველა სასტიკი განვითარება, რაც კი აღმოსავლეთის დასასრულის შემდეგ განიცადა გონება... აღშფოთებულია, ჩემი გონება!

...ჩემი საღი აზრის ორი გროში ამოიწურა! – გონი მბრძანებლობს, სურს, რომ დასავლეთში ვიყო. მისი გაჩუმება მომიწევს, რათა ისე დავასრულო, როგორც მე მსურს.

ჯანდაბაში ვუშვებდი მონამეთა ბზებს, ხელოვნების სხივებს, გამომგონებლების ამპარტავნებას, მძარცველთა გულმოდგინებას; ვუბრუნდებოდი აღმოსავლეთს, პირველქმნილ და მარადიულ სიბრძნეს. – ეს, როგორც ჩანს, ტლანქი სიზარმაცის ზმანებაა!

და მაინც, თანამედროვე ტანჯვათაგან გაქცევის სიამეზე არც კი ვფიქრობდი. ყურანის ნაბიჭვარი სიბრძნე არ იყო ჩემი საფიქრალი. – მაგრამ განა ეს არაა ჭეშმარიტი სასჯელი, რომ მას შემდეგ, რაც განაცხადა მეცნიერება, ქრისტიანობა, კაცი თავს იტყუებს, თვით სიცხადეებს უმტკიცებს თავის თავს, იბერება ამ მტკიცებათა გამეორების სიამოვნებით, და მხოლოდ ასე შეუძლია ცხოვრება? ძლივს შესამჩნევი, შტერული სატანჯველი; ჩემი სპირიტუალური ხეტიალის წყარო. ბუნებას ალბათ ძალუძს მოწყენა! მესიე პრუდომი<sup>5</sup> ქრისტესთან ერთად იშვა.

განა ეს იმის გამო არაა, რომ ბურუსს ვაყვავებთ? ციებ-ცხელებას ჩვენს წყალწყალა ბოსტნეულთან ერთად ვჭამთ. და მემთვრალეობა! და თამბაქო! და უმეცრება!

და თავდადება! – რამდენად შორსაა ყოველივე ეს აღმოსავლეთის, პირვანდელი სამშობლოს აზრისა და სიბრძნისაგან? რისთვის ეს თანამედროვე სამყარო, თუ მსგავსი შხამი გამოიგონება!

ეკლესიის ხალხი იტყვის: ეს ხომ ცხადია. თქვენ ხომ ედემს გულისხმობთ. არაფერია თქვენთვის აღმოსავლელი ხალხის ისტორიაში. – მართალია; სწორედ ედემზე ვფიქრობდი! რა ხელი აქვს ამას ჩემს სიზმართან, ამ ანტიკურ რასათა უმანკობას!

ფილოსოფოსები: სამყაროს ასაკი არ გააჩნია. კაცობრიობა, უბრალოდ, ადგილს იცვლის. დასავლეთში ხართ, მაგრამ თქვენი ნებაა, იცხოვროთ თქვენს აღმოსავლეთში, რამდენადაც გსურთ იმდენად ანტიკურმა, – და კარგადაც იცხოვროთ. ხელს ნუ ჩაიქნევთ. ფილოსოფოსებო, თქვენ თქვენი დასავლეთისანი ხართ.

გაფრთხილდი, ჩემო გონებავ. არავითარი ხსნის ძალადობრივი გზები. გაინძერი! – ეჰ! მეცნიერება მეტისმეტად ნელია ჩვენთვის!

– მაგრამ ვამჩნევ, რომ ჩემს გონებას სძინავს!

იმ წამიდან მოყოლებული სულ ფხიზლად რომ ყოფოლიყო, მალე ჭეშმარიტებას მივალწევდით, რომელიც იქნებ ახლაც გარს გვარტყია თავისი მტირალი ანგელოზებით!... – ამ წამამდე რომ ეფხიზლა, ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ, უხსოვარ დროში, საზიანო სწრაფვებს არ დაენებდი!... – სულმუდამ რომ ეფხიზლა, სრული სიბრძნის იალქნებს გავშლიდი!...

ო სისპეტაკეე! სისპეტაკეე!

ამ გამოფხიზლების წამმა მომცა სისპეტაკის ხილვა! – გონების გზას ღმერთთან მივყავართ!

გულისმომკვლელი უბედურება!

## ელვა

მძიმე ადამიანური გარჯა! ეს აფეთქებაა, დრო და დრო რომ უფსკრულს მინათებს.

„არაფერია ამოება; გაუმარჯოს მეცნიერებას, ჰოდა გასწი!“ გაიძახის თანამედროვე ეკლესიასტე, ანუ მთელი მსოფლიო. ამის მიუხედავად, ავკაცთა და უქნართა გვამები ეცემიან სხვათა გულეებზე... აჰ! ჩქარა, ცოტა აუჩქარე; აი, იქ, ღამის მიღმა, ეს მომავალი, მარადიული ანგარიშსწორებანი... დაფუძვრებით მათ?

– რა ძალმძის? შრომისა ვიცი; და მეცნიერება მეტისმეტად ნელია. დაე ლოცვამ აქენოს და სინათლემ იგრგვინოს... ცხადია ჩემთვის. ეს მეტისმეტად იოლი საქმეა, და მეტისმეტად ცხელა; უჩემოდაც გაართმევენ თავს; მე ჩემი მოვალეობა მაქვს; მრავალთა მსგავსად, მეც ვიამაყებ მისი გვერდზე გადადებით.

ჩემი ცხოვრება გაიცვითა. ნავედით! ვიზარმაცოთ, ვიუქნაროთ, ო სიბრალულო! და გართობ-გართობით განვაგრძობთ ყოფას, ვიოცნებებთ ურჩხულ ტროფობებსა და ფანტასტიკურ კოსმოსებს, თან ვინუნუნებთ და თავს დავესხმით სამყაროს ლანდებს, ჯამბაზს, მათხოვარს, ხელოვანს, ყაჩაღს, – მღვდელს! ჩემ საავადმყოფო სანოლზე, საკმევლის სუნი მომივიდა კვლავ ისე მძლავრად: წმინდათაწმინდა კეთილსურნელებათა მცველი, აღმსარებელი, მოწამე...

მასში ამოვიცანი ბილნი აღზრდა ჩემი ბავშვობისა. მერე რა!... განვვლო ჩემი ოცი წელი, თუ სხვები თავიანთ ოცს გადაიან...

არა! არა! ამჟამად სიკვდილს ვუცხადებ ამბოხს! შრომა ჩემს სიამაყეს მეტისმეტად ემსუბუქება: ჩემგან სამყა-

როს დაღალატება მეტად ხანმოკლე სასჯელი იქნებოდა.  
სულ ბოლო წამს, შევუტევედი, აქეთ, იქით...

ჰოდა – ო! – ძვირფასო საბრალო სულო, მარადისობა  
არ იქნება ჩვენთვის დაკარგული!



## დილა

არ მქონდა განა, ერთ დროს, ახალგაზრდობა, ძვირფასი, გმირული, ზღაპრული, ოქროს ფურცლებზე დაწერის ღირსი, გამართლება და იღბალი! რომელი დანაშაულით, რა შეცდომით დავიმსახურე ამჟამინდელი სისუსტე? თქვენ, ვინც იჩემებთ, რომ მხეცები გოდებენ მწუხარების ცრემლებით, რომ სნეულები უსასობენ, რომ მკვდრები ავსიზმრობენ, სცადეთ ჩემი დაცემისა და ძილის მოყოლა. მე ისევე უძღური ვარ, რამე ავხსნა, როგორც მათხოვარი, თავისი უთავბოლო პატერებითა და ავე მარიებით. მე ლაპარაკი აღარ ძალმძის!

და მაინც, მწამს, დღეს, მოვამთავრე ჩემი ჯოჯოხეთის თხრობა. ეს ჭეშმარიტად ჯოჯოხეთი იყო; ძველისძველი, ის, რომლის კარებიც შეაღო ძემ კაცისა.

იმავე უდაბნოდან, იმავე ღამით, მარად ჩემს დაქანცულ თვალებს აღვიძებს ვერცხლის ვარსკვლავი, მარად, მაგრამ სიცოცხლის მეფეებს ეს არ აღელვებს, სამ მოგვს, გულს, სულს, გონებას. როდის გავეშურებით, ნაპირებისა და მთების გადაღმა, რათა ვადიდოთ ახალი საქმის დაბადება, ახალი სიბრძნე, ტირანთა და დემონთა გაქცევა, ცრურწმენათა აღსასრული, ვადიდოთ – პირველებმა! – ქრისტეშობა დედამინაზე?

ცათა გალობა, კაცთა სვლა! მონებო, ნუ დავგმობთ ცხოვრებას.

## გამოთხოვება

უკვე შემოდგომა! – მაგრამ რატომ ვინანოთ მარადიული მზე, თუ დავადექით ღვთიური ნათელის აღმოჩენის გზას, – შორს ამ ხალხისგან, წელიწადის დროებს რომ გადაჰყვნენ.

შემოდგომა. ჩვენი ნავი, უძრავ ნისლებში აღმართული, მიემართება გაჭირვების ნავსადგურისკენ, ქალაქისკენ, ცეცხლით და ლაფით დალაქული ცის ქვეშ. აჰ! ლპობილი ძონძები, წვიმით გალუმპული პური, სიმთვრალე, ათასობით სიყვარული, მე რომ ჯვარს მაცვეს! ნუთუ არასდროს მოამთავრებს, უთვალავი მკვდარი სულისა და სხეულის საზარელი დედოფალი, მათი, მკვდრების და განსასჯელების! კვლავ ვხედავ ჩემს თავს, კანს, დახრულს ტალახითა და შავი ქირით, მატლებით გამოტენილ თმებსა და ილღიებს, და კიდევ უფრო დიდი მატლებით გულში, გამოტილს უსასაკო და უგრძნობ უცნობებს შორის... შეიძლებოდა, იქ მოვმკვდარიყავი... საშინელი მოგონება! მძაგს გაჭირვება.

და მზარავს ზამთარი, რადგან ის მყუდროების ჟამია!

– ხანდახან ცაში დავინახავ გალაღებული თეთრი ერეზით დაფარულ უსასრულო სანაპიროებს. უზარმაზარი ოქროს ხომალდი, ჩემს თავს ზემოთ, თავის ჭრელ აღმებს არხევს დილის ნიაფში. მე შევექმენი ყველა დღესასწაული, ყველა ტრიუმფი, ყოველი დრამა. ვცაადე, გამომეგონა ახალი ყვავილები, ახალი ვარსკვლავები, ახალი ხორცები, ახალი ენები. მეგონა, ზებუნებრივ ძალებს ვიძენდი. რა გაეწყობა! უნდა დავმარხო ჩემი წარმოსახვა და მოგონებები! განვაქარვო ხელოვანისა და მეზღაპრის ლამაზი დიდება!

მე! რომელიც ჩემს თავს ჯადოქარსა და ანგელოზს ვეძახდი, ყოველგვარი ზნეობის მიღმა, ძირს ვენარცხები, მოვალეობით, რომელიც უნდა ვეძიო, და უხეში რეალობით, რომელიც გულში უნდა ჩავიკრა! გლახი ვარ!

ხომ არ ვცდები? მონყალეა სიკვდილის და ხომ არაა ჩემთვის?

ბოლოს, შენდობას მოვითხოვ, ტყუილების გამო, რომლებითაც თავი ვიკვებე. და წავიდეთ.

მაგრამ არცერთი მეგობრული ხელი! და შველა სად ვეძიო?

—

ჰო, ახალი საათი, სულ მცირე, მეტად სასტიკია.

რადგან შემიძლია ვთქვა, რომ გამარჯვება მიღწეულია: კბილების კრაჭუნი, ცეცხლის სისინი, სნეული მოთქმები ჩანყნარდნენ. ყველა ბილნი მოგონება გაქარწყლდა. ჩემ სინანულთაგან უკანასკნელნი გაიძურნნენ, – შური მათხოვრებს, ყაჩაღებს, სიკვდილის მოყვარეებს, ყველა სახის ჩამორჩენილებს. – წყეულნო, უფროხოდეთ ჩემს შურისძიებას!

სრულებით თანამედროვე უნდა იყო.

გვეყო საგალობლები: მოპოვებულ ნაბიჯს ნუ დათმობ. მიიმე ღამე! გამშრალი სისხლი მაბოლებს სახეში, და ზურგსუკან არაფერი მაქვს, ამ საშინელი ბუჩქნარის გარდა!... სულიერი ჭიდილი ისევე სასტიკია, როგორც კაცთა ბრძოლა; მაგრამ მართლმსაჯულების ხილვა ღმერთის სიამეა მხოლოდ.

ღამე მიიწურა ამასობაში. დაე მივიღოთ ძალმოსილებისა და ჭეშმარიტი სინაზის ყოველგვარი შემოდინება.

და, განთიადისას, მხურვალე მოთმინებით აღჭურვილნი, შევაბიჯებთ ბრწყინვალე ქალაქებში.

რისთვის ვლაპარაკობდი მეგობრულ ხელზე! ჩემი მშვენიერი უპირატესობაც ისაა, რომ ძალმიძს, დავცინო ძველ ცრუ სიყვარულებს, და შევარცხვინო ეს ყალბი ნყვილები, – იქ, დაბლა, ვიხილე ქალთა ჯოჯოხეთი; – და მომეცემა უფლება, *მოვიცვა ჭეშმარიტება ერთ სულსა და ერთ სხეულში.*

*აპრილი-აგვისტო 1873*

## გამონათებანი

### წარღვნის შემდეგ

როგორც კი წარღვნის იდეა დაცხრა, ბოცვერი შეჩერდა სამყურებსა და მოქანავე მაჩიტებში და ლოცვით მიმართა ცისარტყელას ობობის ქსელის გადაღმა.

ო! ძვირფასი ქვები, რომ იმალებოდნენ, – ყვავილები, რომლებიც უკვე იყურებოდნენ.

ვრცელ ჭუჭყიან ქუჩაში, ფარდულები აღიმართნენ, და ნავები გაუშვეს ზღვაში, იარუსად რომ ეკიდა მაღლა, როგორც გრავიურებზე.

სისხლმა იდინა ლურჯწვერასთან, სასაკლაოებზე, ცირკებში, სადაც ღმერთის ბეჭედი ფანჯრებს აფერმკრთალებდა. სისხლმა და რძემ იდინა.

თახვებმა აშენეს. „მაზაგრანებმა“<sup>6</sup> ორთქლი აუშვეს პატარა კაფეებში.

დიდი სახლების ჯერაც დაცვარული ვიტრინებიდან მგლოვიარე ბავშვებმა საოცარ სურათებს უყურეს.

კარი გაჯახუნდა; – და, პატარა სოფლის დასახლებაში, ბავშვმა ხელები გააქნია, რაც შეისმინეს ფლუგერებმა და სამრეკლოს მამლებმა ყველა მხრიდან, მფეთქავ თოვლჭყაპში.

მადამ \*\*\*მ ალპებში დადგა პიანინო. მესა და პირველი ზიარებები აღინიშნენ კათედრალის ასი ათას საკურთხეველში.

ქარავანები დაიძრნენ. და სპლანდიდ-ოტელი აშენდა ყინულისა და პოლარული ღამის ქაოსში.

მას მერე, მთვარეს ესმოდა ტურების ყმუილი ბეგქონდარას უდაბნოებიდან, – და ბალებში ხის ფეხსაცმლიანი

ეკლოგების ღრენა. მერე, იისფერ, მოყვავილე ტევრში ევქარისმა<sup>7</sup> მითხრა, რომ გაზაფხული იყო.

– იდინე, ტბორო; – ქაფო, იგორე ხიდებზე და ტყეების თავზე; შავო სუდარებო და ორღანებო, – ელვარებავ და ჭექა-ქუხილო, – ნამოიმართეთ და იგორეთ; – მწუხარე წყლებო, აღიმართეთ და დაძარით წარღვნები.

რადგან მას მერე, რაც გაიფანტნენ, – ო, თავდამარხული ძვირფასი ქვები და გაშლილი ყვავილები! – მოწყენილობამ დაისადგურა! და დედოფალი, გრძნეული, რომელიც ანთებს თავის ნაკვერჩხლებს თიხის ქოთანში, არ ისურვებს არასდროს, მოგვიყვეს, რაც თვითონ იცის, და რაც უცნობია ჩვენთვის.

## ბავშვობა

### I.

ეს კერპი, შავთვალა და ყვითელძუა, უმშობლებო და უმხლებლებო, იგავზე მეტად კეთილშობილი, მექსიკური და ფლამანდური; მისი საუფლო, მედიდური სილურჯმწვანე, გადაჭიმულია უხომალდებო ტალღების მიერ მძვინვარედ ბერძნულად, სლავურად, კელტურად სახელწოდებულ სანაპიროებზე.

ტყის პირას – სიზმრის ყვავილები წკრიალებენ, ფეთქავენ, ანათებენ, – ნარინჯისფერტუჩება გოგო, ფეხზე-ფეხგადადებული, ნათელ წყალმომრეობაში, რომელიც იღვრება ახლომახლო, სიშიშვლე დაჩრდილული, გადავლილი, შემოსილი ცისარტყელით, ფლორით, ზღვით.

ქალბატონები, რომლებიც მიმოდინან ზღვამოსაზღვრულ ტერასებზე; ქალბავშვები და გოლიათი ქალები, საუცხოოდ შავები ნაცრისფერ-მწვანე ხავსში, სამკაულე-

ბი აღმართული პატარა ტყეებისა და გამლღვარი ბაღების ნაყოფიერ მიწაზე, – ნორჩი დედები და უფროსი დები მომლოცველობით აღვსილი თვალებით, სულთანქალები, პრინცესები ტირანული ნაბიჯებითა და ჩაცმულობით, პატარა უცხოელი გოგონები და სათნოდ უბედური ქალიშვილები.

რა მოსაწყენია, „ძვირფასი სხეულის“ და „ძვირფასი გულის“ საათი.

## II.

აი ისიც, პატარა მკვდარი გოგონა ვარდის ბუჩქების უკან, – ახალგაზრდა დედიკო, გარდაცვლილი, კიბეებზე ეშვება. – ძმისწულის ეტლი ქვიშაზე ჭრიალებს. – პატარა ძამიკო (ის ინდოეთშია!) იქ, მზის ჩასვლის პირას, მიხაკის მდელოზე. ბებრები, რომლებიც ფეხზე მდგარი დავმარხეთ ჟაბოთი ნაფენ მიწაყრილში.

ოქროს ფოთლების ნაყარი არტყია გარს გენერლის სახლს. სამხრეთში ნავიდნენ. – გაჰყევი ნითელ ბილიკს, რათა ცარიელ სასტუმროს მიადგე. შატო იყიდება; დარაბები ჩამოხსნეს. მღვდელმა, როგორც ჩანს, თან ნაილო ეკლესიის გასაღები. – პარკის გარშემო, სადარაჯო ქოხები აუთვისებელია. პალისადები ისე მაღლა დგანან, რომ, შრიალა კენწეროების გარდა, არაფერი მოჩანს. და ისედაც, არც არაფერია იქ დასანახი.

მდელოები აღიმართებიან უმამლო, უგრდემლო სოფლებზე. წყალსაგდები ანიეს. ო, გოლგოთები და უდაბნოს ნისქვილები, კუნძულები და დოლაბები!

მაგიური ყვავილები გუგუნებდნენ. ფერდობები არ-  
ნევენდნენ მას. საოცარი დახვეწილობით გამორჩეული მხე-  
ცები მიმოდიოდნენ. ღრუბლები შემოიკრიბნენ მხურვა-  
ლე ცრემლების მარადისობით შექმნილი მაღალი ზღვის  
თაევზე.

### III.

ტყეში არის ერთი ჩიტი, მისი გალობა გაშეშებთ და გა-  
ნითლებთ.

არის აქ საათი, რომელიც არასდროს ჩამოჰკრავს.

არის ორმო და მასში თეთრი მხეცების ბუდე.

არის კათედრალი, დაბლა რომ ეშვება და არის ტბა,  
რომელიც მაღლა იწევს.

არის პატარა ეტლი, მიტოვებული ბუჩქნარში, ანდა  
რომელიც სირბილით ეშვება ბილიკზე, ბაფთებით მორ-  
თული.

არის კოსტიუმებში გამონყობილი მსახიობების პატა-  
რა დასი, გზაზე, ტყის პირას თვალმოკრული.

ბოლოსდაბოლოს, როცა კი გშია ან გწყურია, არის აქ  
ვილაც, ვინც აქედან გაგდებს.



#### IV.

მე წმინდანი ვარ, ტერასაზე მლოცველი, – სანამ მშვიდობიანი მხეცები ძოვენ ვიდრე პალესტინის ზღვამდე.

მე ვარ სწავლული ამოღამებულ სავარძელში. ტოტები და წვიმა ეხეთქებიან ჩემი ბიბლიოთეკის ფანჯრებს.

მე ვარ ქვეითი, გზატკეცილებზე მავალი ჯუჯა ტყეების გავლით; წყალსაგდებების მითქმა-მოთქმაში იძირებიან ჩემი ნაბიჯები. დიდხანს ვუყურებ დაისის მელანქოლიურ ოქრორეცხვას.

მე ის ბავშვი ვარ, ალბათ, მიტოვებული, მიგდებული მაღალი ზღვისკენ გამგზავრებულ დამბაზე, პატარა ლაქია მიმავალი ბილიკზე, რომელიც შუბლით ცას ეჯახება.

უსწორმასწორო ბილიკები. ბორცვები ტყის ცოცხებითაა დაფარული. ჰაერი უძრავია. რა შორს არიან ჩიტები და ნაკადულები! ეს, უდავოდ, სამყაროს დასასრული უნდა იყოს, თანდათანობით.

#### V.

დაე, მომაქირავონ ბოლოსდაბოლოს ეს საფლავი, კირით შეთეთრებული და ცემენტის ზოლებით აქეთ-იქიდან – ძალიან შორს, მინის სიღრმეში.

მაგიდას ვეყრდნობი, ნათურა ძლიერ ცოცხლად ანათებს ამ გაზეთებს, – რომ მყოფნის სიშტერე, გადავიკითხო, – ანათებს ამ ინტერესისგან დაცლილ წიგნებს.

ჩემი მიწისქვეშა მისაღები ოთახიდან უზომოდ მაღლა, სახლები ფესვს იდგამენ, ნისლები თავს იყრიან. ტალახი ნითელია ან შავი. ჯოჯოხეთური ქალაქი, უსასრულო ღამე!

ოდნავ ქვემოთ საკანალიზაციო მილებია. გვერდებზე მხოლოდ და მხოლოდ გლობუსის სისქე. ლაჟვარდოვანი უფსკრულები, ალბათ, ცეცხლოვანი ჭები. ამ ზედაპირებზე თუ ხვდებიან ერთმანეთს მთვარეები და კომეტები, ზღვები და იგავები.

ამ სიმწრის საათებში წარმოვიდგენ საფირონის, მეტალის გუნდებს. მე მდუმარების ოსტატი ვარ. რატომ უნდა ფერმკრთალდებოდეს ნაპრალის მსგავსება თალის კუთხეში?

## ზღაპარი

პრინცს აწუხებდა, თავს რომ ვერაფერს უძღვნიდა უბრალო მოწყალებათა სრულყოფის გარდა. ის წინასწარ ჭვრეტდა სიყვარულის გამოგნებელ რევოლუციებს და ეჭვობდა, რომ მის ქალებს ზეცითა და ფუფუნებით მორთულ უსიტყვო თანხმობაზე მეტი შეეძლოთ. ჭეშმარიტების ხილვა ეწადა მას, არსობრივი სურვილის და კმაყოფის ჟამის. მას სურდა, იყო ეს ღვთისმოსაობიდან გადახვევა თუ არა. ის, სულ მცირე, საკმარისად დიდ ადამიანურ ძალას ფლობდა.

ყველა ქალს, რომელმაც ის იგემა, წილად სიკვდილი ხვდა. მშვენიერებათა ბალის ამგვარი გაჩანაგება! მახვილის ქვეშ, ეს ქალები ლოცავდნენ მას. ახლები აღარ მოუთხოვია. – ქალები კვლავ გამოჩნდნენ.

მან დახოცა ყველა, ვინც მისი მიმდევარი იყო, ნადირობისა თუ ღრეობის შემდეგ. – ყველა მისი მიმდევარი იყო.

იშვიათი მხეცებისთვის ყელის გამოლადვრით იქცევდა თავს. სასახლეებს აგიზგიზებდა. ხალხს ფეხქვეშ იგებდა და ნაკუნებად ჭრიდა. – ბრბო, მოოქროვილი სახურავები, საუცხოო მხეცები მაინც არსებობდნენ.

შეგვიძლია კი ნგრევით ვტკბებოდეთ, სისასტიკე გვაახალგაზრდავებდეს? ხალხი ხმას არ იღებდა. არავის მიუცია მისთვის რჩევა.

ერთ საღამოს ის ამაყად მიაჭენებდა ცხენს. გამოეცხადა გენია, გამოუთქმელად, სულაც უხსენებლად მშვენიერი. მისი იერი და აგებულება ასხივებდა რთული და მრავალმხრივი სიყვარულის დაპირებას! ჰპირდებოდნენ მას ენითაღუნერელ, სულაც გაუსაძლის ბედნიერებას! პრინცმა და გენიამ, ალბათ, სიცოცხლის არსში განაქარწყლეს ერთმანეთი. როგორ შეეძლოთ, ამისგან არ მომკვდარიყვნენ? ჰოდა, ერთად დაიხოცნენ.

მაგრამ პრინცი თავის სასახლეში, ჩვეულ ასაკში გარდაიცვალა. პრინცი იყო გენია. გენია იყო პრინცი.

სულის მუსიკა აკლია ჩვენს სურვილს.

## პარადი

მეტისმეტად ტანმაგარი ხეპრეები. მრავალმა ხელჰყო თქვენი სამყაროები. არაფერში სჭირდებათ და არც ეჩქარებათ, აამოქმედონ თავიანთი ბრწყინვალე შესაძ-

ლებლობები და განსწავლულობა თქვენ ცნობიერებათა სფეროში. მონიფული მამაკაცები! ზაფხულის ღამესავით თვალდანისლულები, წითელი და შავი, სამფერა, ფოლადი მოჭედილი ოქროს ვარსკვლავებით; ნაკვთები დეფორმირებული, ტყვისფერი, ფერდაკარგული, აღმოდებული; ხმაჩახლენილი ზღვარგადასულობა! ბრჭყყიალა სამოსის სასტიკი მიმოფენა! – ზოგიერთი ახალგაზრდაა, – ნეტა რას იტყოდნენ ისინი შერუბენზე? – დაჯილდოებული შემზარავი ხმებითა და ცოტაოდენი სახიფათო მარაგით. მათ, გულისამრევი *ფუფუნებით* მორთულებს, ქალაქში აგზავნიან ზურგის დასატვირთად.

ო, განრისხებული გრიმასის უსასტიკესი სამოთხე! მათი შედარებაც არ ღირს თქვენს ფაკირებთან და სხვა სასცენო მასხარაობებთან. გამონყობილნი ცუდი სიზმრის გემოვნებით მომზადებულ კოსტიუმებში, ისინი ასრულებენ დატირებებს, ყაჩაღებისა და ღვთის შვილების ტრაგედიებს, უფრო სავსეს სულიერებით, ვიდრე ისტორია ან რელიგია ყოფილა ოდესმე. ჩინელები, ჰოტენტოტები, ბოჰემიელები, შტერები, ჰიენები, მოლოქები, ძველი შეშლილობები, ავბედითი დემონები, ისინი სახალხო, მშობლიურ სურათებს ურევენ პირუტყვულ პოზებსა და ალერსს. ისინი შეასრულებდნენ ახალ წარმოდგენებსაც და „კარგი გოგონების“ სიმღერებსაც. ჟონგლიორობის დიდოსტატები, ისინი სახეს უცვლიან ადგილს და ადამიანებს მომაჯადოებელი კომედიის საშუალებით. თვალები ბრიალებენ, სისხლი მღერის, ძვლები ინელებიან, ცრემლები და წითელი ნაკადები იღვრებიან. მათი მასხარაობა თუ თავზარი გასტანს ერთ წუთს, ანდა მთელ თვეებს.

მე ერთადერთს მაქვს ამ ველური მსვლელობის გასაღები.

## ანტიკა

პანის მონყალეო ძეო! შენი ყვავილებითა და დაფნით დაგვირგვინებული შუბლის გარშემო მოუსვენრად დაგორავენ ეს ძვირფასი ბურთულები, შენი თვალები. ყავისფერი ლექით დალაქული ლოყები ჩაგცვენია. ეშვები გინათებს. მკერდი ციტრას გიგავს, წკრიალი გააქვთ შენს ფერმკრთალ მხრებს. შენი გული სცემს ამ მუცელში, სადაც სძინავს ორმაგ სქესს. მიდი, გაისეირნე, ღამით, თან ნარნარად აქანავე ეგ თეძო, ეგ მეორე თეძო და ეგ მარცხენა ფეხი.

## Being Beauteous

თოვლის ფონზე, მაღალი აღნაგობის, სილამაზით სავსე არსება. სიკვდილის სტვენას და ყრუ მუსიკის წრეებს ძალუძთ აჩრდილივით აამაღლონ, განავრცონ, ააცახცახონ ეს ძვირფასი სხეული; მენამული და შავი ქრილობები ფეთქავენ დიდებულ ხორცში. თვით სიცოცხლის ფერები იქუფრებიან, ცეკვავენ და წრეს კრავენ ხილვის გარშემო, რომელიც იკვეთება. და ჟრჟოლა აღიმართება და გრგვინავს და ამ ზემოქმედებათა ზღვარგადასული გემო იტვირთება მომაკვდინებელი შიშინით და ხრინწიანი ჰანგებით, რომლებსაც სამყარო, ჩვენგან ასე დაშორებული, ესვრის ჩვენი სილამაზის მშობელ დედას, – ის უკან იხევს, წამოიმართება. ო! ახალი შეყვარებული ხორციით შეიმოსნენ ჩვენი ძვლები.

\*\*\*

ო, დაფერფლილი სახე, ძუისგან დამზადებული გერბი, კრისტალის მკლავები! ეს ქვემეხი, რომელზეც უნდა დავემხო ხეებისა და მსუბუქი ჰაერის გავლით!

## ცხოვრებანი

### I.

ო, აღთქმული მიწის უკიდევანო გამზირები, ტაძრის ტერასები! რა ბედი ენია ბრაჰმანს, რომელმაც იგავები განმიმარტა? იმ დროიდან, იქიდან, ჯერაც ვხედავ ბებერ ქალებსაც კი! მახსოვს ვერცხლისა და მზის საათები მდინარეების პირას, სოფელს ხელი ჩემს მხარზე რომ ედო და მახსოვს, ცხარე ველებზე, ჩვენი წამომდგარი ალერსი. – მენამულ მტრედთა ფრენა დამგუგუნებს ფიქრების გარშემო. – აქ გადმოხიზნულს, მქონდა ერთხანს სცენა, რათა მასზე ყველა ლიტერატურათა დრამატული შედეგები დამედგა. მიგითითებდით არნახულ სიმდიდრეებზე. თვალს ვადევნებ იმ საგანძურთა ამბავს, თქვენ რომ იპოვეთ. ვხედავ, რაც მოჰყვება ამას! ჩემი სიბრძნე ისევე უარყოფილი, ზიზლისალმძკრელი, როგორც ქაოსი. რაა ჩემი არარაობა იმ უგონობასთან შედარებით, თქვენ რომ მოგელით?

### II.

მე გამომგონებელი ვარ, დამსახურებით განსხვავებული ყველასგან, ვინც კი ჩემამდე იყო. სულაც, მუსიკოსი, რომელმაც მიაგნო რაღაც სიყვარულის გასაღების

მსგავსს. ამჟამად – ბატონი ერთ უნაყოფო სოფელში, ფხიზელი ცის ქვეშ, ვცდილობ თავი გამოვიღვიძო მოგონებებით ჩემი მათხოვრული ბავშვობის, ჩემი შეგირდობისა თუ ჩემი ხის ფეხსაცმელების, პოლემიკების, ხუთი თუ ექვსი დაქვრივების, იმ რამდენიმე წვეულების შესახებ, რომლების დროსაც ჩემმა სიჯიუტემ შემიშალა ხელი, მივწვდომოდი ჩემი ამხანაგების დიაპაზონს. მე არ ვნანობ ჩემ წილ ღვთაებრივ სილალეს, უნინ რომ მქონდა: ამ უნაყოფო მიწების ფხიზელი ჰაერი მძლავრად კვებავს ჩემს უღმობელ სკეპტიციზმს. მაგრამ რადგან ეს სკეპტიციზმი საქმეს მეტად ველარ მოხმარდება და რადგან, სხვა მხრივ, თავი ახალ სატანჯველს მიეუძღვენი, მოველი, ვიქცე მეტიმეტად ბოროტ შემლილად.

### III.

სხვენში, სადაც თორმეტი წლის ასაკში ჩამკეტეს, სამყარო შევიცანი, დავასურათე ადამიანური კომედია. სარდაფში შევისწავლე ისტორია. რომელიღაც ღამის დღესასწაულზე, ერთ ჩრდილოურ ქალაქში, მე ვიხილე მხატვრობის ძველი ოსტატების ყველა ქალი. პარიზის ძველ პასაჟში კლასიკური მეცნიერებები შემასწავლეს. მთელი აღმოსავლეთით გარშემორტყმულ ბრწყინვალე სამყოფელში აღვასრულე ჩემი უზარმაზარი საქმე და გავატარე ჩემი სახელმოსვეჭილი შვებულება. მე ავდღვიბე ჩემი სისხლი. მომეტევა თანანადები ჩემი. აღარც კი ღირს მეტად მასზე ფიქრი. ჭეშმარიტად სამარის იქით ვიმყოფები და შეკვეთებს აღარ ვიღებ.

## გამგზავრება

საკმარისად ვიხილე. ხილვას გადავეყარე ყველა ცის ქვეშ.

საკმარისად მივიღე. ქალაქის ხმაური, საღამოობით და მზისით და მარადჟამ.

საკმარისად ვისწავლე. სიცოცხლის გაჩერებები. – ო, მღელვარება და ხილვები!

ახალ ტრფობასა და ხმაურში გამგზავრება.

## სამეფო ოჯახი

ერთ მშვენიერ დილას, გამორჩეულად ფაქიზი ხალხის მხარეში, დიდებული კაცი და ქალი გაიძახოდნენ საჯარო მოედნის შუაგულში: „მეგობრებო, მინდა, რომ ის დედოფალი იყოს!“ „მინდა დედოფალი ვიყო!“ იცინოდა და ცახცახებდა ქალი. კაცი მეგობრებს ესაუბრებოდა ხილვების, გასრულებული განსაცდელის შესახებ. მათ გული მისდიოდათ ერთმანეთზე.

მართლაც, ისინი მეფობდნენ მთელი დილა, როდესაც კარმინის გობელენები ეფინებოდნენ სახლებიდან და მთელი შუადღე, როდესაც ისინი ბაღებისკენ გაემუზნენ.

## გონებას

დოღზე შენი თითის ერთი დაკაკუნება აღვირს ხსნის ყველა ხმას და ახალ ჰარმონიას იწყებს.



შენი ერთი ნაბიჯი ნიშნავს, რომ წამოდგებიან ახალი კაცები და გაეშურებიან.

გაიხედავ: ახალი სიყვარული! გამოიხედავ, – ახალი სიყვარული!

„შეგვიცვალე ხვედრი, უკუაგდე ქირი, დრო პირველ რიგში,“ – გიმღერიან ეს ბავშვები. „ალმართე ყველგან ჩვენი იღბალისა და სურვილების ნივთიერება“ – გვევდრებიან.

მარადჟამიდან ჩამომდგარი, რომელიც ყველგან გაეშურები.

### სიმთვრალის დილა

ო, ჩემო კარგო! ო, ჩემო ლამაზო! თავზარდამცემი ფანფარა, რომელიც ვერ დამაბარბაცებს. ზმანებაკრული სანამებელი! ვაშა გაუგონარ ნაშრომს და გასაოცარ სხეულს, ვაშა პირველ ჯერს! დაიწყო ეს ბავშვების სიცილით და მათი სიცილითვე დამთავრდება. ეს შხამი დარჩება ჩვენს ვენებში მაშინაც კი, როდესაც შემობრუნდება ფანფარა და დაეუბრუნდებით ძველ ავხმოვანებას. ო, ახლა, ჩვენ, ასე ღირსეულებმა ჩვენს ტანჯვებში! მხნედ მოვუყაროთ თავი ამ ზეადამიანურ დაპირებას, ჩვენს ქმნილ სხეულსა და სულს რომ შეფიცეს: ეს ფიცი, ეს სიგიჟე! დახვეწილობა, მეცნიერება, ძალადობა! ჩვენ შეგვპირდნენ, ჩრდილში დამარხავდნენ კეთილისა და ბოროტის ხეს, რომ გადაასახლებდნენ ტირანულ პატიოსნებებს, რათა ჩვენ ჩვენი უსპეტაკესი სიყვარული აგვეყვავებინა.

დაინყო ეს გულისრევებით და მთავრდება, – რადგან არ ძალგვიძს მყისიერად მოვიხელთოთ ეს უსასრულობა, – მთავრდება ეს სურნელებათა ამბოხით.

ბავშვების სიცილი, მონათა სიფრთხილე, ქალწულთა სიმკაცრე, ზიზლი აქაურ სახეთა და საგანთა მიმართ, კურთხეულ იყოს ყველა თქვენგანი ამ სიფხიზლის მოგონებაში. დაინყო ეს ყოველგვარი უკმეხობებით, და, აგერ, მთავრდება ალისა და ყინულის ანგელოზებით!

მცირე სიმთვრალის სიფხიზლე, წმინდაო! თუნდაც მხოლოდ იმ ნიღბისთვის, რომელიც გვიბოძე. ჩვენ შენ გამტკიცებთ, მეთოდო! არ დავივინყებთ, რომ განადიდე, გუშინ, თითოეული ჩვენს ხანათაგან. ჩვენ სანამლავის გვნამს. ჩვენ ვიცით, როგორ გავცეთ მთელი ჩვენი ცხოვრება ყოველდღიურად.

*აჰა ჟამი მკვლელებისა.*

## ფრაზები

როდესაც სამყაროსგან აღარაფერი დარჩება, გარდა ერთი ბნელი ტყისა ჩვენი განცვიფრებული თვალებისთვის, – გარდა ერთი პლაჟისა ორი ერთგული ბავშვისთვის, – გარდა მუსიკალური სახლისა ჩვენი ნათელმოსილი კეთილგანწყობისთვის, – მე თქვენ გიპოვით.

აქ, დაბლა რომც არავინ დარჩეს, ერთი მშვიდი და ლამაზი, გაუგონარი ფუფუნებით გარემოცული მარტოსული მოხუცის გარდა – მე თქვენს ფერხთით ვარ.

რომც ვიყო ის, ვინც ხორცს შეასხამს ყველა თქვენს მოგონებას, – რომც ვიყო ის ქალი, რომელსაც თქვენი გაკოჭვა ძალუძს, – მე თქვენ დაგახრჩობთ.

—

როდესაც ძალიან ძლიერები ვართ, — ვინ იხევს უკან? ძალიან მხიარულები, — ვის ადარდებს თუ მასხრად აიგდებენ? როდესაც ძალიან ბოროტები ვართ, — ვინ რას დაგვიშავებს მაშინ?

გამოიბრანჭეთ, იცეკვეთ, იცინეთ. მე ვერასდროს მოვისვრი სიყვარულს ფანჯრიდან.

—

ჩემო ამხანაგო, მათხოვარო გოგონა, ბავშვო ურჩხულო! როგორ სულერთია შენთვის ეს უბედური ქალები და ეს ხრიკები, ჩემი დაბნეულობანი. მოგვეკარი ჩვენ შენი შეუძლებელი ხმით, შენი ხმა! რომელიც ამ საძულველი სასონარკვეთილების ერთადერთი ნუგეშისმცემელია.

—

ცამოქუფრული დილა, ივლისში. ჰაერში ფერფლის გემო ტრიალებს; — დაცვარული ხის სურნელი კერაში, — ნამცხებული ყვავილები — სეირნობებმა შეიძლება გაგანადგურონ — და სათამაშოები და საკმეველი რატომ არა?

—

მე გადავჭიმე თოკები სამრეკლოდან სამრეკლომდე; ყვავილნულები ფანჯრიდან ფანჯარამდე; ოქროს ჯაჭვები ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე და ცვიკვავ.

—

მაღალი გუბურა გაუთავებლად ხრჩოლავს. რომელი ალქაჯი აღუდგება წინ თეთრ დაისს? რა იისფერი შეფოთლილობა დაეშვება?

—

სანამ საყოველთაო მარაგები გაედინებიან საძმო ნადიმებში, ღრუბლებში ვარდისფერი ცეცხლის ზარი რეკს.

—

შავი ფხვნილი, ნარნარად რომ აწვიმს ჩემ სიფხიზლეს, ჩინური მელნის საამურ გემოს მიცოცხლებს. — მე ვაქრობ ქალების ალებს, საწოლზე ვენარცხები და სახეს რომ ლანდების მიმართულებით ვაბრუნებ, თქვენ გხედავთ, ჩემო ქალწულებო! ჩემო დედოფლებო!

## მუშები

ო, ეს ცხელი თებერვლის დილა! უდროო სამხრეთი მოვიდა, რათა აემღვრია ჩვენი ბოდვამათხოვრული მოგონებები, ჩვენი ნორჩი გაჭირვება.

ჰენრიკას თეთრყავისფერი ბამბის კუბოკრული კაბა ეცვა, ისეთი, როგორებსაც გასულ საუკუნეში თუ ატარებდნენ, თავზე ბაფთებიანი ქუდი ეფარა და ყელზე აბრეშუმის შარფი. ეს ნებისმიერ გლოვაზე გაცილებით სევდიანი იყო. გარეუბანში მივსეირნობდით. ცა მოღრუბლულიყო და ეს სამხრეთის ქარი გაჩანაგებული ბალებისა და გამომშრალი მინდვრების მთელ ავსურნელებას ალაგზნებდა.

ჩემს ცოლს, როგორც ჩანს, იმდენად არ ღლიდა ეს ყველაფერი, რამდენადაც მე. გუბურაში, რომელიც საკმაოდ მომაღლებულ ბილიკზე გასული თვის დატბორვას დაეტოვებინა, მან ციცქნა თევზები შემამჩნევინა.

ქალაქი, თავისი გამონაბოლქვითა და საქმიანი ხმაურით, გზადაგზა მოშორებით მოგვდევდა. ო, სხვა სამყა-

რო, სამყოფელი ზეცითა და ჩრდილით ნაკურთხი! სამხრეთი მაგონებდა საცოდავ შემთხვევებს ჩემი ბავშვობიდან, ჩემს საზაფხულო სასონარკვეთილებებს, ძალისა და ცოდნის იმ შემზარავ სიმრავლეს, ბედმა რომ მარად მაშორა. არა! ჩვენ არ გავატარებთ ზაფხულს ამ ხარბ მხარეში, სადაც მარადის დანინდული ობლები თუ ვიქნებით მხოლოდ. აღარ მინდა, ამ გაქვავებულმა მკლავმა კიდევ ათრიოს ძვირფასი სახე.

## ხიდები

ნაცრისფერი კრისტალის ზეცა. ხიდების უჩვეულო აგებულება, ზოგი სწორი, ზოგი მორკალული, ზოგიც ეშვება პირველზე ან კუთხით ფარავს მას და ეს ფიგურები, არხის სხვა განათებულ ბრუნვებში რომ მეორდებიან, მაგრამ ყველა იმდენად გრძელი და მსუბუქი, რომ გუმბათებით დახუნძლული ნაპირები ეშვებიან და მიილევინ. ზოგიერთი ამ ხიდთაგან ჯერ კიდევ ქოხებითაა დაფარული. სხვებს ანძები, ნიშნები, მყიფე მოაჯირები უჭირავთ. მინორული აკორდები ერთმანეთს კვეთენ და უჩინარდებიან, თოკები იჭიმებიან სანაპიროებიდან. გაირჩევა წითელი ქურთუკი, შესაძლოა კიდევ სხვა კოსტიუმები და მუსიკალური ინსტრუმენტები. ნუთუ ეს პოპულარული ჰანგებია, სამეფო კონცერტების ნაწყვეტები, საჯარო ჰიმნების ნარჩენები? წყალი ნაცრისფერია და ლურჯი, გრძელი როგორც ზღვის ხელი. ზეციდან ჩამოვარდნილი თეთრი სხივი აქარწყლებს ამ კომედიას.

## ქალაქი

მე იმ მეტროპოლისის ეფემერული და არცთუ უკმაყოფილო მოქალაქე ვარ, რომელსაც თანამედროვედ მიიჩნევენ, რადგან მისი მოწყობა და სახლების გარე ფასადები, ისევე როგორც ქალაქის დაგეგმარება, დაუსხლტნენ ყოველგვარ ნაცნობ გემოვნებას. აქ ვერცერთი ცრურწმენის მონუმენტის კვალს ვერ შენიშნავთ. მორალი და ენა, როგორც იქნა, თავის უმარტივეს გამოხატულებამდეა დაყვანილი! ეს მილიონობით ადამიანი, რომლებსაც არც კი სჭირდებათ ერთმანეთის ნაცნობობა, ისე ერთიმეორის მსგავსად წარმართავენ თავ-თავიანთ განათლებას, ხელობასა და სიბერეს, რომ ყველა მათგანის სიცოცხლის ხანგრძლივობა რამდენადმე უფრო მოკლე უნდა იყოს, ვიდრე ის, რასაც შეშლილი სტატისტიკა ანგარიშობს კონტინენტის მოსახლეთა შესახებ. და აგრეთვე ჩემი ფანჯრიდან ვხედავ ახალ ლანდებს, რომ დაგორავენ ნახშირის მსხვილ და მარადიულ კვამლში, – ჩვენი ტყეთა ჩრდილი, ღამე ჩვენი ზაფხულისა! – ახალი ერინიები ჩემი კოტეჯის წინ, რომელიც არის ჩემი სამშობლო და მთელი ჩემი გული, რადგან ყველაფერი აქ მას წააგავს, – სიკვდილი უცრემლოდ, ჩვენი მხნე ქალწული და მოახლე, სასონარკვეთილი ტრფობა და ღამაზი დანაშაული, ქუჩის ტალახში რომ ყმუის.

## ბორბლის ნაკვალევი

მარჯვნივ, ზაფხულის განთიადი აღვიძებს ფოთლებს და ორთქლს და ბალის ამ ნაწილიდან მომავალ ხმაურს, და თხრილებს გზის მარცხენა მხარეს თავიანთ იისფერ

ჩრდილში უჭირავთ ათასობით ნაკვალევი ნესტიან გზაზე. ზღაპრული მსვლელობა. მართლაც: ეტლები, დატვირთული მოოქროვილი ხის ცხოველებით, ანძებითა და ქრელი ნაჭრებით, ოცი დანინკლული საცირკო ცხენით მძვინვარედ გაჭენებული და ბავშვები და კაცები თავიანთ სრულებით გასაოცარ მხეცებზე; – ოცი კუზიანი მანქანა, დროშებითა და ყვავილებით მორთული, როგორც ძველი ეტლები ანდა როგორც ზღაპრებში, სავსე საგარეუბნო პასტორალისთვის გამონყობილი ბავშვებით. – კუბოებიც კი აქვთ თავიანთი ღამის ბალდახინების ქვეშ, აბანოზის ბუმბულებს რომ აფრიალებენ, ფეხდაფეხ რომ სდევენ დიდი ლურჯი და შავი ფაშატების ჩორთს.

## ქალაქები

აი, ქალაქებიც! აი, ის ხალხი, რომელთათვისაც აღი-მართნენ ეს სიზმრის ალეგანები და ლიბანები! კრის-ტალისა და ხის შალეები, უხილავ ლიანდაგებსა და საბაგიროებზე რომ მოძრაობენ. კოლოსებითა და სპი-ლენძის პალმებით გარშემორტყმული ძველი კრატერე-ბი მელოდირად ღრიალებენ ცეცხლში. სატრფიალო დღესასწაულები გაისმის შალეების უკან ჩამოშვებული არხებიდან. ხეობებში ზარები ნადირობენ ხმაურით. გი-განტური მომღერლების გილდიები იკრიბებიან კენწე-როთა სინათლესავით თვალწარმტაცი მოსასხამებითა და ორიფლამებით. ბაქნებზე, ნაპრალებს შორის, როლა-ნები აჟღერებენ თავიანთ სიმამაცეს. უფსკრულზე გა-დებულ ბენვის ხიდეებსა და სასტუმროების სახურავებზე ცის მხურვალეობა დროშებით რთავს ანძებს. აპოთეოზთა ნგრევა ერთვის სიმაღლეთა მინდვრებს, რომლებზეც სე-

რაფიმიული ცხენქალები მოძრაობენ ზვავების შუაგულში. უმაღლესი კენწეროების დონეზე მალლა, ზღვა, ვენერას მარადიული დაბადებით აღელვებული, ორფული ნაკადებით, ძვირფასი მარგალიტებითა და ნიჟარებით დატვირთული, – ზღვა დროდადრო თავს იმუქებს მომაკვდინებელი გაელვებებით. ქანობებზე ღმუიან ჩვენი იარაღებივით და თასებივით დიდი ყვავილების მოსავლები. ხეობებზე აღიმართება ჟღალ, ოპალურ მოსასხამიან მებთა<sup>9</sup> მსვლელობა. მალლა ხარირმები, ფეხებით ჩანჩქერსა და მაცვლებში, ძუძუს სწოვენ დიანას. ბაკქელი ქალები გარეუბნებიდან ქვითინებენ და მთვარე იწვის და წივის. ვენერა შედის მჭედლებისა და განდევილების მღვიმეებში. სამრეკლოთა გუნდები სახალხო იდეებს გაიძახიან. ძვლით ნაგები კოშკებიდან მოისმის უცნობი მუსიკა. თქმულებები ხელიდან ხელში გადადის და ცხენირმები დაქრიან ქალაქებში. ქარიშხლიანი სამოთხე ჩამოიქცევა. ველურები განუწყვეტლივ ცეკვავენ ღამის დღესასწაულს. და ერთხელ მე დავეშვი ბალდადის ბულვარის ორომტრიალში, სადაც ჯგუფები მღეროდნენ ახალი შრომის სიამეებზე და სქელ ნიავეში გახვეულები, განუწყვეტლივ მოძრაობდნენ და არ შეეძლოთ თავი დაეღწიათ სიმაღლეთა ზღაპრული აჩრდილებისთვის, სადაც კვლავ შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

რომელი ძლიერი მკლავები, რომელი მშვენიერი საათები დამიბრუნებენ ამ მხარეს, საიდანაც მოდიან ჩემი ძილი და ჩემი უმცირესი მოძრაობები?



## მანანალები

საბრალბელი ძმა! რა საზარელი უძილობები მემართა მისი! „საკმარისი მხურვალეებით არ ჩავერთე ამ საქმიანობაში. ზერელედ ვეპყრობოდი მის სისუსტეს. ჩემი ბრალია, თუ კვლავ გადასახლებას, მონობას უნდა დავუბრუნდეთ.“ ვეჩვენებოდი მას ერთდროულად ავბედითი და უჩვეულოდ უმანკო და ამას თავის შემანუხებელ მიზეზებს მოაყოლებდა ხოლმე.

მე დამცინავი ღიმილით ვპასუხობდი ამ სატანურ ექიმს და ბოლოს ფანჯრის გავლით ვპოულობდი ხსნას. უჩვეულო მუსიკის ჰანგებით დასერილი სოფლების გადაღმა, მე ვქმნიდი მომავალი ღამეული ფუფუნების აჩრდილებს.

ამ, ცოტა არ იყოს, ჰიგიენური თავშესაქცევის შემდეგ, გავწვებოდი ხოლმე ჩემს თივით გატენილ ლეიბზე და თითქმის ყოველდამ, როგორც კი ჩამეძინებოდა, წამოდგებოდა საბრალბე ძმა, პირმყრალი, თვალბედაჭყეტილი, – ზუსტად ისეთი, როგორიც სიზმარში ენახა საკუთარი თავი! შემათრევდა ოთახში და თავზე დამღრიალებდა თავის იდიოტური სევდით სავსე ოცნებას.

მე, მართლაც, სრული გულწრფელობით, მივუძღვენი თავი მის დაბრუნებას მზის შვილის პირველყოფილ მდგომარეობაში, – და, მღვიმის ღვინითა და გზის ფუნთუშებით ნაკვებნი, დავხეტილობდით, მე ვჩქარობდი, მიმეკვლია ადგილისა და ფორმულისთვის.

## ქალაქები

ოფიციალური აკროპოლისი თანამედროვე ბარბარიზმის ყველაზე კოლოსალურ წარმოდგენებს ჯაბნის. შეუძლებელია გამოთქვა ეს ბნელი დღე, ამ უცვლელად ნაცრისფერი ცის, შენობათა იმპერიული სიკაშკაშის და ძირს მოფენილი მარადიული თოვლის მიერ წარმოქმნილი. არქიტექტურული კლასიკის ყველა საოცრება უზარმაზარი ფორმებისადმი უჩვეულოდ მიდრეკილი გემოვნებითაა გადმოტანილი. მე ვესწრები სამხატვრო გამოფენებს შენობებში, ზომით ოცჯერ რომ აღემატება ჰემფტონ ქორთს<sup>10</sup>. და რა მხატვრობა! ნორვეგიელმა ნაბუქოდონოსორმა ააგებინა სამინისტროს კიბეები; ხელქვეითებსაც კი, რომლებიც ვნახე, უკვე ბრაჰმებზე მაღლა უჭირავთ თავი, და ვკრთოდი კოლოსების მცველთა და სამშენებლო ხელმძღვანელთა გარეგნობის შემხედვარე. შენობათა კვადრატულად, ეზოებისა და დახურული ტერასების გარშემო დაჯგუფებით მეეტლეთა გაძევება მოხერხდა. პარკები საუცხოო ხელოვნებით დამუშავებულ პირველყოფილ ბუნებას წარმოადგენენ. არის ქალაქის ზედა ნაწილში ადგილები, რომლებიც აუხსენელია: ზღვის უნაგებო მკლავი აგორავებს თავის ლურჯ წვიმანარევ ზენარს გიგანტური კანდელაბრებით დატვირთულ ნავსადგომებს შორის. პატარა ხიდს მივყავართ უკანა კართან, ზუსტად სენტ-შაპელის გუმბათის ქვეშ. ეს გუმბათი დაახლოებით თხუთმეტი ათასი ნაბიჯის დიამეტრის ფოლადის არტისტული ნაგებობაა.

სპილენძის საცალფეხო ხიდის, პლატფორმების, კიბეების – გარს რომ ერტყმიან ბაზრებსა და სვეტებს – რამდენიმე წერტილიდან, ვინამე, შემეძლო წარმომედგინა ქალაქის სრული სიღრმე! ესაა სასწაული, რომლის გაც-

ნობიერებაც ვერ მოვახერხე: რაა სხვა უბნების დონეები, აკროპოლისის თავქვე თუ თავსზემთ? ჩვენი დროის უცხოელისთვის აღმოჩენა შეუძლებელია. სავაჭრო უბანი ერთგვაროვანი სტილის ცირკია, თაღოვანი შუშაბანდებით. მაღაზიები არსად ჩანს, მაგრამ თოვლი ტროტუარებზე გათელილია; რამდენიმე ნაბობი, – ცოტანი, როგორც ფეხოსნები კვირა დილით ლონდონში, – მიემართება აღმასის დილიჟანსისკენ. რამდენიმე წითელი ხავერდის დივანი: მაგიდასთან მოაქვთ პოლარული სასმელები, რომელთა ფასიც რვა ცენტსა და რვა ათას რუპიას შორის მერყეობს. ჩემსავე იდეას, ამ ცირკში თეატრები მოეძებნო, ვპასუხობ იმით, რომ ალბათ მაღაზიებშიც საკმარისად ნაღვლიანი დრამები უნდა იდგმებოდეს. აქ, ვფიქრობ, არის პოლიცია; მაგრამ იმდენად უცნაურად მესახება აქაური მართმლსაჯულება, რომ ხელს ვიღებ ადგილობრივი ავანტიურისტების წარმოდგენაზე.

გარეუბანი, პარიზის რომელიმე ლამაზი ქუჩასავით დახვეწილი, ნათელმოსილი ჰაერითაა კურთხეული. მოსახლეობის დემოკრატიული ნაწილი რამდენიმე ასეულ სულს ითვლის. სახლები არც აქ დგანან მწკრივად. გარეუბანი უჩვეულოდ იკარგება სოფელში, ოლქი, რომელიც საოცარი ტყეებითა და პლანტაციებით ავსებს მარადიულ დასავლეთს, სადაც ველური დიდგვაროვნები თავიანთ ახალ ამბებზე ნადირობენ იმ განათების ქვეშ, თვითონ რომ მოიგონეს.

## ღამისთევები

### I

ეს არის განათებული მოსასვენებელი, არც ციებცხე-  
ლება, არც მოთენთილობა, სანოლსა თუ მდელოზე.

ეს მეგობარი არც სასტიკია, არც სუსტი. მეგობარი.

ეს სატრფო არც მტანჯველია და არც ტანჯული. სატ-  
რფო.

ჰაერი და სამყარო მოუძებნელი. ცხოვრება.

– მაშ, ეს იყო ყოველივე?

– და სიზმარი გაგრილდა.

### II

განათება უბრუნდება ნივნივების შუა დგარს. დარბა-  
ზის ორი უკიდურესი წერტილიდან – დეკორაცია სულერ-  
თია – ხმაშენყობილი ამაღლებები ურთიერთხვდებიან.  
კედელი გუშაგის მოპირდაპირე მხარეს ფრიზული ნაწყ-  
ვეტების, ატმოსფერული თასმებისა და გეოლოგიური  
დამთხვევების ფსიქოლოგიური მწკრივია. – მგრძნობი-  
არე ჯგუფების მძლავრი და სწრაფი სიზმარი, ყველა შე-  
საძლო გამოვლინებით, ყველანაირი ხასიათის ადამიანე-  
ბით გარემოცული.

### III

ლამისტევის ლამპები და ხალიჩები ხმაურობენ, როგორც ტალღები ლამით, კორპუსის გაყოლებაზე და გემბანის გარშემო.

ლამისტევის ზღვა, ამელის ძუძუების მსგავსი.

სანახევროდ ჩამოკიდული გობელენები, ზურმუხტისფრად შეფერილი მაქმანის ბუჩქნარი, საითაც იჭრებიან ლამისტევის გვრიტები.

—

შავი კერიის, სანაპიროთა ნამდვილი მზეების ლითონის დისკო: ო! მაგიური ჭები; განთიადი ამჯერად სულ ოდნავ მოჩანს.

### მისტეკა

ბორცვის პატარა ქანობზე ანგელოზები ფოლადისა და ზურმუხტის საბალახოებში აფრიალებენ თავიანთ შალის კაბებს.

აღმოდებული მდელოები გორაკის კენწეროსკენ ხტიან. მარცხნივ ჰუმუსი მთის თხემზე ყოველგვარი კაცისკვლითა და ბრძოლებითაა გათელილი და ყველა ეს დამღუპველი ხმა მრუდედ მწკრივდება. ხელმარჯვნივ მდებარე მთაგრეხილის უკან გაყვანილია აღმოსავლეთისა და წინსვლის ხაზი.

და სანამ ფენა სურათის თავზე შედგება ზღვის ნიჟარებისა და ადამიანური ღამეების ბზრიალა და ხტუნია გუგუნისგან,

ამასობაში ვარსკვლავების, ზეცისა და სხვა ყველაფრის მოყვავილე სიტკბო ბორცვის პირდაპირ, კალათასავით ეშვება ჩვენს სახეზე და მის ქვეშ სურნელოვან და ლურჯ უფსკრულს ქმნის.

## განთიადი

მე გულში ჩავიკარი ზაფხულის განთიადი.

ჯერაც არაფერი მოძრაობდა სასახლეთა ზედაპირზე. ნყალი მომკვდარიყო. აჩრდილთა ბანაკები არ ტოვებდნენ ტყის ბილიკს. მე მივაბიჯებდი, თან ვაღვიძებდი ცოცხალ თბილ სუნთქვას.

ყველაფერი ყვავილმა წამოიწყო, – იმ ბილიკზე, უკვე რომ გაეფსოთ ახალ, მკრთალ შუქებს, – ყვავილმა, რომელმაც თავისი სახელი მიიხრა.

გავუცინე ქერა ვასერფალს<sup>11</sup>, ნაძვებში რომ თმა გაინენა: მოვერცხლილ მწვერვალზე ქალღმერთი ვიცანი.

მაშინ სათითაოდ გადავხადე პირბადეები. ბილიკზე, ხელების ფათურით. ველად, სადაც ის მამალთან დავასმინე. ქალაქის ცენტრში ის სამრეკლოებსა და გუმბათებს შორის ქროდა და როგორც მათხოვარი მარმარილოს სანაპიროებზე, მე მას დავედევნე.

გზიდან მაღლა, დაფნების ტყის შორიახლოს, მე ის გა-  
ვახვიე თავის დახვავებულ პირბადეებში, და ასე შევიგრ-  
ძენი ოდნავ მისი უშველებელი სხეული. განთიადი და ბავ-  
ში ტყის პირას გაგორდნენ.

რომ გავიღვიძე, შუადღე იყო.

## ყვავილები

ოქროს ფერდობიდან, – აბრეშუმის თოკების, მწვა-  
ნე ხავერდის და იმ კრისტალის დისკოების შუაგულში,  
ბრინჯაოსავით რომ შავდებიან მზეზე, – ვხედავ, როგორ  
იფურჩქნება ფუტკარა ვერცხლის ფილიგრანის, თვალე-  
ბისა და კულულების ხალიჩაზე.

აქატზე დათესილი ყვითელი ოქროს ნამცეცები, მაჰა-  
გონის სვეტებზე მდგარი ზურმუხტის გუმბათი, თეთრი  
სატინის თაიგულები და ლალის ნატიფი შხეფები გარს  
ერთყმიან წყლის ვარდს.

ზღვა და ზეცა, ვითარცა ღმერთი თავისი უშველებე-  
ლი ლურჯი თვალებითა და თოვლის ლანდებით, მარმა-  
რილოს ტერასებისკენ იტყუებენ ნორჩი და მძლავრი ვარ-  
დების ბრბოს.

## უბრალო ნოქტურნი

ერთი ამოსუნთქვა ოპერისეულ რღვეულებს ხსნის  
ტიხრებში, – არღვევს ამოჭმული ჭერის ბრუნვას, – ფან-  
ტავს კერიების საზღვრებს, – ფანჯრებს აბნელებს. ვაზის  
გასწვრივ გავუყევი, ცალი ფეხით გარგულიას მიყრდ-

ნობილი, – და დავეშვი ამ ეტლში, რომლის ეპოქაზეც აშკარად მიუთითებს ამოზნექილი მინები, გამობურცული ლირსები და გამრუდებული სავარძლები. ჩემი ძილის კუბო, ეული, მწყემსის სახლი ჩემი სიშტერისთვის, მანქანა ნაშლილი შარაგზის გაზონზე იჭრება: და ნაკლულ ნერტილში მარჯვენა მინის თავზე, მკრთალი მთვარეული სხეულები, ფოთლები, ძუძუები ბრუნავენ. – მეტად ჩაშავებული ლურჯი და მწვანე იპყრობენ სურათს. აშვება ქვიშით დალაქულ არემარეში.

– აქ დავუსტვენთ ქარიშხლებისთვის, სოდომებისა და სოლიმებისთვის<sup>12</sup>, – და მძვინვარე მხეცებისა და ჯარებისთვის,

– (ნუთუ ამ ყველაზე ჩახუთულ ტყეშიც განაგრძობენ ფორეიტორი და სიზმრის მხეცები ჩემს თვალებამდე აბრეშუმის ნაკადულში ჩაძირვას)

და ჩვენს თავებს, გამათრახებულებს მშხეფარე წყლებსა და დაღვრილ სასმელებში, გაგტყორცნით დოგების ყეფაზე საგოროოდ...

– ერთი ამოსუნთქვა ფანტავს კერიის საზღვრებს.

## მარინი

ვერცხლისა და სპილენძის ეტლები –  
ფოლადისა და ვერცხლის ხომალდები –  
ზღვის ქაფს სცემენ –  
სწევენ მაყვლების ძირკვებს.

ჭაობის დინებები,  
და ზღვის მიქცევათა ვრცელი ნაკვალევი,  
წრიულად მიედინებიან აღმოსავლეთით,  
ტყის სვეტებისკენ, –



დამბის ხიმინჯებისკენ,  
რომლის კუთხესაც ეჯახებიან სინათლის ქარბორბალები.

## ზამთრის დღესასწაული

კომიკური ოპერის ქოხების უკან წყალვარდნილი მღერის. ბალში და ბილიკზე მეანდრის<sup>13</sup> მახლობლად, ჟირანდოლები ჩამავალი მზის სიმწვანეებსა და სინითლებს ახანგრძლივებენ. ჰორაციუსის ნიმფები, დავარცხნილები პირველი იმპერიის ყაიდაზე, – ციმბირული რონდები, ბუშეს ჩინელი ქალები<sup>14</sup>.

## ტანჯვა

ნეტავი თუ შეიძლება, რომ მან მიმატევებინოს ჩემი მუდმივად გასრესილი სწრაფვები, – რომ ბარაქიანმა აღსასრულმა გამოასწოროს სიდუხჭირის ხანა, – რომ წარმატების ერთმა დღემ მიგვაძინოს ჩვენი ფატალური უუნარობის სირცხვილზე?

(ო პალმები! აღმასი! – სიყვარული, ძლიერება! – ყოველგვარ სიამეებსა და დიდებაზე უფრო მალლა! – ყოველ შემთხვევაში, ყველგან, – დემონი, ღვთაება, – ამ ქმნილების ახალგაზრდობა: ჩემი!)

რომ სამეცნიერო ჯადოქრობის შემთხვევები და საზოგადო ძმობის მოძრაობები ფასობდნენ, როგორც ჩვენი თანდათანობითი დაბრუნება პირველყოფილ უმნიკვლობაში?...

მაგრამ ვამპირი, რომელიც გვაკეთილშობილებს, აგრეთვე გვიბრძანებს, თავი შევიქციოთ იმით, რასაც

გვიტოვებს, ანდა თვითონ გავხდეთ უფრო თავშესაქცევები.

დაე, ვიგორო ქრილობებში, დამქანცველი ჰაერი და ზღვით; ნამებაში, მკვლელი წყლებისა და ჰაერის მდუმარებით; ტანჯვებში, რომლებიც იცინიან თავიანთ შემზარავად მღელვარე მდუმარებაში.

## მეტროპოლიტენი

ინდიგოს სრუტიდან ოსიანის ზღვებამდე, ვარდისფერ და ნარინჯისფერ ქვიშაზე, ღვინისებრმა ცამ რომ განზანა, სულ ახლახან ნამოიმართა და გადაიკვეთა კრისტალური ბულვარები, უმალ რომ აითვისეს ახალგაზრდა, გაჭირვებულმა ოჯახებმა, რომლებიც სურსათით ხილ-ბოსტნის გამყიდვლებისგან მარაგდებიან. არაფერი მდიდრული. – ქალაქი!

ბიტუმოვანი უდაბნოდან თავქვე მიქრიან, ცაზე შემზარავ ფენებად ჩამოლაგებული ნისლის ზენრებით უკუქცეულნი; ცაზე, რომელიც იღუნება, უკან იხევს და დაბლა ეშვება, წარმოქმნილი ყველაზე ავბედითი შავი კვამლისგან, რომლის წარმოშობაც კი ძალუძს მგლოვიარე ოკეანეს, მიქრიან ჩაფხუტები, ბორბლები, ნავეები და გავები. – ბრძოლა!

თავი აწიე: ეს თაღოვანი ხის ხიდი; სამარიის ეს უკანასკნელი ბოსტნები; ცივი ღამის მიერ გამათრახებული ფარნებით განათებული ეს ნიღბები; ჩერჩეტი უნდინა შრიალა კაბით, მდინარის ძირას; ეს მანათობელი თავისქალები ბარდის წყებებში – და სხვა ფანტასმაგორიები – სოფელი.

გზები, მოსაზღვრული გისოსებითა და კედლებით, ძლივს რომ აკავებენ თავიანთ ნარგავებს, და შემზარავი ყვავილები, რომლებსაც ალბათ ეძახიან დებს და გულებს,

დამასკი წყეული უსიცოცხლობით, – ზემო რაინული, იაპონური, გუარანიული<sup>15</sup>, ზღაპრული დიდგვაროვნების კუთვნილებები, ჯერაც ხმაშენყობილნი წინაპართა მუსიკასთან – და არის კიდევ სასტუმროები, რომლებიც აღარასდროს გაიღებიან – არიან პრინცესები და, თუ მეტისმეტად შეპყრობილი არ ხარ, არის ვარსკვლავების შესწავლა, – ზეცა.

დილა, როდესაც შენ და ის ერთმანეთს დაეჭიდეთ, ამ თოვლის ნატეხების გარემოცვაში, ამ მწვანე ტუჩებით, ამ ყინულებით, შავი დროშებითა და ლურჯი სხივებით და ამ პოლარული მზის იისფერი სურნელებით. – შენი ძალა.

## ბარბაროსი

დღეთა და ჟამთაგან, არსებათა და ქვეყანათაგან დიდი ხნის მერე,

უმი ხორცის ალამი სისხლად დის აბრეშუმის ზღვებსა და არქტიკულ ყვავილებზე; (ისინი არ არსებობენ).

გადარჩენილნი ძველ ჰეროიზმის ფანფარებს – ჯერაც რომ უტევენ ჩვენს გულსა და თავს – შორს ძველი მკვლევლებისგან –

ო! უმი ხორცის ალამი სისხლად დის აბრეშუმის ზღვებსა და არქტიკულ ყვავილებზე; (ისინი არ არსებობენ).

სიტკბოება!

ლადარი აწვიმს თრთვილის წამოქროლებას – სიტკბოება! – ცეცხლის ალები აღმასური ქარის წვიმაში, იმ მიწიერი გულიდან გამოსროლილი, მარად დანახშირებული რომაა ჩვენთვის. – ო სამყარო! –

(შორს ძველი თავმესაფრებისა და ძველი ალებისგან, ჯერაც რომ გვესმის, ჯერაც ვგრძნობთ.)

ლადარი და ქაფი. მუსიკა, უფსკრულთა მიმოსვლა, ლოლუების ვარსკვლავებთან შეჯახება.

ო სიტკბოება, ო სამყარო, ო მუსიკა! და იქ მოტივტივე სხეულები, ოფლისღვრა, კულულები და თვალეები. და თეთრი, მდულარე ცრემლები, – ო სიტკბოება! – და ქალური ხმა მოსული ვულკანთა ფსკერამდე და არქტიკულ მღვიმეებამდე.

ალამი...

## გაყიდვა

გასაყიდად ის, რაც ურიებს დარჩათ გაუყიდავი, რაც არც კეთილშობილებას, არც ბოროტმოქმედებას არ უგემია, რაც არ იცინან დაწყევლილმა სიყვარულმა და მასათა ჯოჯოხეთურმა ნესიერებამ; ის, რაც არც დროს და არც შემეცნებას არ აქვს საღიარებელი;

ხმები აღდგენილი; ყველა საგუნდო და საორკესტრო ენერგიათა ძმური გამოღვიძება და მათი მყისიერი გაცხადება; უნიკალური შემთხვევა ჩვენ გრძნობათა გასათავისუფლებლად.

გასაყიდად უფასო სხეულები, ყველა მოდგმას, სამყაროს, სქესს, წარმოშობას მიღმა! სიმდიდრეთა ნიაღვარი ყოველ ნაბიჯზე! ალმასის უმართავი გაყიდვა!

გასაყიდად ანარქია მასებისთვის; დაუცხრომელი კმაცოფა დახვეწილი მოყვარულებისთვის; შემადრწუნებელი სიკვდილი მორწმუნეებისა და საყვარლებისთვის!

გასაყიდად ბინადრობები და გადასახლებები, შეჯიბრებები, გრძნულებები და სრული მყუდროება და ხმაური, მოძრაობა და მომავალი, რომელსაც ესენი ქმნიან!

გასაყიდად მათემატიკის გამოყენებანი და ჰარმონიის გაუგონარი ნახტომები. წარმოუდგენელი აღმოჩენები და სახელწოდებები, მყისიერი კუთვნილება,

გიჟური და უსასრულო ქროლა უხილავი ბრწყინვალე-ბისკენ, უგრძნობი სიამეებისკენ, – და მისი ჭკუიდან შემ-შლელი საიდუმლოებები ყოველი მანკიერებისთვის – და მისი შემზარავი მხიარულება ბრბოსთვის.

გასაყიდად სხეულები, ხმები, უდავო, უსაზღვრო სი-ჭარბე, ის, რაც არასდროს გაიყიდება. ვაჭრებს ჯერ სრუ-ლად არ გაუყიდათ! მოგზაურებს შეუძლიათ მოგვიანე-ბით წარადგინონ ანგარიში გასანაღლებლად.

## FAIRY

ელენისთვის შეიკრნენ ორნამენტული მცენარის წვე-ნები უმანკო ჩრდილებში და გულცივი ნათებანი ასტრა-ლურ მდუმარებაში. ზაფხულის მხურვალეობა დაეკისრათ მუნჯ ჩიტებს და ჯეროვანი უსაქმურობა – ფასდაუდებელ სამგლოვიარო ნავს, მკვდარი სიყვარულისა და დამცხრა-ლი სურნელების ყურეში მიყენებულს.

– მას მერე, რაც ტყისმჭრელმა ქალებმა უმღერეს ნა-კადულის გრგვინვას ხეთა ნაქცევებში, რაც საქონელმა ხეობების ექოდ იეჟენა, რაც ტრამალებში გაისმა ყვირი-ლი. –

ელენის ბავშვობისთვის ითრთოლეს ბენვებმა და ჩრდილებმა – და უპოვართა ძუძუმ და ციურმა თქმულე-ბებმა,

და მისი თვალეები და მისი ცეკვა, რომ აღემატებთან ძვირფას ნათელმოსილებას, ცივ ზემოქმედებებს, განუ-მეორებელი ვითარებისა და ნუთების სიამეებს.

## ომი

ბავშვობაში, ზოგიერთმა ზეცამ გამიმახვილა მხედველობა: ყოველგვარმა ხასიათმა მისცა ელფერი ჩემს ფიზიონომიას. ყველა ფენომენი აღიძრა. – ამჟამად, წამთა მარადიული სიმრუდე და მათემატიკათა უსასრულობა მერეკებიან ამ სამყაროში, სადაც უნდა გადავიტანო ყველა სამოქალაქო წარმატება, პატივცემული უცნაური ბავშვობითა და უსაზღვრო ალერსით. – მე ვნატრობ ომს, სამართლიანობისა თუ ძლიერების, გაუთვალისწინებელი ლოგიკის ომს.

ეს მუსიკალური ფრაზასავით მარტივია.

## ახალგაზრდობა

### I

#### *კვირა დღე*

გვერდზე გადადებული გამოთვლები, ზეცის გარდაუვალი ჩამოქცევა, მოგონებათა სტუმრობა და რიტმების კრება იკავებენ საცხოვრისს, თავს და გონების სამყაროს.

– ნახშირბადოვანი ჭირით გაჟღენთილი ცხენი მიქრის გარეუბნის კორდზე, ნახნავ და გატყიანებულ მიწებზე. სამყაროს რომელიღაც წერტილში საბრალო ანჩხლი ქალი ოხრავს არასარწმუნო მიტოვებათა გამო. დესპერადოებს სწადიათ ქარიშხალი, სიმთვრალე და ჭრილობები. მდინარის გაყოლებაზე, პატარა ბავშვები წყევლებს ახრჩობენ.

განვავრდოთ სწავლა ამ შთანმთქმელი მუშაობის ხმაურში, რომ გროვდება და იზრდება მასებში.

## II

### სონეტი

ჩვეულებრივი აგებულების მამაკაცი, განა / ერთ დროს ხორცი არ ეკიდა ხილად ბალნარში, – ო / ჩვილო დღეებო! სხეული – საგანძური ფუჭად სახარჯი; – ო / გიყვარდეს, საფრთხეა თუ ძალა ფსიქესთვის? მიწას / ჰქონდა ფერდობები, ნაყოფიერი პრინციპითა და ხელოვანებით, / და მოდგმა და შთამომავლობა გიბიძგებდათ / ბოროტ-მოქმედებისა და გლოვისაკენ: სამყარო, თქვენი ქონება და დაღუპვა / თქვენი. მაგრამ ახლა, ეს საქმე მოთავებულა, შენ შენი გამოთვლები, / შენ შენი სულსწრაფობანი – აღარაფერია თქვენი ცეკვისა და / ხმების გარდა, არც უძრავი და არც იძულებითი, თუმც კი გამოგონების / და წარმატების ორმაგი შედეგის ერთი მიზეზი, – / როგორც ძმური და ფრთხილი კაცობრიობა ამ სამყაროში / სახეების გარეშე; – ძალა და უფლება ირეკლავენ / ხმასა და ცეკვას, მხოლოდ ამჟამად დაფასებულებს.

## III

### ოცი წელი

ჭკუის სასწავლებელი ხმები გადაიხვეწნენ... ფიზიკური გულწრფელობა მწარედ ჩაიხშო... – ადაჟიო. – ა! სიყმანვილის უსაზღვრო ეგოიზმი, ბეჯითი ოპტიმიზმი: როგორი სავსე იყო ეს ზაფხული ყვავილებით! ჰანგები და სხეულები კვდებიან... – მგალობლების გუნდი, რომ დააცხრონ უძღურება და უკმარისობა! შუშის, ღამეული მელოდების გუნდი... მართლაც, ნერვები ხელად გამოვლენ სანადიროდ.

## IV

შენ ჯერაც არ გაცდენილხარ ანტონის ცდუნებას. შესუსტებული გულმოდგინების ოინბაზობა, ბავშვური სიამაყის მანჭვები, მარცხი და შიში.

მაგრამ შენ შეუდგები ამ საქმეს: ყოველგვარი ჰარმონიული და არქიტექტურული შესაძლებლობები დახვადება შენს ფერხთით. სრულყოფილი, გაუთვალისწინებელი არსებები მიეცემიან შენს გამოცდილებებს. უწინდელ ბრბოთა და ფუჭ ფუფუნებათა ცნობისმოყვარეობა ზმანებანარევად მოაწყდება შენს შემოგარენს. შენი მეხსიერება და შენი გრძნობები იქნებიან მხოლოდ და მხოლოდ საკვები შენი შემოქმედებითი ბიძგისთვის. და რაც სამყაროს შეეხება, რა ბედი ეწევა, შენ რომ გახვალ? ყოველ შემთხვევაში, არაფერი იმის მსგავსი, რაც ახლა მოჩანს.

## კონცხი

ოქროსფერ განთიადსა და მთრთოლვარე საღამოს ჩვენი ნავი დახვდა განოლილი, ამ აგარაკისა და მისი დამოკიდებულებების შემყურე, რომლებიც წარმოქმნიან კონცხს, ეპიროსივით და პელოპონესივით გაშლილს, ანდა დიდს, როგორც იაპონიის კუნძულს, როგორც არაბეთს! მსვლელობათა დაბრუნებით განათებული ფანუმები<sup>16</sup>, უზარმაზარი ხედები იშლება თანამედროვე სანაპირო გამაგრებებზე; ქვიშები დახუნძლული მხურვალე ყვავილებითა და ბაკქანალიებით; საეჭვო ვენეციის კართაგენული არხები და ჯებირები; ეტნას მდნარი ამოფრქვევები, ნაპრალები ყვავილებისა და წყლებისთვის მყინვარებში, გერმანული ვერხვებით გარშემორტყმული სარეცხი; ბორცვები უჩ-



ვეულო ბალებში დაბლა ხრიან იაპონური ხის თავებს; და „როიალისა“ თუ „გრანდის“, სკარბოროსა თუ ბრუკლინის წრიული ფასადები; მათი რკინიგზები ეკვრიან, კვეთენ, ეკიდებიან ამ სასტუმროს იტალიის, ამერიკის და აზიის ყველაზე დახვეწილ და კოლოსალურ ნაგებობებთან ისტორიიდან რჩეულ წეს-ჩვეულებებს, რომლის ამჟამად სინათლით, სასმლითა და ბრიზებით სავსე ფანჯრებიც და ტერასებიც ღიაა მოგზაურთა და დიდგვაროვანთა წარმოსახვისთვის – რომლებიც, დღის საათებში, საშუალებას აძლევენ ყველანაირ ტარანტელებს, – და რიტურნელებსაც კი, – რომლებიც ხელოვნების განთქმულ ველებზე ეწყობა, ბრწყინვალედ მორთონ კონცხის სასახლის ფასადები.

## სცენები

ძველთაძველი კომედია იცავს თავის ჩვეულებებს და ანანევრებს თავის იდილიებს:

სასცენო ბულვარები.

გრძელი ხის ჯებირი, კლდოვანი მინდვრის სიგრძეზე, სადაც გამიშვლებული ხეების ქვეშ ბარბაროსული ბრბო მიდიმოდის.

თხელი, შავი ქსოვილის დერეფნებში, ფარნებითა და ფოთლებით გარემოცულ მოსეირნეთა კვალდაკვალ.

მისტერიათა ჩიტები მაყურებლების ნავებით დაფარული არქიპელაგის მიერ დარწმუნულ ქვის პონტონზე ენარცხებიან.

ღირიკული სცენები, სალამურისა და დოლის თანხლებით, იხრებიან ჭერქვეშა მყუდრო კუნჭულებიდან, თანამედროვე კლუბების ოთახებისა და ძველი აღმოსავლეთის დარბაზების გარშემო.

ზმანება მანევრირებს ბუჩქნარით დაგვირგვინებულ ამფითეატრის კენწეროზე, – ან თრთის და მოდულირებს ბეოტიელთათვის, მოქანავე ტევრების ჩრდილში, ნახნა-ვეების მიჯნაზე.

სცენაზე კომიკური ოპერა დანაწევრებულია პორტიკიდან რამპებამდე აღმართული ათი ტიხრის გადაკვეთის ხაზით.

### ისტორიული სადამო

რომელიმე სადამოს, მაგალითად, როცა გულუბრყვილო ტურისტი მოსცილდება ჩვენს ეკონომიკურ საშინელებებს, ოსტატის ხელი აცოცხლებს ჭაღების კლავესინს; კარტს თამაშობენ გუბურის ძირას, რომელიც სარკეა, დედოფლებს და მეფის მინიონებს რომ იხმობს; აქ აქვთ წმინდანები, პირბადეები, ჰარმონიის ძაფები, ლეგენდარული ქრომატული აბერაციები დაისის ჟამს.

მას ნადირობათა და ურდოთა მსვლელობისგან აჟრჟოლებს. კომედია წვეთავს ბალახის სცენებზე. და ღარიბთა და ბეჩავთა ნუხილი ამ შტერულ ზედაპირებზე.

მისი მონური ხილვის წინაშე, – გერმანია მიეშაფოტებს მთვარეებისკენ; თათრული უდაბნოები ნათდება – უძველესი ამბოხებები ირევა ზეციური იმპერიის გულში, კლდის კიბეებისა და სავარძლების პირას – პატარა სამყარო, მკრთალი და ბრტყელი, აფრიკა და დასავლეთი, აღმართება. მერე ნაცნობი ზღვებისა და ღამეების ბალეტი, უვარგისი ქიმი და შეუძლებელი მელოდიები.

ერთი და იგივე ბურჟუაზიული მაგია ყველგან, სადაც კი საფოსტო მატარებელი ჩამოგვსვამს! ყველაზე უბრალო ექიმიც კი გრძნობს, რომ უკვე შეუძლებელია და-

ემორჩილო ამ პირადულ ატმოსფეროს, ფიზიკური სინა-  
ნულის ნისლს, რომლის აღიარებაც კი მტანჯველია.

არა! – დრო მხურვალეებისა, ალგვილი ზღვების, მიწის-  
ქვეშა ხანძრების, მოწყვეტილი პლანეტის და შესაბამისი  
განადგურებების დრო, რწმენები, ასე უბოროტოდ რომაა  
გადმოცემული ბიბლიასა და ნორნების<sup>17</sup> თქმულებაში და  
სერიოზულ არსებებს რომ მიეცემათ თვალის სადევნებ-  
ლად. – თუმცა ეს უკვე იგავი აღარ იქნება!

## ფსკერა

თუმცა სინამდვილე მეტისმეტად ეკლიანი იყო ჩემი  
ვრცელი პიროვნებისთვის, – ვიმყოფებოდი მაინც ჩემს  
ქალბატონთან, ვითარცა ჭერის სხმულებისკენ მოლივ-  
ლივე და სალამოს ჩრდილებში ფრთამოფახუნე უზარმა-  
ზარი მოლურჯნაცრისფრო ჩიტი.

ბალდახინის ძირში, რომელსაც მისი სათაყვანებელი  
ძვირფასი ქვები და მისი ფიზიკური შედევრები ეჭირა, მე  
მსუქანი დათვი ვიყავი, იისფერი ღრძილებითა და დარ-  
დისგან გაჭალარავებული ბენვით და მზერა კონსოლის  
კრისტალებსა და ვერცხლზე მიმეპყრო.

ყველაფერი აჩრდილად და მხურვალე აკვარიუმად  
იქცა. დილით, – ივნისის ერთ მებრძოლ განთიადს, – ვი-  
რადქცეული, გავიჭერი ველად, ვყროყინებდი და ვიქნე-  
ვი ჩემს დარდს, სანამ საბინელი ქალები არ მოვიდნენ გა-  
რეუბნიდან და მკერდზე არ ჩამომეკიდნენ.

## H

ყველა სიმახინჯე აუპატიურებს ორტანსის საზარელ ფესტებს. მისი მარტოობა ეროტიკული მექანიკაა, მისი დაღლილობა – სასიყვარულო დინამიკა. საუკუნეთა მანძილზე, ბავშვობის ზედამხედველობის ქვეშ, ის იყო მოდგმათა მგზნებარე ჰიგიენა. მისი კარი ღიაა უბედურებისთვის. იქ ამჟამინდელ არსებათა ზნეობა განსხეულდება მის ვნებასა თუ ქმედებაში – ო, ახალბედა ტრფობათა შემზარავი ჟრჟოლა სისხლიან მიწაზე და მანათობელ წყალბადში! – იპოვეთ ორტანსი.

## მოძრაობა

კლაკნილ მოძრაობას მდინარის ჩანჩქერების ნაპირზე,  
ნაპრალს გემის კიჩოში,  
ქანობის სისწრაფეს,  
დინების ვრცელ მიმოსვლას,  
მიჰყავთ არნახული სინათლეებისა  
და ქიმიური სიახლის გავლით  
მოგზაურები გარშემორტყმული ხეობისა და შტრომის  
წყალბორბალებით.

ესენი არიან სამყაროს დამპყრობლები  
პირადი ქიმიური სიმდიდრის ძიებაში;  
ჟინი და მყუდროება მათთან ერთად მგზავრობენ;  
ამ გემით მათ მიაქვთ  
რასების, კლასების და მხეცების განათლება.  
განცხრომა და თავბრუსხვევა

წარღვისეულ სინათლეს,  
კვლევის საშინელ ღამეებს.

რადგან მოჩანს ლაპარაკიდან ხელსაწყობს შორის –  
სისხლი; ყვავილები, ცეცხლი, სამკაული – ,  
აგზნებული გამოთვლებიდან, ამ გაქცეულ გემზე,  
– მოჩანს ჰიდრავლიკურად მამოძრავებელი გზის მიღმა  
ჯებირივით მგორავი,  
შემზარავი, უსასრულოდ მანათობელი, – მათი კვლევის  
მარავი;  
ისინი, ჰარმონიულ ექსტაზსა  
და აღმოჩენის ჰეროიზმში განდევნილნი.  
ყველაზე გამაოგნებელ ატმოსფერულ შემთხვევებში,  
ახალგაზრდობის წყვილი განმარტოვდება გემზე,  
– იქნებ ეს პირველყოფილი სიმორცხვეა, რომელსაც  
ვპატიობთ?  
და მღერის და დარაჯობს.

## მიძღვნა

ჩემს დას, ლუიზ ვანენ დე ვორინგჰემს: – მისი ლურჯი  
ჩაჩი ჩრდილოეთის ზღვად ქცეული. – ზღვაში დამხრჩ-  
ვალთათვის.

ჩემს დას, ლეონი ობუა დ'ეშბის. ბაუ – ბზუნა და  
მყრალი ზაფხულის ბალახი. – დედათა და ბავშვთა ციებ-  
ცხელებისთვის.

ლულუს, – დემონს – რომელმაც შეინარჩუნა ვნება  
ორატორიებისთვის მეგობრებისა და მისი არასრული გა-  
ნათლების დროიდან. კაცებისთვის! მაღამ \*\*\*ს.

მოზარდს, რომელიც ვიყავი. ამ წმინდა ბერიკაცს, საყუდარი ანდა მისია.

უპოვართა სულს. და უმაღლეს სამღვდელოებას.

აგრეთვე ყოველგვარ კულტს ნებისმიერ საკულტო მემორიალურ ადგილას და ნებისმიერი მოვლენებისას, რომლებზეც უნდა გამოცხადდე, წამიერ მისწრაფებებთან თუ ჩვენ საკუთარ სერიოზულ მანკიერებასთან შეთანხმებით.

ამ საღამოს, ყინულოვანი სიმაღლეების კირკეტოს, თევზივით მსუქანს და წითელი ღამის ათი თვესავით მოხატულს, – (მისი გული ქარვა და სპანკი<sup>18</sup>), – ჩემი ერთადერთი მუნჯი ლოცვისთვის, ღამის ამ მხარეებივით მუნჯი და ამ პოლარულ ქაოსზე უფრო სასტიკ სიმამაცეთა წინმსწრები ლოცვისთვის.

ყველაფრის ფასად და მთელი ძალებით, თუნდაც მეტაფიზიკურ მოგზაურობებში. – მაგრამ *მაშინ* აღარ.

## დემოკრატია

„დროშა უხდება საზიზღარ პეიზაჟს და ჩვენი კილო დაფდაფებს ახშობს.

„ცენტრებში გამოვკვებავთ ყველაზე ცინიკურ პროსტიტუციას. გავჟღეღტო ლოგიკურ აჯანყებებს.

„პილპილმოყრილი და გალუმპული მინებისკენ! – ყველაზე საზარელი ინდუსტრიული თუ სამხედრო ექსპლუატაციების სამსახურში.

„მშვიდობით აქაურობავ, სულერთია სად. კეთილი ნებით განვეულები სავალდებულო სამხედრო სამსახურში, მძვინვარე ფილოსოფიით ვიმოქმედებთ; უცოდინრები, კეთილდღეობაზე დაგეშილები; და ჯანდაბამდეც გზა

ჰქონია მბრუნავ სამყაროს. ეს ნამდვილი წინსვლაა. აბა, მარშით, ფეხი გაადგი!“

## გენია

ის არის სიყვარული და ანმყო, რამეთუ მან შეიკედლა ქაფიანი ზამთარი და ზაფხულის ხმაური, ის, რომელმაც განწმინდა სასმელი და საკვები, ის, რომელიც არის მონყვეტილ ადგილთა ჯადო და სადგურების ზეადამიანური სიამე. ის არის სიყვარული და მომავალი, ძალა და ტროფობა, რომელსაც ჩვენ, ფეხზემდგარნი ჩვენს რისხვასა და მონყენილობაში, ვხედავთ, ქარიშხლის ზეცად და ექსტაზის დროშებად გაქროლებულს.

ის არის სიყვარული, სრულყოფილი და გარდაქმნილი საზომი, გასაოცარი და მოულოდნელი გონება და მარადისობა: საბედისწერო ღირსებათა სანუკვარი ხელსაწყო. ყველა ჩვენგანს განუცდია მისი და ჩვენი მოსავლის შიში: ო, ჩვენი ჯანმრთელობით ტკბობა, ჩვენი უნარების გაფრენა, ეგოისტური სიყვარული და ვნება მისდამი, რომელსაც ვუყვარვართ მთელი თავისი უსასრულო სიცოცხლით...

და ჩვენ გვახსოვს ის და ის მიემგზავრება... და თუ თაყვანისცემა მიდის, რეკს, მისი ფიცი რეკს: „ძირს ცრურწმენები, ეს ძველი სხეულები, ეს წყვილები და წლები. ესაა ხანა, რომელიც დაიხრჩო!“

ის არ წავა, მეტად აღარ დაეშვება რაიმე ციდან, ის არ იხსნის ქალებს რისხვისგან და კაცებს მხიარულებისგან და ყველას ამ ცოდვისგან: რადგან ის იყო, როდესაც ეს ცოდვა იქმნა და იყო მაშინაც სანუკვარი.

ო, მისი სუნთქვები, მისი თავები, მისი ქროლვა: სურ-ლყოფილი ფორმებისა და ქმედების საშინელი სისწრაფე.

ო, გონის ნაყოფიერება და სამყაროს უკიდევანობა!

მისი სხეული! განთავისუფლება სიზამრეული, მადლის მსხვერვეა ახალი ძალადობის წინაშე! მისი ხილვა, მისი ხილვა! ყველა ადრინდელი მუხლის მოდრეკა და მარტვილობა უარქმნილი მის კვალდაკვალ.

მისი დღე! ყოველგვარი მჟღერი და მბორგავი ტანჯვის გაუქმება უმძაფრეს მუსიკაში.

მისი ნაბიჯი! მიგრაციები უფრო ვრცელი, ვიდრე უწინდელი დამპყრობლობები.

ო, ის და ჩვენ! სიამაყე მეტად კეთილის მოსურნე, ვიდრე დაკარგული მონყალეზანი.

ო, სამყარო! და ახალ მწუხარებათა ნათელი გალობა!

მან შეიცნო ყველა ჩვენგანი და შეიყვარა ყველა ჩვენგანი. დაე, ვიცოდეთ, ამ ზამთრის ღამეს, ქურქიდან ქურქში, მღელვარე პოლუსიდან სასახლეში, ბრბოდან სანაპიროზე, მზერიდან მზერაზე, ქანცგანწყვეტილი ძალები და გრძნობები, როგორ ვადიდოთ და ვიხილოთ, და განვაგდოთ, და, მოქცევების ქვეშ და თოვლის უდაბნოების თავზე, გავყვეთ მის ხილვებს, მის სუნთქვებს, მის სხეულს, მის დღეს.



- 1 ეს ფრაზა დამახინჯებულადაა აღებული ღვთისმშობლის კათოლიკური ჰიმნიდან *Stabat Mater*, რომლის პირველი ტერცეტია: *Stabat mater dolorosa / juxta Crucem lacrimosa, / dum pendebat Filius* (იდგა დედა მგლოვიარე / ჯვართან ცრემლიანი / როდესაც მასზე ეკიდა შვილი).
- 2 **Jeune-France**. იგულისხმება, როგორც ჩანს, ფრანგი რომანტიკოსების მოძრაობა, შექმნილი 1830 წელს, ამათ შორის ჟერარ დე ნერვალი, თეოფილ გოტიე და თვით ამ წერილის ადრესატი პოლ დემენიც.
- 3 **Comprachicos** – ჰიუგოს *კაცი რომელიც იცინის* პერსონაჟები, რომლებიც ბავშვებს იტაცებენ და ამახინჯებენ შემდგომ გამოსაფენად.
- 4 **Ferdinand** – ეშმაკის ხალხური სახელწოდება საფრანგეთში, ვუზიეს კომუნაში.
- 5 **Prudhomme** (ფრანგ. „ზნეობრივი კაცი“) – ლუიზ ვარეზი განგვიმარტავს: „მესიე პრუდომი ანრი მონიეს პერსონაჟია, რომელიც ხშირად მოიხსენიება ფრანგულ ლიტერატურაში. დინჯი, სერიოზული და უსაზღვროდ ბანალური, ის წარმოადგენს ერთგვარი თვითკმაყოფილი ბურჟუას პარადიგმას, რომელიც თავის გარემოს სარკეა.“ ცხადია პოეტის დამოკიდებულება მსგავსი პერსონაჟისადმი, როგორებიც უხვად იყვნენ შარლევილშიც (სადაც დაიბადა) და პარიზშიც (სადაც იქიდან გაიქცა).
- 6 **Mazagran** – ერთგვარი ყავა, მორთმეული მაღალი ჭიქით, ალკოჰოლგარეული. სიტყვა მომდინარეობს, საკმაოდ გავრცელებული რემბოს ეპოქაში, ამავე სახელწოდების ალჟირული ქალაქიდან.
- 7 *ევჟარისი* – ფრანსუა ფენელონის XVIII საუკუნის დიდაქტიკური რომანის, *ტელემაქეს*, პერსონაჟის, ნიმფას სახელი. აქ, სავარაუდოდ, სახელი უფრო ვრცელ ძველბერძნულ, ანტიკურ, მითოლოგიურ და ფემინურ კონოტაციას ატარებს.
- 8 *შერუბენი* – ბომარშეს *ფიგაროს ქორწინების* პერსონაჟი.
- 9 დედოფალი მეები – „ფერიათა ბეზიაქალი“, ზღაპრული ფიგურა შექსპირის *რომეო* და *ჯულიეტასა* და სხვა ინგლისურ ლიტერატურულ/ხალხურ წყაროებში.
- 10 **Hampton-Court** – სამეფო რეზიდენცია ლონდონთან ახლოს.
- 11 თარგმანში შენარჩუნებულია გერმანული სიტყვა (**wasserfall**), გამოყენებული ორიგინალში. (=ჩანჩქერი/კასკადი).
- 12 **Solyme** – სახელი გვხვდება რემბოს სხვა ტექსტშიც. კომენტარების თანახმად, სიტყვა წარმოადგენს იერუსალიმის პოეტურ დენომინაციას.

- <sup>13</sup> *მეანდრი* – თურქეთში მდებარე მდინარის, დიდი მენდერესის ისტორიული სახელწოდება. სწორედ აქედან მოდის სიტყვა „მეანდრის“ უფრო ვრცელი მნიშვნელობა.
- <sup>14</sup> იგულისხმები ფრანსუა ბუმეს, XVIII საუკუნის როკოკოს სტილის ფრანგი მხატვრის ჩინურ თემებზე შექმნილი ტილოები.
- <sup>15</sup> სამხრეთ ამერიკელი ხალხი, კოლონიზირებული XVII საუკუნეში იეზუიტების მიერ.
- <sup>16</sup> **Fanum** – ლათ. ტაძარი. აქაც, ისევე როგორც ორიგინალში, დატოვებულია ლათინური ტერმინი.
- <sup>17</sup> ნორნები – სამი ქალღმერთი სკანდინავიურ მითოლოგიაში, რომლებიც ქმნიან სამყაროს კანონებს და განაგებენ ღმერთებისა და ადამიანების ბედს.
- <sup>18</sup> ორიგინალში **spunk** – იშვიათი ინგლისური სიტყვა, ნიშნავს აბედს, ცეცხლის გასაჩაღებელ, აალებად მასალას.

## შინაარსი

<b>არტურ რემბო და პირველქმნილი ხილვა.</b>	
<i>ირაკლი ყოლბაია</i> . . . . .	5
<b>მხილველის წერილები</b> . . . . .	18
<b>მთვრალი ნავი</b> . . . . .	24
<b>ხმოვნები</b> . . . . .	29
<b>ჟამი ჯოჯოხეთში</b> . . . . .	30
ცუდი სისხლი . . . . .	32
ჯოჯოხეთის ღამე. ბოდვები. I. სულელი ქალწული.	
ჯოჯოხეთური მეუღლე . . . . .	45
ბოდვები. II. სიტყვის აღქიმი . . . . .	51
შეუძლებელი . . . . .	60
ელვა . . . . .	63
დილა . . . . .	65
გამოთხოვება . . . . .	66
<b>გამონათებანი</b> . . . . .	69
ნარღენის შემდეგ. . . . .	69
ბავშვობა . . . . .	70
ზღაპარი . . . . .	74
პარადი . . . . .	75
ანტიკა . . . . .	77
Being Beauteous . . . . .	77
ცხოვრებანი. . . . .	78
გამგზავრება . . . . .	80
სამეფო ოჯახი . . . . .	80
გონებას. . . . .	80
სიმთვრალის დილა . . . . .	81
ფრაზები . . . . .	82
მუშები . . . . .	84

ხიდები . . . . .	85
ქალაქი . . . . .	86
ბორბლის ნაკვალევი . . . . .	86
ქალაქები . . . . .	87
მანანნალები . . . . .	89
ქალაქები . . . . .	90
ლამისთევები . . . . .	92
მისტიკა . . . . .	93
განთიადი . . . . .	94
ყვავილები . . . . .	95
უბრალო ნოქტურნი . . . . .	95
მარინი. . . . .	96
ზამთრის დღესასწაული . . . . .	97
ტანჯვა . . . . .	97
მეტროპოლიტენი. . . . .	98
ბარბაროსი . . . . .	99
გაყიდვა . . . . .	100
<b>FAIRY</b> . . . . .	101
ომი . . . . .	102
ახალგაზრდობა . . . . .	102
კონცხი . . . . .	104
სცენები . . . . .	105
ისტორიული სალამო . . . . .	106
ფსკერა . . . . .	107
<b>H</b> . . . . .	108
მოძრაობა . . . . .	108
მიძღვნა . . . . .	109
დემოკრატია . . . . .	110
გენია . . . . .	111